



ანჭიფემინიზმი
ახალ ნაცონალისტურ
დისკურსში

2020

აკტორები

შოთა სალინაძე
სოფიო ცხვარიაშვილი

ენობრივი რედაქტორი

თამარ გოგია

პროექტი განხორციელდა „ქალთა ფონდის“ მხარდაჭერით
საქართველოს ახალგაზრდა მწვანეები, 2020



ანტიუპინიზმი
ახალ ნაციონალისტურ
დისკურსში

პრობლემის აღწერა

ანტიფემინიზმი, როგორც პოლიტიკური მოვლენა, რეაქციონერულია და ხშირად გამოიყენება მემარჯვენე რადიკალიზაციის იარაღად. ანტიფემინიზმს უმეტესად ებმის ანტიქვიარ განწყობილებები, რადგან საზიაროა ფემინისტური და ქვიარ აქტივიზმის მთავარი მიზანი - პატრიარქალური სოციალური წყობის და მის მიერ გამოწვეული სოციალური უთანასწორობის აღმოფხვრა.

ქართულ კონტექსტში შეგვიძლია გამოვყოთ პოლიტიკური აქტორები, რომლებიც ამ რეაქციონერულ პოზიციას იკავებენ და დავყოთ ისინი სამ სავლევ კატეგორიად:

1) ულტრაშემარჯვენეები (ქართული მარში, ლევან ვასაძე და სხვ.)

ზემოაღნიშნულ საკითხებზე მათი პოზიცია პირდაპირი და მკაფიოდ ნეგატიურია, რაც, ხშირ შემთხვევაში, პირდაპირი ძალადობის წყაროც შეიძლება გახდეს. ამ მკაფიოდ რეაქციონერულ ჯგუფებს არ სურთ დომინანტური სტატუსკვოს შენარჩუნება და მიისწრაფვიან მითოლიგიზებულ „წარსულ კარგ დღეებში“ დასაბრუნებლად, სადაც სისპეტერო, ქრისტიან, ეთნიკურად ქართველ კაცს აბსოლუტურად დომინანტური პოზიცია ეჭირა. მათი ძალაუფლების თვითხატისთვის აუცილებელი პირობაა ქალთა დამორჩილება და „დევიანტების“ განადგურება.

2) “პროგრესული” ძალები (გირჩი, თავისუფლების გამაპრცელებელი საზოგადოება, ანტისაოკუპაციო მოძრაობა)

ამ შემთხვევაში საქმე გვაქვს პოლიტიკურად შედარებით ვარიაციულ ჯგუფებთან, რომლებიც ნომინალურად პროგრესული ფასეულობების სპექტრში ხვდებიან: ლიბერტარიანელები, ლიბერალები და ნაციონალისტური დამოკიდებულებების მქონე ლიბერალები. ისინი ქალთა და ქვიარ უფლებათა მომხრეებად პოზიციონირებენ, თუმცა მათი რიტორიკა ხშირად ემსახურება ფემინისტური და ქვიარ მოძრაობების მნიშვნელობის შემცირებას. ქვიარ და ფემინისტი აქტივისტების პოზიციების ხშირი უგულებელყოფა და სისტემური პრობლემების, რო-

გორც კონცეფციის, უარყოფა კი ხელს უწყობს მიზოგინიური და ქვიარფობიური ფონის გაძლიერებას.

3) ფსევდომემარცხენები (POSTV)

ეს არის პოლიტიკური აპარატი მედიის სახით, რომელიც კრიტიკული მემარცხენე ანალიზის ესთეტიკით იმოსავს თავს. ანტიფემინიზმისა და ქვიარფობიური იდეების გასავრცელებლად ისინი იყენებენ საკმაოდ ფრთხილად აგებულ ფსევდოინტელექტუალურ და ფსევდომემარცხენე რიტორიკას, როგორცაა: ქალთა უფლებების მხარდაჭერა და, ამასთან, ფემინიზმის, როგორც უმნიფრისა და არაადეკვატურის, წარმოჩენა; ტრანს ადამიანების, განსაკუთრებით კი ტრანს ქალების, პრობლემების გამიჯვნა ზოგადი მიზოგინიური პრობლემებისგან; ბიოლოგიური დეტერმინიზმი და ა.შ.

ამით ისინი იზიდავენ პუბლიკას, რომელსაც გარკვეული პროგრესული ფასეულობები შეიძლება ჰქონდეს და აწვდიან მათ მცდარ მოდელს აღნიშნული საკითხების აღსაქმელად. იქმნება ტოქსიკური სოციალური ფონი, სადაც ფემინისტი და ქვიარ ადამიანები ვეღარ ჩერდებიან, ჯგუფი უფრო ჰომოგენური ხდება და იქმნება ხელსაყრელი გარემო მემარჯვენე რადიკალიზებისთვის.

შესაბამისად, მნიშვნელოვანია ზემოაღნიშნული სამი პოლიტიკური ძალის ანალიზი და მათი უშუალო ზეგავლენის დადგენა ფემინისტ და ქვიარ აქტივისტებზე. ეს კი დაგვეხმარება ანტიმემარჯვენე და თავდაცვითი სამომავლო ტაქტიკების შემუშავებაში.

შინაარსი

1. ლიტერატურის მიმოხილვა	1
1.1 ანტიფემინიზმი	1
1.2 ულტრანაციონალიზმი, ფაშიზმი და მემარჯვენეობა	8
1.3 პროპაგანდის მოდელი, მედიის ფუნქცია	11
1.4 შეჯამება	17
2. მეთოდოლოგია - კრიტიკული დისკურსის ანალიზი (კდა)	18
2.1 სამეცნიერო, სოციალური კვლევის მეთოდი	18
2.2 კრიტიკული დისკურს ანალიზის ანალიტიკური ჩარჩო	20
3. მედია ანალიზი: ალტ-ინფო, გირჩი და PostTV (გურიზმები)	24
3.1 კონტექსტი	24
3.2 ალტ-ინფო	26
3.3 გირჩი	37
3.4 PostTV	46
4. რესპოდენტების დაკვირვებები	53
4.1 შევიწროების და სივრცის შეზღუდვის შემთხვევები	53
4.2 სტრატეგიები	55
4.3 მედია	58
გამოყენებული ლიტერატურა	61

1. ლიბერალური მიმოხილვა

1.1 ანტიფემინიზმი

ანტიფემინიზმი, როგორც პოლიტიკური მოვლენა, რეაქციონერული მოძრაობაა ფემინიზმის და, ზოგადად, ქალთა მოძრაობების წინააღმდეგ. კონცეფციის დონეზე მარტივი ჩანს, თუმცა არსებობს ანტიფემინიზმის განხილვის მრავალგვარი ჭრილი, განპირობებული მისი წარმოშობითა თუ იდეოლოგიური სხვაობით. წინამდებარე კვლევაში ანტიფემინიზმს მემარჯვენე სპექტრში განვიხილავთ, უფრო კონკრეტულად, ულტრამემარჯვენეობასა და ცენტრიზმს შორის, ნაციონალისტურ ნარატივებსა და ტენდენციებზე აქცენტით.

პოლიტიკურ მეცნიერებებში ტერმინი “რეაქციონერი” (Reactionary) განისაზღვრება, როგორც პირი, ორგანიზაცია ან მოძრაობა, რომლის ფასეულობები და მიზნები ორიენტირებულია წინათ არსებული პოლიტიკური სტატუსკვოს აღდგენაზე.

“რეაქციონერული” შეიძლება იყოს ისეთი პოზიციები, ფასეულობები და მიზნები, რომლებიც ორიენტირებულია წინათ არსებული პოლიტიკური სტატუსკვოს აღდგენაზე.

რეაქციონერული პოზიცია არსებულ საზოგადოებას განიხილავს, როგორც ნაკლულს, ძველი ფასეულობებისგან დაცლილს ან მათი ნეგატიური ეკვივალენტებით ჩანაცვლებულს. თუ კონსერვატიზმს სტატუს-კვოს შენარჩუნება სურს, რეაქციონერიზმი ორიენტირებულია სოციალურ ტრანსფორმაციაზე. თუმცა, კონსერვატიული იდეოლოგიებიც შეიძლება რეაქციონერული იყოს და მათ შორის არსებობს კიდევ თანაკვეთა და ურთიერთმხარდაჭერა.

კენეტ კლატერბაუს (2007) მიხედვით, ანტიფემინისტური იდეოლოგია ფემინისტური თეორიის სამი ფუნდამენტური პრინციპიდან ერთ-ერთს მაინც უარყოფს. ქვემოჩამოთვლილი დაშვებები გვხვდება ყველა ტიპის ფემინისტურ მიდგომაში:

1. ქალებსა და კაცებს შორის არსებული სოციალური ურთიერთმიმართება არც ბუნებრივია და არც ზებუნებრივი.
2. ქალებსა და კაცებს შორის არსებული სოციალური წყობა ხელსაყრელია კაცებისთვის.
3. შესაძლებელია და განსახორციელებელია კონკრეტული კოლექტიური

ქმედებები, რათა არსებული სოციალური წყობა და ურთიერთმიმართება უფრო სამართლიანი და თანასწორი გახდეს.

პირველი პრინციპის უარყოფა არსებითი არგუმენტია მრავალი ანტიფემინისტური მოძრაობისა და რიტორიკისათვის. მრავალი სოციო-ბიოლოგიური მოდელი ამტკიცებს, რომ ქალებს და კაცებს შორის იერარქიული წყობა ეფუძნება ბიოლოგიურ სხვაობას. შესაბამისად, უშედეგო საზოგადოების გარდაქმნის მცდელობები, რადგან ეს ბუნების სანინაალმდეგოდ სვლას. მაგ: ანტიფემინისტი სტივენ გოლდბერგი (1993) ამტკიცებს, რომ პატრიარქატის არსებობა ქალსა და კაცს შორის გარდაუვალი ბიოლოგიური განსხვავებებით არის განპირობებული. (Clatterbaugh, 2007)

რელიგიურ-კონსერვატორული პოზიციები კაცს „ოჯახის თავად“ განიხილავს, ქალების კაცებისადმი დაქვემდებარებას კი - ღვთიურ განგებად. მათი თვალთახედვით, სამყარო ასეა შექმნილი და ამის წინააღმდეგ წასვლა მკრეხელობად აღიქმება.

თვითიდეტიფიცირებულ პროფემინისტ, სოციალურად პროგრესულ კაცებსაც კი შეუძლიათ ამ სამი პრინციპიდან რომელიმეს უარყოფამდე დასვლა. ყველაზე ხშირია მსგავს შემთხვევებში პატრიარქალური წყობის აღქმა, როგორც ქალებისა და კაცების თანაბრად მჩაგვრელისა. ამასთან, ხდება იმ ფაქტის უგულვებლყოფა ანდა შემსუბუქება, რომ ქალის პოზიცია საზოგადოებაში მეორეხარისხოვანია კაცის პოზიციასთან შედარებით.

მკვლევრები მელიზა ბლაიზი და ფრანცის დუპუი-დერი (2012) ანტიფემინიზმის ერთ-ერთ მთავარ ფაქტორად „მასკულინიზმს“ გამოყოფენ (და ანტიფემინისტური მოძრაობის ნაწილად განიხილავენ), თუმცა არსებობს დავა ტერმინის ლეგიტიმურობაზე. ერთ-ერთი არგუმენტი პრობლემად სახავს მასკულინიზმის აღიარებას ფემინიზმის ალტერნატიულ, საპირწონე იდეოლოგიად (Langevin, 2009). ტერმინი სპეციფიკურია ფრანგულენოვანი ფემინისტური დისკურსისათვის და იშვიათად გამოიყენება მის გარეთ. მაგალითად, მის ინგლისურენოვან ეკვივალენტად უბრალოდ “პატრიარქალური იდეოლოგია” გამოიყენება (Watson, 1996). ჩვენს ნაშრომში “მასკულინიზმს” მხოლოდ ამ კონკრეტული ფენომენის განხილვისას გამოვიყენებთ, ნაშრომის დანარჩენ ნაწილში კი „მასკულინიზმს“ მოვიხსენიებთ, როგორც „პატრიარქალური იდეოლოგია“ ან “პატრიარქალური ფასეულობები”.

მასკულინიზმი შეიძლება ჩაითვალოს აქტივისტურ მოძრაობად, რომლის იდეური საფუძველი „მამაკაცურობის კრიზისთან“ ბრძოლაა - იდეალიზებული მასკულინიზმის აღდგენა, რომელიც შეიძლება არც კი არსებობდა.

მასკულინიზმი ანტიფემინისტური მოძრაობები ფუნქციონირებენ, როგორც სოციალური მოძრაობები და ემყარებიან პატრიარქალურ ღირებულებებს.

წევრები თვითიდენტიფიცირდებიან, როგორც „ნამდვილი“ კაცები, აწყობენ აქცია-პროტესტებს, ითხოვენ და იბრძვიან საკუთარი „უფლებებისთვის“, ჰყავთ აქტივისტები.

ანტიფემინიზმი ხშირად განიხილება, როგორც კონტრმოძრაობა, ან კონტრმოძრაობის ნაწილი. კონტრმოძრაობას ორგვარი განმარტება აქვს:

პირველია იდეოლოგიური მიდგომა - სოციალური ტენდენციებიდან გამომდინარე, „მოძრაობა“ ასოცირდება პროგრესულ სოციალურ ცვლილებებთან (შესაბამისად, ფემინისტური მოძრაობებიც). „კონტრმოძრაობა“ კი განიხილება, როგორც რეგრესული, კონსერვატიული და რეაქციონერული პოზიცია, რომლის თვითმიზანიც ნებისმიერი სოციალური პროგრესის აღმოფხვრაა (Touraine, 1973).

მეორეა სოციალური თეორიის მიდგომა, რომელიც მოძრაობასა და კონტრმოძრაობას განსაზღვრავს ფუნქციური წრილიდან. ამ მიდგომისათვის პოლიტიკური თუ იდეოლოგიური მიკუთვნება იმდენად მნიშვნელოვანი არ არის. მნიშვნელოვანია, მოძრაობის (ჩვენს შემთხვევაში, ფემინისტურის) და მისი კონტრმოძრაობის არსებობა (Zald & Usee, 1987; Meyer & Staggenborg, 1996).

შესაბამისად, მასკულინიზმი განიხილება პატრიარქალურ ფასეულობებზე დამყარებულ კონტრმოძრაობად კაცების, როგორც კლასის, სამსახურში. მისი მიზანია, წინააღმდეგობა გაუწიოს ფემინისტურ მოძრაობას და შეაფერხოს მისი წინსვლა. ზოგიერთი მასკულინიზმები ქალთა ჯგუფებს პირდაპირ იღებენ მიზანში და თავს ესხმიან მათ (M. Blais, F. Dupuis-Deri; 2012:31).

ფართოდ გავრცელებული დისკურსის მიუხედავად, თითქოს „თანასწორობა უკვე არსებობს ქალებსა და კაცებს შორის“, თითქოს „თავისუფლება უკვე არსებობს ყველა ქალისთვის“ ან „ფემინიზმი ძალიან შორს წავიდა“, მაინც წარმოიქმნება მასკულინიზმი კონტრმოძრაობა და მოქმედებს მყარად პატრიარქალურ საზოგადოებებში, სადაც მამაკაცთა უპირატესობა, პრივილეგია და ძალაუფლება განუზომელია. თანაკვეთა აღინიშნება მასკულინიზმური მოძრაობის წევრებსა და მათ სოციო-ეკონომიკურ პოზიციებს შორის. მაგალითად, კვებეკში საშუალო სტატისტიკური კაცთა უფლებების აქტივისტს პრივილეგირებული სოციალური პოზიცია უკავია, უფრო კონკრეტულად, თეთრკანიანი, მაღალი ან საშუალო კლასის, 35-60 წლის ჰეტეროსექსუალიაა. (Be´chard; 2005:178)

ამრიგად, მასკულინიზმი შეგვიძლია განვსაზღვროთ, როგორც ანტიფემინისტურ მოძრაობაში არსებული ტენდენცია, რომელშიც კონტრმოძრაობა მობილიზდება არა მხოლოდ ფემინისტური მოძრაობის წინააღმდეგ, არამედ სხვა ეგალიტარული სოციალური და პოლიტიკური სისტემებთან დაპირისპირებით. ის მობილიზებულია ისეთი არაეგალიტარული სისტემების დასაცავად, როგორცაა პატრიარქატი, სისჰეტერონორმატივიზმი თუ კაპიტალიზმი.

თავის ნაშრომში ფალუდი (Faludi, 1991) განიხილავს „სოციალური წინაა-

ღმდეგობის” ფენომენს (Backlash). ავტორი აშუქებს იდეოლოგიურ და რეაქციულ განზომილებებს ანტიფემინისტური კონტრმოძრაობების წარმოქმნისას. ნიგნში ხაზგასმულია ”წინააღმდეგობის”, როგორც სოციალური ფენომენის, კავშირი ანტიფემინიზმთან, როგორც კონტრმოძრაობასთან. როდესაც საზოგადოებაში დომინანტური ჯგუფის პოზიცია მცირედით მაინც შეირყევა, ან პრივილეგიები შეეზღუდება თუ ჩამოშორდება, დომინანტური ჯგუფი ამას უფლებების შეზღუდვად აღიქვამს. შესაბამისად, ჩაგრული ჯგუფების წინააღმდეგ იქმნება რეაქციონერული მოძრაობა, რომლის მიზანიც რეგრესიული სოციალური ტრანსფორმაციაა. უფრო კონკრეტულად, როდესაც საქმე გვაქვს ანტიფემინისტურ რეაქციონერიზმთან და მათ სამიზნე ქალთა ჯგუფს სხვა მახასიათებლების მატარებელი წევრების ჰყავს (იქნება ეს გაბატონებული ნორმებთან შეუსაბამო მახასიათებლები, სექსუალობა, იდენტობა თუ ეთნიკურობა), ქალთმოდულებობრივი რიტორიკის პარალელულად ჩნდება ქვიარფობიური, შოვინისტური თუ სხვა ელემენტები. (Blais & Dupuis-De´ri, 2008: 248–251).

აღსანიშნია ჰიმელსტეინის კვლევა საზოგადოებაში ანტიფემინისტურ განწყობილებებზე. ავტორი, ძირითადად, ქალების განწყობილებებსა და მათ გამომწვევ მიზეზებს იკვლევს (Himmelstein, 1986). ჰიმელსტეინი განიხილავს, რომ ანტიფემინიზმის გამომწვევ ფაქტორებზე არსებობს ორი მთავარი სოციალური თეორია. ერთი მიდგომა ამტკიცებს, რომ ანტიფემინისტურ ფასეულობებს ატარებენ კონსერვატორი, დაბალი სოციო-ეკონომიკური ფენის წარმომადგენლები, ხოლო სტაბილურ შემოსავლიანი საშუალო ფენის ლიბერალური ნაწილი ქალთა უფლებების მომხრეა. ანტიფემინისტური განწყობილება და პოლიტიკური შეხედულებები პირდაპირაა მიბმული განათლებასა და კლასობრივ პოზიციასთან.

მეორე მიდგომის თანახმად, ქალების ყველაზე დაუცველი და კაცებზე დამოკიდებული ნაწილია მსგავსი ანტიფემინისტური ფასეულობების მატარებელი. აქცენტი კეთდება ეკონომიკურ დამოუკიდებლობაზე. ჰიმელსტეინი ამტკიცებს, რომ ორივე თეორიული მოდელი ნაწილობრივ მცდარია (Himmelstein, 1986: 2). ჯგუფებს შორის სოციო-ეკონომიკური სხვაობა ხშირად არარელევანტურია, ორივე მხარის წარმომადგენლები სხვადასხვაგვარი განათლებისა და ფინანსური რესურსის მქონეა. არც დაუცველობის და დამოკიდებულების გრძნობაა ხშირი კონსერვატორ ქალებში. ნაცვლად ამისა, ჰიმელსტეინი ამტკიცებს, რომ მნიშვნელოვანი განმასხვავებელი რელიგიურობის ხარისხია, რაც ეკლესიაში წირვებზე დასრების სიხშირით იზომება. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ინტერპერსონალური სოციალური ქსელი და კულტურული გარემო (Himmelstein, 1986: 12).

ფალუდი განიხილავს აშშ-ში 60-80-იან წლებში მომხდარ მოვლენებს,

როდესაც თანამედროვე ანტიფემინისტური რიტორიკა ჩამოყალიბდა და დღემდე მუშაობს. თავის წიგნში ფალუდი აღწერს ქალთა მოძრაობას ამერიკაში და მის სანინააღმდეგო უარყოფით სოციალურ უკურეაქციას, რომლის ფარგლებშიც კაცი აკადემიკოსები და მედიის წარმომადგენლები ქმნიდნენ მოვლენათა ერთგვარ გაყალბებულ ვერსიას. ამ ვერსიის მიხედვით, ქალები მთელი ისტორიის განმავლობაში პასიური აქტორები იყვნენ, თანამედროვე პოლიტიკური აქტივობა კი თითქოს ანომალია და „არაფერზე დაფუძნებული პრეტენზიების ქონა“ (70-იანი წლების პერიოდი იგულისხმება, თუმცა დღევანდელობასაც თავისუფლად ერგება). ქალთა მოძრაობის ისტორიის ამგვარი გაყალბების მიზანი ქალთა ისტორიის ნაშლა, ქალთა ჩაგვრის უგულებელყოფა, ქალთა მიღწევების გაუფასურება და მათთვის ინფანტილური სოციალურ სტატუსის დაბრუნებაა.

აშშ-ის 60-70-იანი წლები სამოქალაქო უფლებებისთვის ბრძოლითაა გამორჩეული. ქალთა უფლებების კუთხით, ამ პერიოდში შემოიღეს ანტიდისკრიმინაციული კანონები, რომლებიც არეგულირებდნენ განათლების მიღების თანასწორ შესაძლებლობას, სავალდებულო კვოტირებას (დასაქმებისას დისკრიმინაციის აღმოსაფხვრელად) და კანონისათვის გვერდის ავლის მცდელობებს. გამარტივდა და ყველასთვის ხელმისაწვდომი გახდა განქორწინების პროცედურა. დაუქორწინებელ ქალებს კონტრაცეპციის გამოყენების უფლება მიენიჭათ. სწორედ ამ პერიოდში დაიწყო სოციალური წინააღმდეგობა პროგრესის მიმართ.

ფალუდის წიგნში განხილულია იმ დროისათვის გავრცელებული ორი მთავარი მედია შეტყობინება: ფემინისტური ბრძოლა თანასწორუფლებიანობისთვის დიდწილად გამარჯვებით დასრულდა და ახლა ქალები ამ თანასწორობის ფონზე საშინელ მდგომარეობაში ჩავარდნენ. ვრცელდებოდა სტატიები „ყოფილი ფემინისტების“ პერსპექტივიდან, რომლებიც ამტკიცებდნენ, რომ თანასწორობა შეცდომა იყო. ფალუდი აღნიშნავს, რომ ქალები ჯერ კიდევ არ არიან თანასწორნი (ცხადია, კანონების მიღება მხოლოდ პირველი ნაბიჯია) და არსებობს სოციალური ზეწოლა თანასწორობისთვის ბრძოლის შესაჩერებლად ან უწინდელ სტადიაზე დასაბრუნებლად, სადაც ქალები მეორეხარისხოვანი მოქალაქეები იყვნენ - მსახურთა კლასი დომინანტური სტატუსის მქონე კაცებისთვის.

დაიწყო ინფორმაციული ბრძოლა ქალთა მოძრაობის წინააღმდეგ სტატისტიკურად დაუზუსტებელ ან ყალბ მონაცემებზე დაფუძნებული სტატიების გაშუქებით, რომლებიც ამტკიცებდნენ ფემინიზმის უარყოფით ზეგავლენას ქალებზე. მსგავსი მეთოდებით მედიამ ქალებშივე შექმნა უარყოფითი უკურეაქცია ფემინიზმის წინააღმდეგ.

ქალებში ვლინდება სოციო-კულტურული ნარატივი, თითქოს მათ თავი-

სუფლება ართმევდეს „ქალური ბედნიერების“ შესაძლებლობას. აქვე უნდა აღვნიშნოთ, რომ „ქალური ბედნიერების“ სტერეოტიპი თავისთავშივე მოიცავს ქალთმოძულეობაზე დამყარებულ ყველა მჩაგვრელ სოციალურ მოვლენას. ამ „სოციალური ეტალონის“ იდეა აგებულია ქალის, როგორც ოჯახის მსახურის, სტერეოტიპზე. ეს იდეა კაპიტალისტურმა და პატრიარქალურმა წესრიგმა მოსახლეობას შეაპარა, როგორც „პოზიტიური“ და „ბუნებრივი“.

წარმოიქმნა ცრუ-წარატივები “უნაყოფობის ეპიდემიის”, „კაცების დეფიციტის“, “სამუშაო სივრცეში ქალების გადაწვისა” და “ბაგა-ბაღებში ტოქსიკური მზრუნველობის” შესახებ. რეალურად, არცერთი ეს მოვლენა არ ხდებოდა ყოველდღიურობაში. ვერცერთმა ლეგიტიმურად ჩატარებულმა კვლევამ თუ ჟურნალისტურმა გამოძიებამ ვერ მოიპოვა ამ მოვლენების დამამტკიცებელი საბუთები.

ასევე აღსანიშნია ამერიკის წარმოქმნილი სოციალური წინააღმდეგობის ტენდენციები. ისტორიულად თუ შევხედავთ, ვიქტორიანული ეპოქის ქალთა მოძრაობების საწინააღმდეგო რიტორიკა არ განსხვავდება 70-იანი წლებისაგან. არგუმენტი ყოველთვის იქამდე დადის, რომ ქალები კარგავენ „ქალურობას“. ეს უკანასკნელი პატრიარქალური და კაპიტალისტური სისტემების თანაკვეთაზე წარმოქმნილი კონცეფციაა, რეპროდუქციული უნარების კონტროლისა და დაქვემდებარების მექანიზმებით. კაპიტალისტური ჭრილიდან ქალურობა სამუშაო ძალის წარმომქმნელი მექანიზმია, პატრიარქალური ჭრილიდან კი - ქალთა სხეულებრივი და ქმედითი ავტონომიის კონტროლისა.

გარდა საინფორმაციო მედიისა, მთავარი ანტიფემინისტური იდეების გამავრცელებელია პოპულარული მასმედია, უფრო კონკრეტულად კი - ფილმები და სატელევიზიო სერიალები (და სავარაუდოდ, უფრო ზეგავლენიანიც). 70-ანების ფილმები და სერიალები, რომლებიც მარტოხელა ქალებს პოზიტიურ და კომპეტენტურ ფიგურებად წარმოაჩენენ, 80-იანებში ჩანაცვლდნენ აგრესიული, ემოციურად არასტაბილური ქალი პერსონაჟებით; ქალებით, ვისთან ურთიერთობაც სარიისკოა კაცებისთვის და, ხშირად, კაცებისადმი რაიმე ფორმის ძალადობაში გადადის. ქალის პოზიტიური როლი მხოლოდ ქორწინებაში თუ აისახება.

ფილმს და ტელევიზიას, როგორც სხვა მხატვრულ ხერხებს, ზეგავლენა აქვს ადამიანებზე. თუმცა ეს ზეგავლენა პირდაპირი არ არის, მხატვრულ მედიას არ შეუძლია იდეა პირდაპირ ჩაგვიწეროს (ძალადობის ყურება ძალადობის ჩადენის მოთხოვნილებას არ აჩენს), მაგრამ გვიყალიბებს მსოფლმხედველობას (ძალადობის მიმართ დამოკიდებულება და აღქმა იცვლება). როდესაც ფილმები და სერიალები გვიხატავენ დამოუკიდებელი ქალის ხატს, როგორც მარტოსულისა და დამანგრეველი მიდრეკილებების მქონეს, ეს სოციალიზაციის ნაწილი ხდება. გენდერული როლების შესახებ ჩვენი წარმოდგენები ყოველთვის იქნება

ნაწილობრივ განპირობებული მულტიმედიის სხვადასხვა საშუალებებით.

შეიცვალა მოდის ინდუსტრიის ტენდენცია. თუ 1970-იან წლებში ესთეტიკური აქცენტი პროფესიული იყო (მაგალითად, ბიზნეს კოსტიუმები ქალებისათვის), 1980-იან წლებში აქცენტი „ფემინურ“, არაპრაქტიკულ ღამის სამოსსა და საცვლებზე გადავიდა, ქალთა სექსუალური ობიექტივაცია კი მთავარი მიზანი გახდა.

ფალუდი (1991) აღწერს მოდისა და კოსმეტიკური ინდუსტრიის მიერ ქალებისთვის “პატარა გოგოს” იმიჯის შექმნის მცდელობას. ეს ინდუსტრია ქალების ინფანტილიზაციითა ან სექსუალიზებით ქმნიდა ნიშას, რომელშიც სურდათ ქალების მოთავსება. (Faludi 1991:183)

ეს სოციალური წინააღმდეგობა ეფუძნებოდა, ერთი მხრივ, ზოგად ანტი-ფემინისტურ განწყობილებებს, ხოლო მეორე მხრივ, დამოუკიდებელი ქალი მომხმარებლის ხატის ჩამოყალიბებას. ქალები უარს აცხადებდნენ შემოთავაზებულ, ვინრო ვიზუალურ პარადიგმაში მოთავსებაზე. ინდუსტრია კი ამას გამოეპასუხა არჩევნის მაქსიმალურად შემცირებითა და ქალების ინფანტილიზაციის მცდელობით.

“ყოველი სოციალური წინააღმდეგობის პასუხად, მოდის ინდუსტრიამ შექმნა სადამსჯელო-შეზღუდული ტანისამოსი, ხოლო მოდის პრესამ მოითხოვა, ქალებს ეს სამოსი ეტარებინათ.” (Faludi 1991:184)

“ახალი მემარჯვენეები” - რელიგიურ რიტორიკაზე აგებული ნეოკონსერვატორების ტალღა - 80-იანებში პოლიტიკური ძალა იყო. მათი მიდგომა „ოჯახური ფასეულობები“ და ანტიფემინისტური იყო. რეიგანის პრეზიდენტობამ ახალ მემარჯვენეებს და მათ ანტიფემინისტურ განწყობილებას ლეგიტიმურობა და ძალაუფლება მიანიჭა.

“ახალი მემარჯვენეების” მიზანი იყო სოციალური სიტუაციის დაბრუნება “1954 წლამდე” (სამოქალაქო უფლებების აქტამდე). მათი აზრი, თითქოს ქალთა თანასწორობა პასუხისმგებელია ქალების უბედურებაზე, დომინანტური სოციო-პოლიტიკური ნარატივი გახდა. მათი ერთ-ერთი მთავარი მიზანი იყო ფემინიზმის დისკრედიტაცია და თანასწორობის უფლებათა კანონების გაუქმება.

რეიგანის მმართველობისას შემცირდა ქალთა რაოდენობა ფედერალურ დაწესებულებებში. შემცირდა იმ ფედერალური პროგრამების დაფინანსებაც, რომლებიც წლების განმავლობაში ქალთა თანასწორობას უჭერდნენ მხარს. 80-იანების დასასრულს “ნაციონალური ორგანიზაცია ქალებისათვის” (the National Organization for Women (NOW)) გავლენიანი პოლიტიკური ორგანიზაცია იყო. ქალთა უმრავლესობა მიიჩნევდა, რომ NOW ქალთა ინტერესებს საუკეთესოდ წარმოაჩენდა, გაცილებით უკეთ, ვიდრე რესპუბლიკური ან დემოკრატიული პარტიები. მათი მესამე პარტიად ჩამოყალიბების შესაძლებლობაც არსებობ-

და (რაც ამერიკის ორპარტიული სისტემის გათვალისწინებით, დიდი ცვლილება იქნებოდა), თუმცა აგრესიამ და წინააღმდეგობამ ფემინიზმის და, ზოგადად, ქალთა უფლებების მიმართ, ორგანიზაციის პოპულარობა გაანადგურა (Faludi 1991:290).

ოჯახის მხარდამჭერი პოლიტიკური მიდგომა ქალებთან დაკავშირებით ორ რამეს გულისხმობს: განქორწინებისა და აბორტის უფლებების შეზღუდვას. ფალუდის მიხედვით, აბორტის მაჩვენებელი მნიშვნელოვნად არ გაზრდილა გასული 100 წლის განმავლობაში, მაგრამ ლეგალიზაციამ მნიშვნელოვნად გაზარდა ქალების უსაფრთხოება ამ პროცედურის ჩატარებისას. 1970-იან და 1980-იან წლებში აბორტის უფლების შეზღუდვის შედეგად, ნაყოფს მეტი უფლება მიენიჭა, ვიდრე დედას. (შესაბამისად, ქალის სიცოცხლე მეორეხარისხოვანი გახდა მის რეპროდუქციულ უნართან შედარებით). აშშ-ში სულ მცირე თხუთმეტმა ამერიკულმა კორპორაციამ შემოიღო “ნაყოფის დაცვის პოლიტიკა”, რომელიც ეფექტურად გამორიცხავდა ქალებს (ორსულს თუ არაორსულს) მაღალანაზღაურებადი თანამდებობებიდან; სამუშაოდან, რომელსაც რამე შეხება ჰქონდა ქიმიურ ნივთიერებებთან ან რადიაციულ ზემოქმედებასთან (Faludi 1991:437).

1.2 ულტრანაციონალიზმი, ფაშიზმი და მიმარჯვენეობა

თავის ესეში “პირველადი ფაშიზმი” (Ur-Fascism, 1995) უმბერტო ეკომ აღწერა ფაშისტური იდეოლოგიის მექანიკური საფუძველი. ის მოკლებულია ეკონომიკურ ანალიზს, მაგრამ აღწერს ყოველი ფაშისტური იდეოლოგიისათვის ნიშანდობლივ კულტურულ ფენომენებსა და იდეებს. ესეს სათაურიც მიგვანიშნებს მის შინაარსზე - “პირველადი ფაშიზმი” ფაშისტური იდეოლოგიების ერთგვარი ყალიბია.

ეკო გამოყოფს ფაშისტური იდეოლოგიის თოთხმეტ ზოგად ნიშანთვისებას. იგი ამტკიცებს, რომ შეუძლებელია მათი ორგანიზება თანმიმდევრულ სისტემად. „*შეუძლებელია ამ მახასიათებლების ერთ სისტემად გაერთიანება; მათი უმრავლესობა ურთიერთსაწინააღმდეგოა და, ამასთან ერთად, ტიპურია სხვა სახის დესპოტიზმისა თუ ფანატიზმისთვისაც. თუმცა ამავედროულად, ერთ-ერთი მათგანიც კი საკმარისია იმისათვის, რომ ფაშიზმს მასზე დაშენების შესაძლებლობა შეექმნას.*“ [Eco, Umberto, 1995; 5]

თოთხმეტი ნიშანთვისება შემდეგია:

1. “ტრადიციის კულტი”, რაც ხასიათდება კულტურული სინკრეტიზმით, მი-

უხედავად შინაგანი წინააღმდეგობებისა. „ტრადიციამ“ უკვე გამოავლი-
ნა ყველა ჭეშმარიტება, არ არსებობს ახალი ცოდნა, მხოლოდ შემდგომი
ინტერპრეტაცია და არსებულის დახვეწა თუა შესაძლებელი.

2. “მოდერნიზმის უარყოფა”, რაც განმანათლებლობის დროიდან იღებს
სათავეს და დასავლური კულტურის რაციონალისტურ პარადიგმაში განვი-
თარებას განიხილავს, როგორც გარყვნილებაში გადავარდნასა თუ განა-
დგურებისკენ სწრაფვას. აქცენტია მხოლოდ „სულიერ“ მხარეზე. ამასთან,
ტექნოლოგიური წინსვლა და ინდუსტრიალიზაცია ფაშისტური თვითხატიის
მნიშვნელოვანი ნაწილია. შესაბამისად, ფაშიზმი ფუნდამენტურად ირაცი-
ონალურია.

3. “ქმედება ქმედებისთვის”. მოქმედება თავისთავად ღირებულია და უნდა
განხორციელდეს აზროვნებისა და ანალიზის გარეშე. ეს უკავშირდება
ანტიინტელექტუალიზმსა და ირაციონალიზმს, რაც ხშირად ვლინდება თა-
ნამედროვე კულტურისა და მეცნიერების დისკრედიტირების მცდელობითა
თუ მათზე თავდასხმით.

4. “უთანხმოება არის ღალატი”. კრიტიკულ ანალიზს ვერცერთი სინკრეტუ-
ლი რწმენა ვერ უძლებს. ფაშიზმი კი აუფასურებს ნებისმიერ ინტელექტუა-
ლურ დისკურსსა და კრიტიკულ მსჯელობას. ზედმეტი მსჯელობა ხელს უშ-
ლის პირდაპირ მოქმედებას და იწვევს იდეოლოგიურ წინააღმდეგობას.

5. “განსხვავებულის შიში”, მრავალფეროვნება განიხილება უთანხმოების
ფორმად. ფაშისტური იდეოლოგია საზოგადოებაში კონსენსუსის მიღწევას
ქსენოფობიური შიშების გაღვივებით და გამძაფრებით ცდილობს.

6. “იმედგაცრუებული საშუალო კლასისათვის მოწოდება”. როდესაც სხვა
სოციალური ჯგუფების მოთხოვნებისა და მისწრაფებების გამო საშუალო
კლასი განიცდის ეკონომიკური კრიზისს და საკუთარი პოზიციის დაკარგვის
შიშს, ფაშიზმი ამ შიშს მის სასარგებლოდ იყენებს.

7. “შეთქმულების აკვიატება”. როდესაც საზოგადოება მოკლებულია მყარ
სოციალურ იდენტობას, ფაშიზმი მარტივ პასუხად სთავაზობს, რომ მათი
საერთო პრივილეგია არის საერთო წარმომავლობა და საერთო ქვეყანის
„ნამდვილი შვილობა“. ეს არის ნაციონალიზმის საყრდენი. მტრის ხატის შე-
საქმნელად ავრცელებენ ქსენოფობიურ შეთქმულების თეორიებს, რაც შიშ-
სა და სიძულვილს ჩაგრული სოციალური ჯგუფებისკენ მიმართავს. აგებენ
ნარატივის, თითქმის ეს სოციალურად ჩაგრული ჯგუფები ახდენდნენ საზო-
გადოების მიზანმიმართულ საბოტაჟს. ამის ნათელი მაგალითია ანტისემი-
ტიზმი, ჩვენ შემთხვევაში კი, ანტიფემინიზმი და ქვიარფობია.

8. “მტერი ერთდროულად ძალიან ძლიერიცაა და ძალიან სუსტიც”. ფაშისტუ-
რი ჯგუფები რიტორიკულად სახავენ თავიანთ მტერს, ერთი მხრივ, როგორც

სოციალურად პრივილეგირებულს და ძალაუფლების მქონეს, მეორე მხრივ კი, ადვილად განადგურებადს.

9. "პაციფიზმი მტერთან გაერთიანებაა". ფაშისტური იდეოლოგიებისთვის "ცხოვრება მარადიული ომია" - საბრძოლველად ყოველთვის უნდა არსებობდეს მტერი, რეალურ საომარ პირობებსა თუ სოციალურ საკითხებში.

10. "სუსტის ზიზღი". შოვინისტურ-პოპულისტური ელიტიზმი ყველა რეაქციონერულ იდეოლოგიას ახასიათებს. საზოგადოების ყველა წევრი მიეკუთნება ერთ, შიდა ჯგუფს და მის გარეთ დარჩენილები განიხილებიან საძულველად. რამდენადაც საზოგადოება იერარქიულად სტრუქტურირებულია, ყოველ ქვემდგომ პოზიციაზე მყოფი მის დაქვემდებარებულს განიხილავს „სუსტად“ და, შესაბამისად, ზიზღის დამსახურებულ სამიზნედ.

11. "ყველა გმირობისთვისაა გამონვრთნილი". იქმნება სოციალური სიტუაცია, სადაც ყოველი ფაშისტური იდეოლოგიის მატარებელი უნდა იყოს „გმირი“ და დათმოს საკუთარი სიცოცხლე უფრო დიადი იდეალებისთვის. თანადროულად წარმოიქმნება გმირობისა და სიკვდილის კულტი. „*ფაშისტი გმირი მოუთმენლად მიისწრაფვის სიკვდილისკენ. თავისი მოუთმენლობით ის ხშირად სხვა ადამიანებს უსწრაფებს სიცოცხლეს*“. [Eco, Umberto, 1995; 7]

12. "მასკულინიზმის და ძალაუფლების ხაზგასმული დემონსტრირება". "რადგან მარადიული ომი და გმირობა რთული თამაშებია, ფაშისტს თავისი ძალაუფლებრივი სურვილები სექსუალურ ასპექტებში გადააქვს". [Eco, Umberto, 1995; 7] სექსი დომინაციის სფერო და ძალაუფლების დემონსტრირებაა. მამაკაცური აგრესიითა და დომინანტურობით გმობენ ქალებს და გამოსატავენ მათდამი ზიზღს. მკაცრად ცისჰეტერონორმატიული პარადიგმა კი იწვევს ზიზღს ნებისმიერ „დევიაციისადმი“.

13. "შერჩევითი პოპულიზმი". ფაშისტურ კონცეფციაში ხალხი მონოლითურია, აქვთ საერთო ნება, რაც ნებისმიერ ინდივიდუალურ თვალსაზრისზე უპირატესია. შეუძლებელია, საზოგადოებას ნებისმიერ საკითხზე კონსენსუსი ჰქონდეს, შესაბამისად „ხალხის ნების“ წარმომადგენელია ფაშისტური ლიდერი.

14. "ახალმეტყველება" (Newspeak). ტერმინი აღებულია ორუელის (1949) ნაწარმოებიდან. ფაშიზმი იყენებს "ახალმეტყველებას" და ხელს უწყობს ლექსიკის გაღარიბებას, დამოუკიდებლად აზროვნებისა და კრიტიკული მსჯელობის შეზღუდვის მიზნით.

სხვა განმარტება, რომელიც თანხვედრაშია ფაშიზმის ეკოსულ კრიტერიუმებთან არის "პალინგენეტიკური პოპულისტური ულტრანაციონალიზმი".

პალინგენეზისი (ხელახალი დაბადება) გულისხმობს ნაციის მოტივირე-

ბას მითოლოგიზებული წარსული სიდიადის აღსადგენად. ფაშიზმი იღებს ნაციონალიზმის რევოლუციურ ფორმას, რომლის მიზანიცაა დომინანტური ჯგუფის აღზევება, საზოგადოების განმენდა “არასასურველი” ელემენტებისგან და ძველი, მითოლოგიზებული წესრიგის აღდგენა, ხელახალი დაბადება. (Griffin, 1991)

შედეგად, აქცენტი გვაქვს ულტრანაციონალიზმზე და მის თანმხლებ ჩაგვრის სისტემაზე, როგორცაა სისჰეტერო პატრიარქატი. ანტიფემინიზმი და ქვიარფობია გარდაუვალი ელემენტებია ულტრანაციონალისტური დისკურსისა. უფრო რადიკალური მოძრაობები, თავისთავად, უფრო პირდაპირ თავდასხმაზე გადადიან, მაგრამ ქართულ კონტექსტში, რომელშიც ულტრანაციონალიზმი ზოგადი კულტურული ფონია, მსგავსი ჩაგვრის რადიკალური ფორმები ნორმალიზებულია და სხვა ნაკლებრადიკალური მემარჯვენე მიმდინარეობებიც იყენებენ მათ.

1.3 პროპაგანდის მოდელი, მედიის ფუნქცია

ანტიფემინისტური და ანტიქვიარ ნარატივების გავრცელებაზე მსჯელობისას მთავრ წყაროდ მასმედიას მოვიხარებთ. სწორედ მასმედიას ულტრანაციონალისტების და რეაქციონერების პოზიციების გამშუქებელი თუ რეგრესული პოლიტიკური პლატფორმის შემქმნელი. მედიის მიერ ინფორმაციის გავრცელების მეთოდებისა და შიდა ფუნქციონირების გასაანალიზებლად გამოვიყენებთ ჰერმანის და ჩომსკის (1988) პროპაგანდის მოდელს. აღნიშნული მოდელი გამოიყენება მედიის მრავალმხრივი ფუნქციონირების შესაფასებლად, ჩვენ კი მას მხოლოდ ვინრო ჭრილში, ანტიფემინისტურ და ანტიქვიარ ელემენტების გასაანალიზებლად გამოვიყენებთ.

მასმედია არის შეტყობინებებითა და სიმბოლოებით კომუნიკაციის სისტემა, რომლის ფუნქციაც საზოგადოებისათვის ინფორმაციის მიწოდება, გართობა და ყურადღების გადატანაა. მასმედია კულტურის შეთვისების და სოციალიზაციის ერთგვარი მექანიზმია, ის ინდივიდებს გარკვეულნილად უყალიბებს ღირებულებებს, რწმენებსა და ქცევის მოდელებს. ის საზოგადოებაში ამკვიდრებს გარკვეულ სოციალურ ნორმებს, რაც ინსტიტუციურ სტრუქტურებში ოპერირების საშუალებას აძლევს. შესაბამისად, ამ საზოგადოებრივ ინსტიტუტებს აქტიური თუ პასიური ზეგავლენა აქვთ კონკრეტული სოციალური ნარატივების ჩამოყალიბებაზე. პროპაგანდა კი ფუნქციონირებს, როგორც საზოგადოებრივი ნორმების კონტროლის მექანიზმი.

ფესვგადგმულია რა სიმდიდრისა და სოციალურ-კლასობრივ ინტერესთა კონფლიქტის სამყაროში, სისტემური პროპაგანდა არსებითი მექანიზმია ძალა-

უფლებრივი დინამიკის შესანარჩუნებლად.

ქვეყნებში, სადაც ძალაუფლებრივი ბერკეტები სახელმწიფო ბიუროკრატის ხელშია, მედიაზე მონოპოლიური კონტროლი ხშირად ასრულებს ოფიციალური ცენზურის როლს. ამ შემთხვევაში თვალსაჩინოა, რომ მედია ემსახურება დომინანტური ელიტის მიზნებს. გაცილებით რთულია პროპაგანდისტული სისტემის ამოცნობა კერძო მედიის პირობებში, სადაც ფორმალური ცენზურა არ არსებობს.

ეს განსაკუთრებით ეხება შემთხვევებს, როდესაც მედია კონკურენციას უწევს და თავს ესხმის კორპორაციებსა თუ მთავრობებს, ააშკარავებს მათ მიერ ჩადენილ საზოგადოებრივად საზიანო ქმედებებს და აგრესიულად წარმოაჩენს თავს, როგორც თავისუფალი სიტყვისა და საზოგადოების კეთილდღეობის დამცველს. ის, რაც თვალსაჩინო არ არის (და მედიაში არ არის განხილული), განსაზღვრავს კრიტიკის შეზღუდულობას. მედიაში ინფორმაციული რესურსების მართვის უთანასწორო გადანაწილება და მონოპოლიზაცია განსაზღვრავს, თუ რა მიწოდება საზოგადოებას ახალი ამბების სახით. შესაბამისად, სწორედ ეს განაპირობებს მოვლენათა აღქმის წრილსაც. (E. Herman, N. Chomsky: 1988)

პროპაგანდის მოდელი ორიენტირებულია სიმდიდრის, ძალაუფლების და ინფორმაციული რესურსის უთანასწორო გადანაწილებასა და ცენტრალიზაციაზე. გარდა ამისა, სწორედ რესურსების უთანასწორო გადანაწილება განსაზღვრავს მასმედიის ინტერესებსა და მის თემატურ არჩევანს. შესაბამისად, როდესაც ვაანალიზებთ ქალთა უფლებების, ფემინიზმის, ლგბტ+ თემის, ქვიარ აქტივიზმისა და მსგავსი თემატიკის გაშუქების ფორმასა თუ შინაარსს, ეს ფაქტორები გასათვალისწინებელია.

ნიგნის პირველ გამოცემაში ჰერმანი და ჩომსკი (1988) გამოყოფენ ხუთ ე.წ. ფილტრს. ნაშრომში ვკითხულობთ: „*ის [ფილტრი] კვალდაკვალ მიჰყვება და ააშკარავებს იმ გზებს, რომლითაც ფული და ძალაუფლება ფილტრავენ მათთვის ხელსაყრელ, დასაბეჭდად გამოსაღებ ახალ ამბებს, ახდენენ განსხვავებული აზრის მარგინალიზებას, მთავრობასა და გაბატონებულ კერძო ინტერესებს აძლევენ შესაძლებლობას, თავიანთი ხმა მიანვდინონ საზოგადოებას*“. [E. Herman, N. Chomsky: 1988]

ჩვენი მიზნებიდან გამომდინარე, ძალაუფლებრივი სტრუქტურების კონტროლს ვიწრო წრილში განვიხილავთ. კონტროლი, ერთი მხრივ, გულისხმობს ინფორმაციის და აზრთა სხვადასხვაობის მორგებას ნაციონალისტურ ფასეულობებზე აგებულ დომინანტურ საზოგადოებრივ ინსტიტუციებზე, ხოლო მეორე მხრივ, ამ ინსტიტუციების მიერ წარმოქმნილი ინფორმაციული ნარატივების გამოყენებას ადამიანთა მარგინალიზებითვის. შესაბამისად, ამ ნაციონალისტურ, ანტიფემინისტურ თუ ანტიქვიარ ინფორმაციაზე აქცენტირებით ვაანალიზებთ

ქვემოჩამოთვლილ ფილტრებს.

ფილტრის ხუთი კატეგორია გამოიყოფა:

- 1) მფლობელობა: მედია-ორგანიზაციის ზომა, მისი კონცენტრირებული მფლობელობა და მოგებაზე ორიენტირებულობა, ორგანიზაციის მფლობელის სიმდიდრე, პოპულარული ნაციონალისტური, ანტიფემინისტური და ანტიქვიარ ნარატივების გაშუქება ფინანსური მოგების მიზნით.
- 2) რეკლამა, როგორც მედიის ძირითადი შემოსავლის წყარო. რეკლამის განმთავსებლების შესაძლო ინტერესები კონკრეტულ ნარატივების მხარდაჭერაში.
- 3) წყაროები: მედიის დამოკიდებულება მთავრობის, ბიზნესისა და „ექსპერტების“ მიერ მიწოდებულ ინფორმაციაზე, რაც დაფინანსებულია ამ პირველადი წყაროების და ძალაუფლების აგენტების მიერ;
- 4) “უხეში კრიტიკა” (Flak), როგორც მედიის „დისციპლინების“ საშუალება;
- 5) შიში, როგორც კულტურული და იდეოლოგიური ფილტრი. თავდაპირველად წოდებული „ანტიკომუნიზმად“ (1988), საბჭოთა კავშირის დაშლის შემდგომ კი - „შიშად“ (2002). ეს არის კულტურული მტრის ხატის შესაქმნელი ზოგადი მექანიზმი.

ზემოჩამოთვლილი ელემენტები ურთიერთქმედებენ და აძლიერებენ ერთმანეთს. ინფორმაცია ერთგვარი ნედლეულია, რომელმაც თანმიმდევრულად უნდა გაიაროს ამ ფილტრებში. საზოგადოებას მასმედიის მიერ სანქცირებული ახალი ამბები, მიმოხილვები თუ სხვა საბოლოო პროდუქტი მიეწოდება. საზოგადოებრივი და პოლიტიკური დისკურსები და მათი ინტერპრეტაცია წინასწარგანსაზღვრულია. ძალაუფლებრივი სისტემები, ამ შეთხვევაში ნაციონალისტური და სისპეტეროპატრიარქალური, პირველ რიგში წყვეტენ, თუ რა არის სიახლე და ყურადსაღები. ეს ფილტრები განსაზღვრავენ სოციო-ეკონომიკურ პრინციპებს, რომლის მიხედვითაც მუშავდება და კონტროლირდება ინფორმაცია. ამგვარადვე განისაზღვრება ზოგადი ნაციონალისტური ფონის არსებობა ქვეყანაში, რაც ხშირად ავტომატურად აპირობებს ანტიფემინისტურ და ანტიქვიარ ნარატივს.

პოლიტიკური ელიტის მიერ მედიაზე დომინირება და დისიდენტების მარგინალიზება, რაც სწორედ ამ ფილტრების მოქმედების შედეგია, ბუნებრივ პროცესად აღიქმება. შედეგად, მედიაში მომუშავე ადამიანები, რომლებიც შეიძლება სრული პათიოსნებითა და კეთილგანწყობით მოქმედებდნენ, შეძლებენ საკუთარი თავის დარწმუნებას, რომ ისინი მოვლენებს ობიექტურად და პროფესიონალურად აშუქებენ. ფილტრის შეზღუდვების ფარგლებში ისინი ობიექტურებად მიიჩნევიან. მოცემული შეზღუდვები იმდენად ძლიერია და იმდენად საფუძ-

ვლიანადაა ფესვგადგმული სისტემაში, რომ ხშირ შემთხვევაში, ჟურნალისტები ვერც კი წარმოიდგენენ, რომ ახალი ამბების შერჩევის თავისუფლება შეიძლება ჰქონდეთ. იმისათვის, რომ კორპორაციული, პოლიტიკური თუ სამთავრობო (ან სამივე) მხრიდან ნედლი ინფორმაციის მანიპულაციის მექანიზმები გამოაშკარავდეს, საჭიროა, მედიის ოპერაციების მიკრო და მაკრო ანალიზი - სქემის გამოსაჭერად და სისტემური მიკერძოებულობის გამოსააშკარავებლად. (E. Herman, N. Chomsky: 1988)

პირველი ფილტრი: მფლობელობა (OWNERSHIP)

მედია კორპორაციების ზომა და მოგებაზე ორიენტირებული იმპერატივი ქმნის მიკერძოებას. ჰერმანი და ჩომსკი (1988) მოგვითხრობენ, მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში მუშათა უკმაყოფილების ფონზე როგორ შეიქმნა რადიკალური ბრიტანული პრესა. მაგრამ დოკუმენტებით დადგენილი გადასახადების გამო გაზეთების მფლობელობა გადავიდა საზოგადოების მიერ „ღირსეულად“ მიჩნეულ მდიდრების ხელში. მიუხედავად ამისა, შენარჩუნდა მედიის მრავალფეროვნების გარკვეული ხარისხი. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ ბრიტანეთში რადიკალურ ან მშრომელთა უფლებებზე ორიენტირებულ გაზეთებში, როგორებიცაა Daily Herald, News Chronicle, Sunday Citizen და Daily Mirror რეგულარულად ქვეყნდებოდა კაპიტალისტური სისტემის მაკრიტიკებელი და დამგმობი სტატიები (1970-იანი წლების შემდეგ ყველა განადგურდა, გაქრა ან შთაინთქა კორპორაციულ მედია სივრცეში). ავტორები ვარაუდობენ, რომ ეს ადრეული რადიკალური პუბლიკაციები არ იყო შებლუდული კორპორაციული საკუთრებით, შესაბამისად, თავისუფლად შეეძლოთ კაპიტალისტური სისტემის კრიტიკა.

ჰერმანი და ჩომსკი (1988) ამტკიცებენ, რომ რამდენადაც ამჟამად მთავარი მედიასაშუალებები დიდი კორპორაციებისა ან კონგლომერატების ნაწილია, საზოგადოებისთვის მიწოდებული ინფორმაცია მიკერძოებულია მათი ინტერესებიდან გამომდინარე. ასეთი კონგლომერატების ზეგავლენა ხშირად ვრცელდება ტრადიციული მედიის მიღმაც და, შესაბამისად, აქვთ ფართო ფინანსური ინტერესები, რაც გარკვეული ინფორმაციის გასაჭაროების შემთხვევაში, შეიძლება საფრთხის ქვეშ აღმოჩნდეს. ახალი ამბები, რომლებიც საფრთხეს უქმნის მათ, ვინც მედიას ფლობს და ვისაც კორპორაციული ფინანსური ინტერესები აქვთ, ყველაზე დიდ მიკერძოებას და ცენზურას წააწყდება. თუ მოგების გაზრდა ნიშნავს ახალი ამბების ობიექტურობის განირვას, მაშინ ხელთ შეგვრჩება ფუნდამენტურად მიკერძოებული მედია.

ჩვენს კონტექსტში გასათვალისწინებელია მასმედიის მფლობელობა და პოლიტიკური აფილაცია: ტელეკომპანია „რუსთავი 2“, როგორც „ნაციონალური

მოძრაობის“ მხარდამჭერი, „იმედი“, კი - როგორც „ქართული ოცნებისა“. PostTV-ის შალვა რამიშვილის მფლობელობა და მისი აფილაცია “ქართულ ოცნებასთან”; ლევან ვასაძის რესურსები და მის მიერ დაფინანსებული გადაცემები.

მეორე ფილტრი: რეკლამა (ADVERTISING)

პროპაგანდისტული მოდელის მეორე ფილტრია რეკლამისაგან მიღებული დაფინანსება. მასმედიისა და სოციალური მედიის უმეტესობას ხარჯების დასაფარად უწევს რეკლამის მოზიდვა, რის გარეშეც ხელმისაწვდომობის შეზღუდვა მოუწევდათ გადასახადების გაზრდით ან უფასო პლატფორმის ფასიანად გადაქცევით. მთელს მედია სივრცეში დიდი კონკურენციაა რეკლამების მოზიდვაზე. შესაბამისად, ნაკლებად რეკლამირებული მედია პლატფორმები და გადაცემები ნაკლებშემოსავლიანები არიან. ამ კონკურენციის პირობებში გადარჩენა დამოკიდებული ხდება დაფინანსების არსებობაზე. მეტად დაფინანსებულ, მაღალშემოსავლიან მასმედიას შეუძლია დაბალშემოსავლიანის დაჯაბვნა, რაც მისი გაქრობის რისკს ზრდის.

მსგავს განლაგებაში მომხმარებელი ბიზნესია, რომელიც რეკლამებს ათავსებს, პროდუქტი კი - მედიის მომხმარებლები არიან. გასათვალისწინებელი ხდება რეკლამის განთავსების ინტერესი კონკრეტულ თემატიკების გავრცელებაში.

მესამე ფილტრი: წყაროები (SOURCING)

მესამე ფილტრია მასმედიის ახალი ამბების წყაროები. „ეკონომიკური საჭიროებისა და ინტერესთა გადაკვეთის გამო მასმედია სიმბიოზურ ურთიერთობაშია ინფორმაციის გავლენიან წყაროებთან“. [E. Herman, N. Chomsky: 1988]. მასმედიის კონგლომერატებსაც არ შეუძლიათ ნებისმიერ ადგილას გაუშვან სამუშაოდ და გაანაწილონ საკუთარი ჟურნალისტები.

განისაზღვრება “სტრატეგიული ინფორმაციული პუნქტები” - რა გეოგრაფიულ ადგილმდებარეობას, ინსტიტუტებს და სოციალურ მოვლენებს უნდა მიექცეს ყურადღება. გასათვალისწინებელი ხდება პოლიტიკური და კულტურული ფონი, მთავრობისა თუ ბიზნეს კონგლომერატების ინტერესები. წყაროების შერჩევა ხდება ძალაუფლებრივი სტრუქტურების მიერ დადგენილი წესების მიხედვით.

ასევე მნიშვნელოვანია „ექსპერტები“ - ვის მიიჩნევენ ექსპერტებად ამ ძალაუფლებრივი ფაქტორების გადაკვეთისას. მაგალითად, ინგა გრიგოლია რატომ იწვევს გირჩის და მარშის წევრებს ლგბტქ+ თემის საკითხების განსახილვე-

ლად; ჰომოფობიასთან დაკავშირებულ საკითხებზე რატომ აშუქებენ ეკლესიისა და ფაშისტების პოზიციებს; ქალთა უფლებების საკითხზე სასაუბროდ რატომ ინვევენ კაცებს და ა.შ.

როდესაც მედია ფემინისტურ და ქვიარ საკითხებს აშუქებს, ყურადსაღებია ვინ ლაპარაკობს ამ თემაზე და ვის არ აძლევენ საუბრის საშუალებას.

მეოთხე ფილტრი: უხეში კრიტიკა (FLAK)

მეოთხე ფილტრია “უხეში კრიტიკა”, რომელსაც ჰერმანი და ჩომსკი აღწერენ, როგორც ნეგატიურ უკურეაქციას მედიის გადაცემასა ან განცხადებაზე. ამან შეიძლება მიიღოს წერილების, ტელეგრაფების, სატელეფონო ზარების, პეტიციების, სასამართლო საჩივრების, კანონპროექტის ცვლილების მოთხოვნისა თუ საჯარო გამოსვლების ფორმა. მსგავსი კრიტიკის ფუნქციაა გაბატონებულ საზოგადოებრივ დისკურსში კონტრნარატივების ჩახშობა, მუქარა და სხვა სადამსჯელო მოქმედებები. ისევე როგორც ზემოჩამოთვლილი ფილტრები, “უხეში კრიტიკაც” მარტივად შეიძლება იყოს კონტროლირებადი.

ამ ფილტრის მთავარი ფუნქციაა გაბატონებული ნარატივის მონინალმდევე მედიის და ინდივიდების დისკრედიტაცია; ჩვენს კონტექსტში - ფემინისტი და ქვიარ აქტივისტების, უფლებადამცველების, მიზოგინიური და ქვიარფობიული ძალადობის მსხვერპლებისა და სხვ.

მეხუთე ფილტრი: შიში (FEAR)

მეხუთე და ბოლო “საინფორმაციო ფილტრია” შიში. მისი ფუნქციაა პოლიტიკური, სოციალური თუ სხვა ტიპის მოძრაობების, ორგანიზაციების დემონიზება. კონკრეტული შემთხვევების კრიტიკის ნაცვლას, ახდენენ ზოგადი იდეოლოგიური სტრუქტურებსა და ფასეულობების დემონიზებას. ქმნიან კონტრნარატივს, რომლიც არ არის აუცილებელი, შეესაბამებოდეს რეალობას, მთავრია, კულტურულად წარმოქმნას ანტიიდეოლოგია. ეს უკანასკნელი საზოგადოებრივ შიშსა და სიძულვილს თესავს ისეთი ჯგუფების მიმართ, რომლებიც პოტენციურ საფრთხეს წარმოადგენენ დომინანტური სისპეტეროპატრიარქალური და ნაციონალისტური წყობისათვის. არ აქვს მნიშვნელობა, ეს საფრთხე რეალურია, გაზვიადებული თუ წარმოსახვითი, მთავარია, აგრესია ამ ჯგუფებისკენ მიმართონ.

აღსანიშნია, რომ ამ ჯგუფების რეალური შეხედულებები იშვიათად განიხილება, წარმოიქმნება ცრუ ნარატივები (მაგ.: ფემინისტებს თანასწორობა არ უნდათ, კაცებისთვის უფლებების ჩამორთმევა უნდათ), რითაც ხდება ამ ჯგუფების პოზიციების დისკრედიტება და ამ ცრუ პოზიციისათვის ვითომდა „რაციონა-

ლური“ კონტრპოზიციის ნაყენება.

1.4 შეჯამება

ანტიფემინიზმის განხილვისას გამოვლინდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი. (1) ფემინიზმის ძირითადი პრინციპების უარყოფა ანტიფემინიზმის არსებითი შემადგენელია. (2) მნიშვნელოვანია სხვაობა ზოგად ანტიფემინისტურ განწყობილებებსა და ანტიფემინისტურ დაჯგუფებებს შორის. ანტიფემინისტური განწყობილებები გამოწვეულია დომინანტური კაპიტალისტური სისჭეტერო-პატრიარქალური წყობით და ქმნის მტრულ კულტურულ გარემოს ქალთა და ქვიარ უფლებებისთვის, ხოლო ანტიფემინისტური დაჯგუფებები ანტიფემინიზმს იყენებენ შეტევის იარაღად და მემარჯვენე თუ ულტრანაციონალისტურ ფასეულობების გასავრცელებლად. (3) გარდა ამისა, მნიშვნელოვანია სხვაობა საქართველოში არსებულ პროგრესულ ძალებს, ფსევდომემარცხენეებსა და რადიკალმემარჯვენე დაჯგუფებებს შორის. პროგრესულ ძალები და ფსევდომემარცხენეები ნომინალურად არიან ქალთა და ქვიარ უფლებების მომხრეები, მაგრამ მხოლოდ პატრიარქალურ ქრილში. რადიკალური მემარჯვენე დაჯგუფებების მიზანია ქალების ნამდვილ თუ მითოლოგიზებულ სტანდარტებზე სრული დამორჩილება და ქვიარ ადამიანების საზოგადოებიდან აღმოფხვრა. ულტრანაციონალიზმი მუდმივი კულტურული ფონია, ქვეყანა ულტრანაციონალისტებმა ააშენეს და ლოკალური პოლიტიკა ყოველთვის ამ კონცეფციების გარშემო ტრიალებს. სადაც დასავლურ სივრცეში ულტრანაციონალიზმი და ნაციონალიზმი უმეტესად მემარჯვენე პოლიტიკური კურსის ნაწილად ითვლება, ჩვენთან მუდმივი ფონია, რაც მას პოლიტიკურ ასპარეზს უფართოებს. მართალია, ფაშიზმის აღწერის ეკოსეული ყოველი პრინციპი არ ესადაგება ჩვენს მიერ განხილულ ყველა პოლიტიკურ ჯგუფს, მაგრამ რადიკალური ნაციონალისტური ფონის გამომდინარე, გარკვეული მახასიათებლები ვლინდება. ეკოსეული “პირველადი ფაშიზმის” კრიტერიუმები ხშირად გამოიყენება ქსენოფობიურ ელემენტების გასაანალიზებლად, ჩვენ კი მათი საშუალებით ქალთმოდულებობასა და ქვიარმოდულებობას ვიკვლევთ. პროპაგანდის მოდელის გაანალიზებისას განვიხილავთ არა მასობრივ პოლიტიკურ კურსს, არამედ - ჩაგრული ჯგუფების დემონიზაციას კონკრეტული პოლიტიკური მიზნებისთვის. გამოვყოფთ, რა ჯგუფები ლაპარაკობენ მედიაში ანტიფემინისტური რიტორიკით, რა მიზნები ამოძრავებთ მათ და როგორ კულტურულ ფონს ქმნიან. შეძლებისდაგვარად გამოვყოფთ პლატფორმის მფლობელების პოლიტიკურ და იდეოლოგიურ მიდრეკილებებს და მიზნებს მსგავსი ანტიფემინისტური და ქვიარფობიური ნარატივების გასავრცელებლად.

2. მეთოდოლოგია - კრიზიკული დისკურსის ანალიზი (კდა)

2.1 სამეცნიერო, სოციალური კვლევის მეთოდი

ნორმან ფერგლას მიხედვით, კრიტიკული დისკურს ანალიზი, როგორც სამეცნიერო, სოციალური კვლევის მეთოდი, ყურადღებას ამახვილებს კვლევის კონკრეტული ობიექტის შერჩეულ ასპექტებზე. მაგალითად, თუ როგორი ენა მუშაობს ახალ კაპიტალიზმში. („კრიტიკულ დისკურს ანალიზს“ შემდგომში აღვნიშნავთ აბრევიატურით „კდა“).

ნორმან ფერგლას მიიჩნევს, რომ კდა არის თეორიული პერსპექტივა, როგორც ზოგადად, ენის, ისე ნიშან-სიმბოლოების შესახებ (იქნება ეს „ვიზუალური ენა“, „სხეულის ენა“ თუ სხვ.). კდა, როგორც თეორიული პერსპექტივა, წარმოადგენს მატერიალური სოციალური პროცესის ერთ ელემენტს ან ერთ „მომენტს“. ის გვთავაზობს მრავალწახნაგიანი სოციალური პროცესის ენისა და ნიშან-სიმბოლოების გაანალიზების მექანიზმს.

კდა-ის ამ ვერსიის ანალიტიკური ჩარჩო ენას და ნიშან-სიმბოლოებს (სემიოტიკას) მატერიალური სოციალური პროცესის განუყოფელ ელემენტად განიხილავს. სემიოტიკა, თავის მხრივ, მოიცავს მნიშვნელობათა წარმოების ყველაწარმოების ფორმას.

სოციალური ცხოვრება შეგვიძლია დავინახოთ, როგორც სხვადასხვა სახის სოციალური პრაქტიკის ურთიერთდაკავშირებული ქსელი (ეკონომიკა, პოლიტიკა, კულტურა და ა.შ). ყოველ პრაქტიკას კი საკუთარი სემიოტიკური ელემენტები აქვს. სოციალურ პრაქტიკებზე ფოკუსი გვეხმარება სტრუქტურის პერსპექტივებისა და ქმედებათა პერსპექტივების კომბინირებულ ანალიზში. პრაქტიკა, ერთი მხრივ, არის სოციალური მოქმედების შედარებით მუდმივი გზა, რომელიც განპირობებულია, როგორც სტრუქტურირებულ ქსელში მისი პოზიციით, ისე სოციალური მოქმედებისა და ურთიერთქმედების სფეროთი, რაც თავის მხრივ, კვლავწარმოებს სტრუქტურას და აქვს მისი ტრანსფორმაციის პოტენციალი. ყველა პრაქტიკა სოციალური ცხოვრების წარმოების არენას წარმოადგენს, იქნება ეს ყოველდღიურ ცხოვრების, ეკონომიკის, პოლიტიკის, კულტურის სფერო.

თითოეული პრაქტიკა შედგება შემდეგი ელემენტებისგან:

- წარმოება;
- წარმოების საშუალებები;

- სოციალური ურთიერთობები;
- სოციალური იდენტობები;
- კულტურული ღირებულებები;
- ცნობიერება;
- ნიშან-სიმბოლოების ენა.

ეს ელემენტები დიალექტიკურ ურთიერთკავშირშია. ისინი შეიძლება მოიცავდნენ, თუმცა არ დაიყვანებიან ერთმანეთის მნიშვნელობაზე.

კდა არის დიალექტიკური ურთიერთობების ანალიზი, ურთიერთობების სემიოტიკასა და სოციალური პრაქტიკის სხვა ელემენტებს შორის. ის განსაკუთრებით ეხება იმ რადიკალურ ცვლილებებს, რაც თანამედროვე სოციალურ ცხოვრებაში ხდება და ინტერესდება იმით, თუ როგორია სემიოტიკა ცვლილებების პროცესებში.

სოციალურ პრაქტიკაში სემიოტიკა ფართოდ ფიგურირებს სამი მიმართულებით. პირველ რიგში, ის გვხვდება, როგორც სოციალური ქმედების პრაქტიკული ნაწილი. მეორე მხრივ, ის გამოიხატება სოციალური აქტორების პრაქტიკულ რეპრეზენტაციაში, რაც პრაქტიკების სოციალური კონსტრუირებაა. მესამე გამოხატულება კი არის კონკრეტული პოზიციების შესრულება და განხორციელება ამ პრაქტიკაში.

სემიოტიკა, როგორც სოციალური ქმედების ნაწილი, შედგება ჟანრებისგან. ჟანრები მოქმედების სხვადასხვა ფორმა და საზოგადოებრივი ცხოვრების წარმოებაა სემიოტიკურ რეჟიმში. სემიოტიკა რეპრეზენტაციითა და თვითრეპრეზენტაციით წარმოქმნის დისკურსებს. დისკურსები სოციალური ცხოვრების სხვადასხვა რეპრეზენტაციაა, რომლებსაც თანდაყოლილი აქვთ პოზიციები - სხვადასხვა პოზიციაში მყოფი სოციალური აქტორები სოციალურ ცხოვრებას სხვადასხვანაირად უყურებენ და წარმოადგენენ. სემიოტიკა პოზიციების შესრულებისა და განხორციელებისას წარმოქმნის სტილებს.

გარკვეული სახით დაკავშირებული სოციალური პრაქტიკები ქმნიან სოციალურ წესრიგს - მაგ. ახალი კაპიტალიზმის ნეოლიბერალური გლობალური წესრიგი, ან უფრო ადგილობრივ დონეზე, კონკრეტულ დროს ამა თუ იმ საზოგადოებაში განათლების სოციალური წესრიგი. ამ უკანასკნელის სემიოტიკურ ასპექტს შეგვიძლია ვუწოდოთ დისკურსული წესრიგი. ამ გზით სხვადასხვა ჟანრი და დისკურსი უკავშირდება ერთმანეთს. დისკურსული წესრიგი არის სემიოტიკური სხვაობის სოციალური სტრუქტურა. ამ წესრიგის ერთ-ერთი ასპექტი დომინაციაა: მნიშვნელობის წარმოების ზოგიერთი გზა გაბატონებული ან ფართოდ გავრცელებულია, როდესაც სხვები შეიძლება იყოს მარგინალური, ოპოზიციური ან ალტერნატიული.

“ჰეგემონიის” პოლიტიკური კონცეფცია შეიძლება სასარგებლო იყოს

დისკურსული წესრიგის ანალიზისას (Fairclough, 1992; Forgacs, 1988; Laclau and Mouffe, 198) - სემიოტიკური სხვაობის გარკვეული სოციალური სტრუქტურა შეიძლება გახდეს ისეთი ჰეგემონიური "სალი აზრის" ლეგიტიმაციის ნაწილი, რომელიც უზრუნველყოფს დომინაციური ურთიერთობების შენარჩუნებას. თუმცა, ჰეგემონია მუდმივადაა ჩართული გარკვეული მასშტაბის ჰეგემონიურ ბრძოლაში. დისკურსული წესრიგი არ არის ჩაკეტილი ან ხისტი სისტემა, ის ღია სისტემაა, რომელიც მუდმივი რისკის ქვეშ იმყოფება იმასთან მიმართებით, რაც ფაქტობრივ ურთიერთობებში ხდება. (გ.124)

2.2 კრიტიკული დისკურს ანალიზის ანალიტიკური ჩარჩო

ქვემოთ წარმოდგენილი კრიტიკული დისკურს ანალიზის ანალიტიკური ჩარჩო მოდელირებულია კრიტიკულ თეორეტიკოს როი ბასკარის კონცეფციის, „განმარტებითი კრიტიკის“, საფუძველზე (Bhaskar, 1986; Chouliaraki and Fairclough, 1999). ანალიზის საფეხურებია:

1. ვგოკუსირდეთ სოციალურ პრობლემაზე, რომელსაც აქვს სემიოტიკური ასპექტი.
2. განვსაზღვროთ ის დაბრკოლებები, რომლებიც ამ პრობლემასთან გამკლავებას უშლის ხელს. ამისათვის უნდა გავაანალიზოთ ქვემოჩამოთვლილი ასპექტები:
 - ა) პრაქტიკების ქსელი, რომელშიც ის მდებარეობს;
 - ბ) სემიოტიკის ურთიერთობა ამ კონკრეტული პრაქტიკების სხვა ელემენტებთან;
 - გ) დისკურსი (თავად სემიოტიკა): 1. სტრუქტურული ანალიზი: დისკურსული წესრიგი; 2. ინტერაქციული ანალიზი; 3. ინტერდისკურსული ანალიზი; 4. ლინგვისტური და სემიოტიკური ანალიზი
3. გავითვალისწინოთ, გარკვეულწილად მაინც თუ „სჭირდება“ სოციალურ წესრიგს (პრაქტიკების ქსელს) აღნიშნული პრობლემა.
4. განვსაზღვროთ დაბრკოლებების გადალახვის შესაძლო გზები.
5. კრიტიკულად შევაფასოთ ანალიზის განვლილი საფეხურები (1-4).

ამ ჩარჩოს ძირითადი მახასიათებელი ის არის, რომ იგი აერთიანებს რელატიურ (2) და დიალექტიკურ (4) ელემენტებს (უარყოფით კრიტიკას პრობლემის დიაგნოსტიკისთვის და პოზიტიურ კრიტიკას მის გადასაჭრელად) ჯერ კიდევ არარეალიზებული შესაძლებლობების ამოცნობის მეშვეობით.

პირველი ეტაპი გვიჩვენებს, რომ კდა-ის ეს მიდგომა პრობლემაზე დაფუძნებული. კდა კრიტიკული სოციალური მეცნიერების ფორმაა, რომელსაც, ერთი მხრივ, სააშკარაოზე გამოაქვს საზოგადოებრივი პრობლემები და, მეორე მხრივ, ხელს უწყობს ამ პრობლემათა გადაჭრის გზების შემუშავებას. რა თქმა უნდა, ისმის კითხვა: ვის პრობლემას? ისევე როგორც, ზოგადად სოციალური მეცნიერებებს, კდა-საც აქვს ემანსიპატორული მიზნები და ფოკუსირებულია იმ პრობლემებთან გამკლავებაზე, რომლებსაც სოციალურ ცხოვრებაში „დამარცხებულები“ აწყდებიან - ღარიბები, საზოგადოებიდან გარიყულები, გენდერული ან რასობრივი ჩაგვრის ობიექტები და ა.შ. მაგრამ ის არ იძლევა სოციალური პრობლემების მკაფიოდ განსაზღვრულ წყობას. ის, რაც პრობლემურია და მოითხოვს ცვლილებას, სადავო და საკამათო საკითხია, კდა კი ერთგვარად დაპირისპირებასა თუ დებატებში და აკეთებს არჩევანს, სოციალური ცხოვრების გარკვეულ მახასიათებელი პრობლემად განსაზღვროს და სწორედ ეს პრობლემა იკვლიოს.

კრიტიკული მიდგომის მეორე ეტაპი პრობლემის დიაგნოზირებას არაპირდაპირი გზით გვთავაზობს, როდესაც სვამს კითხვას, თუ რა დაბრკოლებები არსებობს ამ პრობლემასთან გასამკლავებლად - როგორ არის სოციალური ცხოვრება სტრუქტურული და ორგანიზებული ისე, რომ ამ პრობლემას რეზისტენტულს ხდის მარტივი გადაწყვეტის მიმართ? დიაგნოზირება ითვალისწინებს იმ გზას, რომლითაც სოციალური პრაქტიკები ერთმანეთს უკავშირდება; გზას, რომლითაც მნიშვნელობის მინიჭება უკავშირდება სოციალური პრაქტიკის სხვა ელემენტებს და თავად დისკურსის მახასიათებლებს. იქიდან გამომდინარე, რომ ეს უკანასკნელი წარმოადგენს კონკრეტულ ფოკუსს დისკურს ანალიზზე, მას უფრო დეტალურად განვიხილავთ.

ზემოთ განვიხილეთ კდა-ში არსებული ვარიაციები სტრუქტურაზე ფოკუსირებასა და მოქმედებაზე ფოკუსირებას შორის - ყურადღება გავამახვილეთ დისკურსული წესრიგის სტრუქტურირებასა (a focus on the structuring of orders of discourse) და იმაზე, თუ რა ხდება კონკრეტული ურთიერთქმედების დროს (a focus on what goes on in particular interactions). ამ შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის დაბრკოლებები ნაწილობრივ დაკავშირებულია დისკურსულ წესრიგში სოციალური სტრუქტურირების სემიოტიკურ განსხვავებებთან (მაგ. როგორ ახდენს მენეჯმენტური დისკურსი სახელმწიფო სერვისების ისეთი დარგების კოლონიზებას, როგორიცაა განათლება).

გარდა ამისა, ისინი ნაწილობრივ უკავშირდებიან დომინანტურ ან გავლენიან ურთიერთქმედებებს და ამ ურთიერთქმედებაში ენის გამოყენების გზებს. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ უნდა გავანალიზოთ ურთიერთქმედებები. “ურთიერთქმედება” აქ გამოყენებულია ფართო გაგებით: საუბარი ურთიერთქმედების ფორ-

მაა, თუმცა ასევეა სტატია გაზეთში, იმის მიუხედავად, რომ ურთიერთქმედებაში მონაწილეები სივრცითა და დროით შორს არიან ერთმანეთისგან. ასევე, მაგალითად, სატელევიზიო ან ელექტრონული ფოსტის ტექსტებიც, ამ გაფართოებულ გაგებით, ურთიერთქმედებას წარმოადგენს.

ურთიერთქმედებით ანალიზს ორი ასპექტი აქვს. უპირველეს ყოვლისა, ეს ინტერ-დისკურსული ანალიზია: როგორ ახდენს კონკრეტული ტიპის ურთიერთქმედება სხვადასხვა ჟანრის, დისკურსისა და სტილის არტიკულირებას? ამ შემთხვევაში, ვარაუდობენ, რომ ურთიერთქმედება (ან ტექსტი), როგორც წესი, ჟანრის, დისკურსისა და სტილის ჰიბრიდია. ანალიზის ერთი ასპექტია სწორედ გარკვეული ტიპის ურთიერთქმედების მახასიათებლების კონკრეტული კომბინაციის იდენტიფიცირება; მეორე ასპექტი კი - ენობრივი და სემიოტიკური ანალიზის სხვა ფორმები (მაგალითად, ვიზუალური სურათების ანალიზი). ცოტა რამ ვთქვათ ლინგვისტური ანალიზის შესახებაც.

ერთი პრობლემა მათთვის, ვინც ენათმეცნიერების სპეციალისტი არ არის, ისაა, რომ არსებობს ურთიერთქმედების ენის მრავალი განსხვავებული ასპექტი, რაც შეიძლება კრიტიკული ანალიზისთვის რელევანტური იყოს. თუმცა ამასთან ერთად, არსებობს ენობრივი მახასიათებლების სხვადასხვა ჩამონათვალი, რომელთა კრიტიკულ ანალიზში გამოყენებაც, როგორც წესი, საკმაოდ სარგებლიანია (მაგ. Fairclough, 1992: Chapter 8; Fowler et al., 1979: Chapter 10). კდა-ის ეს ვერსია კონკრეტულ ენობრივ თეორიას - სისტემურ-ფუნქციონალურ ლინგვისტიკას (Halliday, 1994) - ემყარება. ეს თეორია განიხილავს და აანალიზებს ენას, როგორც აგებულს (გრამატიკულადაც კი) იმ სოციალური ფუნქციების მიხედვით, რომელთაც ის ემსახურება. ასე შედარებით მარტივია იმის გარკვევა, თუ როგორ უკავშირდება სოციალური ანალიზის კატეგორიები ენობრივ ანალიზის კატეგორიებს (ამ ტიპის ენობრივი ანალიზის შესახებ იხ. Chouliaraki და Fairclough, 1999: თავი 8).

ანალიზის მესამე ეტაპი, რომელიც განსაზღვრავს “სჭირდება” თუ არა ეს პრობლემა სოციალურ წესრიგს, “არის” და “უნდას” ერთმანეთთან დაკავშირების არაპირდაპირი გზაა. თუ შეგვიძლია დავეფუძნოთ იმ კრიტიკას, რომ სოციალური წესრიგი თანდაყოლილად წარმოშობს მნიშვნელოვან პრობლემათა რიგს, რომლებიც მას საკუთარი თავის შენარჩუნებისთვის „სჭირდება“, ის ხელს უწყობს რადიკალური სოციალური ცვლილებების საჭიროების დასაბუთებას. იდეოლოგიის საკითხი აქაც იჩენს თავს: დისკურსი იდეოლოგიურია იმდენად, რამდენადაც ის ხელს უწყობს ძალაუფლების და დომინაციის კონკრეტული ურთიერთობების შენარჩუნებას.

ანალიზის მეოთხე ეტაპი ნეგატიურიდან პოზიტიურ კრიტიკაზე გადადის. ეს ეტაპი გულისხმობს არსებული ვითარების ცვლილების აქამდე არარეალიზებული ან არასრულად რეალიზებული შესაძლებლობების დადგენას. ეს შეიძლე-

ბა იყოს საზოგადოებრივ წესრიგის დომინირების სფეროებში არსებული შეუსაბამობების (contradictions), ხარვეზების ან წარუმატებლობის გამოვლენა (მაგ. შეუსაბამობები დომინანტური ტიპის ურთიერთქმედებაში), ან განსხვავებისა და წინააღმდეგობის (resistance) გამოაშკარავება.

დაბოლოს, მეხუთე ეტაპზე ანალიზი რეფლექსურად უბრუნდება საკუთარ თავს და სვამს კითხვებს, როგორიცაა მაგალითად, რამდენად ეფექტურია მისი კრიტიკა, შეუძლია თუ არა მას ხელი შეუწყოს სოციალურ ემანსიპაციას, არის თუ არა ის კომპრომეტირებული საკუთარი პოზიციონირების გამო აკადემიურ პრაქტიკაში, რომელიც დღევანდელ დღეს ასე მჭიდრო კავშირშია ბაზართან და სახელმწიფოსთან.

3. მედია ანალიზი — ელვ-ინფო, გიჩი და POSTV (გუჩიზმები)

3.1 კონტექსტი

ბოლო წლებში საქართველოში ანტიფემინისტური და ანტიგენდერული პოლიტიკური დისკურსის გააქტიურებისა და რადიკალიზების ტენდენცია აიხსნება, ერთი მხრივ, ჩვენი უახლესი ისტორიით - პოლიტიკური ტრანსფორმაციების, პოლიტიკური ძალებისა თუ დღის წესრიგის შეპირისპირებით; ხოლო მეორე მხრივ, გლობალურად მიმდინარე მოვლენებისა და გეოპოლიტიკური მიმართებების გავლენით.

საბჭოთა კავშირის დაშლისა და დამოუკიდებელი სახელმწიფოს ჩამოყალიბების პროცესში წარმოქმნილი ახალი პოლიტიკური იდენტობების ძიება და აგება 90-იანი წლებიდან მოყოლებული ეროვნული, ქართული, პროდასავლური და პრორუსული იარღიყების მორგებას თუ მიკერებას, მტრის ხატების შექმნას და რიგი საკითხების ინსტრუმენტალიზებას ახდენდა პოლიტიკურ სივრცეში იდენტობების გამიჯვნისა და მონიშვნის მიზნით.

ზოგადად, ქართულ პოლიტიკურ სივრცეში მოქმედი ჯგუფები გარკვეულ კონსერვატიზმით ხასიათდებიან და სხვადასხვა ხარისხის კონსერვატიულ-პოპულისტურ რიტორიკას იყენებენ როგორც ქალთა და გენდერულ, ისე ეთნიკურ და რელიგიურ საკითხებთან მიმართებით. მსგავს პოლიტიკურ პოზიციონირებას სხვადასხვა დროს იყენებენ როგორც ქართული ოცნება, ნაციონალური მოძრაობა თუ სხვა პარტიები, ისე ახლადწარმოქმნილი პოლიტიკური ჯგუფები.

პოლიტიკურ ველზე, რომელიც ძირითადად, ლიბერალურ და კონსერვატიულ ღირებულებათა სისტემების მხარეებად ხელოვნურად არის დაყოფილი, თითოეული პოლიტიკური აქტორი ერთ ან მეორე მხარეს მოინიშნება. პოლიტიკური კრიზისების, ტურბულენტობისა და ცვლილების პერიოდში ყალიბდება ნაციონალიზმის ახალი დისკურსები და წარმოიქმნება ახალი პოლიტიკური აგენტობები.

2012 წელს, ხელისუფლების ცვლილების შემდეგ, ულტრანაციონალისტური დისკურსი უფრო მეტად გამოჩნდა ზედაპირზე. 2013 წლის 17 მაისის მოვლენების შემდეგ გააქტიურდნენ ახალი ულტრაკონსერვატიული ჯგუფები, რომლებსაც მეტად რეაქციონერული, აგრესიული და სპონტანური ქმედებები ახასიათებდათ

და ნაკლებად იდეოლოგიზირებულები და ორგანიზებულები იყვნენ. მოგვიანებით, 2016-17 წლიდან, კი ამ პროცესის უფრო თანმიმდევრული ორგანიზება, იდეოლოგიური შტრიხების შემოტანა იწყება და ტარდება გარკვეული სახის თეორიული და ინტელექტუალური სამუშაოები. გასული წლებში ამ ჯგუფებმა კიდევ უფრო კარგად აითვისეს ინტერნეტსივრცე, სოციალური ქსელები და სხვადასხვა ონლაინ მედიით კომუნიკაციის ხერხები.

ადგილობრივი კონტექსტისთვის დამახასიათებელი აქტუალური ანტიფემინისტური და ანტიგენდერული საკითხები ძირითადად აგებულია ისეთი საკითხების წინააღმდეგ, როგორცაა ქალთა უფლებებისთვის ბრძოლა, აბორტის უფლება, სექსუალური განათლება, 17 მაისს ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღის აღნიშვნა, ლგბტქ+ ადამიანების ქორწინება და მათ მიერ შვილის აყვანა, “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” და “სექსუალური შევიწროების შესახებ” კანონმდებლობები.

საგულისხმოა, რომ ხშირ შემთხვევაში, ზემოაღნიშნული რიგი საკითხების განხილვას თავად ეს ანტიგენდერული ჯგუფები იწყებენ და გაზვიადებულად აშუქებენ, მაშინ როდესაც, ფემინისტურ და ქვიარ თემის წევრებს ეს საკითხები შეიძლება განხილული და შეჯერებული თავადაც არ ჰქონდეთ. ეს ტენდენცია მიგვანიშნებს იმაზე, რომ ულტრანაციონალისტური აქტივიზმს ვერ განვიხილავთ მხოლოდ საპასუხო რეაქციად ადგილობრივ ემანსიპატორულ პოლიტიკაზე, რადგან ის საკუთარი პოლიტიკური იდენტობის კაპიტალიზებას, თვითორგანიზებას და ამ საკითხების ინსტრუმენტალიზაციით განმტკიცებას, ხშირად, ემანსიპატორული ჯგუფებისგან დამოუკიდებლად ცდილობს.

იდეოლოგია, ინტერესები, დისკურსი

ჩვენ მიერ შერჩეული სამივე ჯგუფი პარტიული პოლიტიკის ამჟამინდელი ან მომავალი აქტორების ონლაინ მედია პლატფორმებს წარმოადგენს. მათი აქტიური, რეაქციონერული და პოპულისტური რიტორიკის გაცხადებული მიზანია, ელექტორატის და მხარდამჭერთა მდგრადი იდეოლოგიური ჯგუფის ჩამოყალიბება და გაძლიერება.

ამ ჯგუფების იდეოლოგიური პალიტრა, ღირებულებების კუთხით, თითქოს თავსდება პოლიტიკური რუკის ულტრამემარჯვენე კონსერვატიზმის, ულტრამემარჯვენე ლიბერტარიანიზმისა და ფსევდო სოციალ-დემოკრატიის უკიდურეს წერტილებში. თუმცა, მათი, როგორც პოლიტიკური აქტორების, ფუნქციისა და შედეგიანობის განსხვავებულობა სადავოა, ხოლო კავშირი ძალაუფლების მქონე პოლიტიკურ ელიტებთან - საკმაოდ ბუნდოვანი.

ჩვენი კვლევისთვის საინტერესო იყო, ერთი მხრივ, ამ ჯგუფების რიტორიკაში ანტიფემინისტური და ანტიგენდერული დისკურსების დაკვირვება და ანალიზი. ხოლო მეორე მხრივ, მცირე მიმოხილვა იმისა, თუ რა გავლენას ახდენს მათ მიერ წარმოებული დისკურსები ქალი და ქვიარ აქტივისტებისა თუ უფლებადამცველების საქმიანობაზე.

3.2 ალტ-ინფო

შპს “ალტ-ინფო” საჯარო რეესტრში შოთა მარტინენკომ 2019 წლის 28 იანვარს დაარეგისტრირა, ხოლო 2017 წელს შექმნილი youtube არხის მეშვეობით ის ინტერნეტ ასპარეზზე 2019 წლის 1 აპრილს პირველი ვიდეობლოგით ჩნდება. ჯგუფის წევრებს ინტერნეტ ვიდეო-ბლოგების თემატიკა დანაწილებული აქვთ და გვესაუბრებიან საშინაო და საგარეო პოლიტიკის მათეულ ხედვაზე, განიხილავენ პოლიტიკურ მოვლენებს, აქტუალურ საკითხებს, აანონსებენ აქციებსა და შეკრებებს, მოუწოდებენ მხარდამჭერებს თვითორგანიზებისკენ და აქტიურად ლობირებენ ლევან ვასაძის პოლიტიკაში მოსვლას.

— ალტ-ინფოს ჯგუფი თითქოს ცდილობს, რომ აჩვენოს რაღაც სოლიდური, კონსერვატიული, მემარჯვენე ალტერნატივა. ამავდროულად, აშკარად ცდილობენ სოციალური საკითხების და კოლონიალიზმის საკითხების ინსტრუმენტალიზებით საზოგადოებრივი მხარდაჭერის მოპოვებას. მაგრამ ძალიან ხელოვნურად, იმიტომ რომ მაგალითად, მათთვის ტრამპი კარგი ტიპია, და თითქოს, რაღაც ეტაპზე, ამერიკულ იმპერიალიზმსაც აკრიტიკებენ. (რესპ. 1)

ალტ-ინფოს ჯგუფი საკუთარ პოლიტიკურ იდენტობას ლიბერალიზმთან და კომუნიზმთან დაპირისპირებითა და მათი კრიტიკით აგებს. ერთი მხრივ, “კომუნიზმის კრახის”, ხოლო მეორე მხრივ, “ლიბერალიზმის კრიზისის” არგუმენტით საზოგადოებას გამოსავალს სთავაზობს ფორმულაში: “სამართლიანობა უდრის იერარქიას” .

— რა არის სამართლიანობა?! ჩემი პასუხი მარტივია - სამართლიანობა არის იერარქია. [...] ჩვენ მარტივად ვამბობთ - ვინც რამდენი იშრომა, იმდენი ეკუთვნის. ანუ, შენ თუ ბევრი გააკეთე რაღაცისთვის, ბევრი გეკუთვნის, თუ ნაკლები გააკეთე, ნაკლები გეკუთვნის. (Nov 27, 2019 - რეალურად რა უნდა ალტ-ინფო ჯგუფს. ნაწილი - 1)

მათი თქმით, დღევანდელი საზოგადოება კულტურული ლიბერალიზმის ისეთ ჰეგემონიურ იერარქიაში ცხოვრობს, სადაც “ქართველი მართლმადიდებელი ქრისტიანი” იერარქიის ყველაზე დაბალ საფეხურზეა მოქცეული.

— თუ გაინტერესებთ, რატომ არის თქვენთვის “ბნელი ღრუბინის” დაძახება სიტყვის თავისუფლება, ხოლო “ელჯიბითი ქომუნითის” წევრისთვის “პიდარასტის” დაძახება - სიძულვილის ენა, პასუხი მარტივია: იმ იერარქიის ფარგლებში, რომელშიც ჩვენ რეალურად ვცხოვრობთ, დომინანტი ჯგუფის მიერ განსაზღვრულ წესებში, თქვენ ხართ ქვედა საფეხურზე. (Dec 4, 2019 - რეალურად რა უნდა ალტ-ინფო ჯგუფს. ნაწილი - 2)

ალტ-ინფოს ინტერაქცია აუდიტორიასთან მუდმივი, პირდაპირი თუ ირიბი მოწოდებაა მომავალი ულტრამემარჯვენე კონსერვატიული პარტიის მხარდასაჭერად და მათი პოლიტიკური იდეოლოგიის მქონე ელექტორატის ჩამოსაყალიბებლად, რომელიც დაუპირისპირდება ლიბერალური და მემარცხენე ღირებულებების მქონე პოლიტიკურ ერთობებს. ჯგუფი გაცხადებულად წარმოგვიდგენს საკუთარი ონლაინ მედია პლატფორმის მისიას და მიზნებს, რაც მედიების პოლიტიკურ-იდეოლოგიური ბრძოლაში კონსერვატიული ნიშის დაკავებას გულისხმობს - “ჩვენ ვართ კონსერვატიული, ტრადიციონალისტური, პროქართული იდეოლოგიის გამტარებლები” (Jan 16, 2020 - ანას ბალის მედია აპოკალიფსი)

შეიძლება ითქვას, რომ “ალტ-ინფოს” ჯგუფისთვის ანტიფემინისტური და ანტიგენდერული, გაცხადებულად ჰომოფობიური რიტორიკა პოლიტიკური პოზიციონირების ერთ-ერთი ყველაზე მნიშვნელოვანი ასპექტია. თუ რიც საკითხებზე საუბრისას თემატიკა ჯგუფის წევრებს დანაწილებული აქვთ, ამ საკითხებზე ჩანერილი ვიდეობლოგები საკმაოდ მრავალრიცხოვანია და თითქმის ყველა ჯგუფის წევრი ერთმანეთის თანმიმდევრულად აკეთებს. ისინი პოზიციონირებენ, როგორც “ლიბერალისტებისგან” საპატრიარქოსა და ქართველი ერის დამცველები, მობილიზდებიან და ილაშქრებენ ფემინისტების და ქვიარ ადამიანების მტრის ხატის წინააღმდეგ.

სხვა ანტიფემინისტური და ანტიგენდერული დისკურსების მსგავსად, ალტ-ინფოსთვის ფემინიზმი და ქვიარ პოლიტიკა ცალსახად დასავლური ფენომენია და სწორედ დასავლეთში არსებული, მითოლოგიზებული, “გარყვნილი” საზოგადოების სახეხატით ცდილობენ ქართული საზოგადოების დაშინებას. ამასთან ერთად, ისინი დასავლური საზოგადოების ულტრანაციონალისტური ჯგუფების აქტივიზმთან ხშირად ავლებენ პარალელებს და მათ თანამებრძოლებად მოიაზრებენ თავს.

— ლიბერალური ფაშიზმის ნიშნები საქართველოში უკვე აშკარაა, მაგრამ ყველაზე ხატოვნად ამ პრობლემის ლუსტრაცია დასავლეთის მაგალითზეა შესაძლებელი, სადაც ლიბერალები უკვე არც კი ერიდებიან განსხვავებულ აზრის რეპრესიას, ცენზურას და ძალადობას. სწორედ ამ გეი დიქტატის პასუხია დასავლეთში მემარჯვენე ძალების ასეთი კოლოსალური პოპულარობა. (May 3, 2019 - 17 მაისი და ლიბერალების ორმაგი სტანდარტები)

ანტიგენდერული დისკურსი

ჰომოფობიის, ტრანსფობიისა და ბიფობიის საწინააღმდეგო საერთაშორისო დღე, რომელიც საქართველოში საჯაროდ პირველად 2011 წლის 17 მაისს აღინიშნა, დროთა განმავლობაში გადაიქცა ულტრამემარჯვენე და ემანსიპატორული ძალების დაპირისპირების საკრალურ თარიღად. ერთი მხრივ, ქვიარ თემისთვის და მათი მხარდამჭერებისთვის ეს თარიღი ძალიან ტრამველ გამოცდილებას უკავშირდება და სიძულვილის, სივრცის წართმევის, ძალადობისა და ამ ძალადობასთან ბრძოლის სიმბოლოდ იქცა. მეორე მხრივ, ულტრამემარჯვენე ძალებისთვის ეს თარიღი თვითორგანიზების, მობილიზების, “მტრებთან” ბრძოლისა და მათზე ნადირობის დღეა.

თარიღი უკავშირდება არა მხოლოდ ფიზიკური დაპირისპირებას, ძალადობასა და სივრცის წართმევას, არამედ სიმბოლურ და დისკურსულ დაპირისპირებას. 2013 წლის 17 მაისს, ქვიარ თემზე თავდასხმისა და რეპრესიების უმძიმესი გამოცდილების, შემდეგ 2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტი იღებს კანონს “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ”, იმავე წელს საქართველოს კათალიკოს პატრიარქი 17 მაისს „ოჯახის სინშინდისა და მშობლების პატივისცემის დღედ“ აცხადებს. 2016 წლის 17 მაისს კი ლევან ვასაძე „დემოგრაფიული საზოგადოება XXI“-ის სახელით მასპინძლობს ოჯახის მსოფლიო კონგრესს.

ყველა სხვა ულტრანაციონალისტური ჯგუფისა და მედიასაშუალების მსგავსად, ალტ-ინფოს ჯგუფისთვის ეს თარიღი ძალიან მნიშვნელოვანი და ყველაზე ხშირად მოხსენიებადია. ამ დღის მოახლოებასთან ერთად ინტენსიურდება ჰომოფობიური რიტორიკა, ძალადობრივი ვიდეო მოწოდებების რიცხვი და მუშაობა საბრძოლო განწყობის შესაქმნელად.

მათი აზრით, ქართული საზოგადოების კონსერვატული ნაწილი “ელგებტე და ლიბერალური დიქტატურის” მსხვერპლია და სწორედ ამიტომ, ისინი “ლიბერალტების მუქარაზე” საპასუხო რეაქციისთვის ირავმებიან. მათი თქმით, ქვეყანაში არსებობს “გეი ლობი”, რომელიც ჰომოფობიური განცხადებების გამო საზოგადო მოღვაწეებს კარიერულ დაბრკოლებებს უქმნის. “დიქტატურის მსხვე-

რბლების” ისტორიები რამდენჯერმე, ზედმინევნით მეორდება და მათ რიცხვშია ოპერის სოპრანო თამარ ივერი, რომელსაც საკუთარი მოსაზრების დაფიქსირების გამო “გეი-ლობიმ ავსტრალიაში კონცერტი ჩაუშალა”; ხელოვნების მოღვაწეები, რომლებიც საპატრიარქოს დაგეგმილ 17 მაისის ღონისძიებებში მონაწილეობის გამო სხვა სივრცეებში იბლოკებიან; სალომე გოგიაშვილი და დავით ქაცარავა, რომლებსაც ტელევიზია დაატოვებინეს “ელტონ ჯონის გეი ოჯახზე ხუმრობის გამო”.

თუკი მათთვის 17 მაისი ელგებეტე დღესასწაულია, ხოლო ჩვენთვის - ოჯახის სინმინდის დღე, მაშინ ისინი ყველაფერს გააკეთებენ იმისთვის, რომ ადამიანს ჩვენს გვერდზე დადგომა მუქარის, სოციუმიდან გარიყვისა და სამსახურის ფასად დაუჯდეს. *(May 3, 2019 - ლიბერალური გამოხატვის თავისუფლება და 17 მაისი)*

2019 წლის 17 მაისს “ოჯახის სინმინდის დაცვის დღისთვის” ალტ-ინფოს ჯგუფი აქციას აანონსებს პოლიტიკურ ორგანიზაციასთან ერთად - “ალტერნატივა საქართველოსთვის”. მათ საზოგადოების “ნორმალურ” ნაწილს ლიბერალური საფრთხის დასამარცხებლად გამოსვლისკენ მოუწოდეს. აუდიტორიის ნაქვებებს ისინი მტრის ხატის გამყარებით და საფრთხის გარდაუვალობის ჩაგონებით ცდილობენ.

დაიწყება ეტაპი, როცა ისინი აგრესიულ შეტევაზე გადმოდიან. შეავიწროებენ და პრობლემებს შეუქმნიან ყველას, ვინც მათგან განსხვავებულ პოზიციას დააფიქსირებს. [...] რაც მეტი ძალა გაუჩნდებათ, მით უფრო აგრესიული გახდება მათი ქცევა. *(May 2, 2019 - 17 მაისის ვმართავთ აქციას ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ!)*

“ლიბერალიზმის დიქტატურის” საფრთხის დასაბუთებისათვის მაგალითად მოჰყავთ ისევ დასავლური გამოცდილებები და ანტიფაშისტური ჯგუფების მიერ ნაციონალისტურ შეკრებებზე თავდასხმის ფაქტები.

აღარაფერს ვამბობ დასავლეთში ლიბერალური აქტივისტების მხრიდან ნაციონალისტებზე და კონსერვატორებზე პირდაპირ ფიზიკურ თავდასხმაზე. [...] როგორც მოსალოდნელი იყო, ვითომ ეს ძალადობასთან მებრძოლი, ჩაგრული, მეტრაკე ცხვრები თვითონ ცდილობენ მოძალადეებად იქცნენ. *(May 2, 2019 - 17 მაისის ვმართავთ აქციას ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ!)*

ალტ-ინფოს ჯგუფი, ერთი მხრივ, არ ერიდება გაცხადებულად ძალადობრივ მონოდებებს და, მეორე მხრივ, სამაგალითო შემთხვევებად მოჰყავს უახლოეს ისტორიაში ქვიარ ადამიანებზე ძალადობის ფაქტები, როგორც ნორმალიზებული, ადეკვაური და სწორი პრაქტიკა. 17 მაისს კანცელარიასთან გასვლა და მსგავსი პოზიციის გამოხატვის უფლება, მათი თქმით, ყველას აქვს და თუ პოლიცია მათი გამოხატვის უფლებას შეზღუდავს, ეს “საქართველოში ლიბერალური დიქტატურის” არსებობის კიდევ ერთი დემონსტრირება იქნება.

ჩვენ პირდაპირ ვამბობთ, რომ პიდარასტების მოძრაობის მხარდაჭერა ტეხავს, ხოლო ის ხალხი, ვინც 2013 წლის 17 მაისს ენჯეო-ლიბერალურ მძღნერს შეუტია, საზოგადოების ყველაზე ნორმალური ნაწილია. [...] სერგეი კაკაჩია, რომელიც შარშან მივიდა ამათ აქციაზე და ხელი გაართყა მეტრაკვს, რომელიც ქრისტიანებს შეურაცხყოფდა და ასევე ის ფაქტი, რომ ინტერნეტში ახალგაზრდების ძალიან დიდმა ნაწილმა მხარი დაუჭირა კაკაჩიას, იმის მაჩვენებელია, რომ ახალ თაობაშიც ძალიან დიდი ნაწილი ნორმალურ პოზიციაზეა და ოპტიმიზმის საფუძველი არსებობს. (May 2, 2019 - 17 მაისის ვმართავთ აქციას ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ!)

ალტ-ინფოს ჯგუფის აზრით, ქვიარ თემის მიმართ აგრესია სრულიად გამართლებულია “მეცნიერული თვალსაზრისით”. მათ მოჰყავთ ფსევდომეცნიერული ბიოლოგიური არგუმენტები და განსხვავებულ ორიენტაციას სხვადასხვა ფსიქოლოგიურ დარღვევებთან აიგივებენ. მათი აზრით, გენდერული იდენტობების ნორმალიზების შემთხვევაში არსებობს საფრთხე, რომ ლგბტ+ ადამიანების რიცხვი გაიზრდება.

მაგალითად, ბრიტანეთის საგანმანათლებლო სისტემაში ბავშვებისთვის ლგბტ პროპაგანდის თავსმოხვევის პირობებში, არასრულწლოვნებში ამგვარი ფსიქო-სექსუალური დარღვევების სიხშირე მკვეთრად გაიზარდა. ასევე შეგვიძლია ისტორიული მაგალითებიც მოვიყვანოთ, თუნდაც ძველი საბერძნეთი, სადაც საზოგადოებაში მსგავსი პათოლოგიური მდგომარეობები ძალიან ხშირი იყო. (May 7, 2019 - რატომ არის აგრესია ლგბტ პროპაგანდისტების მიმართ სრულიად გამართლებული რეაქცია)

ალტ-ინფოც იზიარებს ულტრამემარჯვენე ჯგუფების მიერ უკვე წლების განმავლობაში დაცდილ ისეთ პრაქტიკებს, როგორიცაა ემანსიპატორული მოძრაობების და ჯგუფების დემონტრაციების ჩაშლა, კონტრაქციების მოწყობა და სივრცის დაკავება. ისინი გამოირჩევიან საბრძოლო-ჰეროიკული სულისკვეთე-

ბის მოწოდებებით და, ხშირად, კონტრაქციაზე მოსული ადამიანების რიცხვს და მათ მიერ სივრცის წართმევაში მიღწეულ “გამარჯვებას” გაზვიადებულად წარმოაჩენენ.

ჩვენმა მხარემ მოახერხა და ძალით აახია საჯარო სივრცე სოროს-ენჯეოშნიკებს და უთხრა მათ, რომ სულ ფეხებზე გვკიდია და არ ვაღიარებთ მეტრაკეების გამოხატვის თავისუფლებას და თუ საჭიროა, ძალით დავიცავთ ჩვენს ამ შეხედულებას. *(Jun 15, 2019 - ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო გუშინდელი აქცია და ლიბერალების დაუოკებელი ისტერია)*

ერთი მხრივ, ალტ-ინფოს ანტიფემინისტური და ანტიგენდერული დისკურსი იმიტომაც საფრთხის შემცველი, რომ ის ძალადობრივი პრაქტიკებისა და აგრესიული ქცევის ლეგიტიმაციის წყარო ხდება სხვა ჯგუფებისთვისაც. ხოლო, მეორე მხრივ, საყურადღებოა, რომ ისინი კანონის დარღვევისკენ მოწოდებებს არ ერიდებიან, რაც ძალადობრივი, კრიმინალური ქცევის წახალისებას იწვევს.

საზოგადოების ეროვნულ-კონსერვატიულ უმრავლესობას სხვა აღარაფერი დარჩენია გარდა იმისა, რომ ფეხებზე დაიკიდოს ამ სახელმწიფოს სამართალი და მოახდინოს თვითორგანიზაცია, თუნდაც ძალადობაზე წამსვლელი ჯგუფების შექმნით. [...] აქედან გამომდინარე, ლევან ვასაძის მიერ საზოგადოებების ეროვნულ-კონსერვატიული ნაწილისგან იმ რაზმების შექმნა, რომლებიც მზად არიან თუნდაც ძალით დაიცვან საკუთარი შეხედულებები, არის სრულიად მორალური და გამართლებულ ნაბიჯი. *(Jun 17, 2019 - რატომ არის სრულიად გამართლებული ვასაძის მიერ რაზმების შექმნა)*

ეს ჯგუფი მხარდამჭერებს აქეზებს საზოგადოებისთვის მგრძნობიარე ისეთ საკითხებზე ხაზგასმით, რაც ქართულ რეალობაში ქვიარ თემის და სხვადასხვა ემანსიპატორული ჯგუფის დღის წესრიგში არასოდებს დამდგარა (მაგალითად, ერთსქესიანთა ქორწინებისა და მათ მიერ შვილის აყვანის უფლების საკითხი).

დაჟინებით მოითხოვენ გვი ქორწინების დაკანონებას და მათთვის შვილის აყვანის უფლებას. აუცილებლად მოდით 17 მაისს კანცელარიასთან ჰომოფობიურ აქციაზე. [...] ყველა ლიბერალტი, რეალურად, ჩვენი იდეოლოგიური მტერია. მათი სიძულვილი ყველაზე ადექვატური პოზიციაა, რაც კი პატრიოტს შეიძლება ჰქონდეს. *(May 15, 2019 - 17 მაისს, 18 საათზე, კანცელარიასთან გავმართავთ აქციას ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ)*

მათი აზრით, დისკრიმინაციის წინააღმდეგ ბრძოლის რეალური მიზანი ჰომოსექსუალობის და ტრანსგენდერობის ნორმალიზებაა, რადგან სრული ნორმალიზების გარეშე დისკრიმინაციის აღმოფხვრა შეუძლებელია.

ჰომოსექსუალობის და ტრანსგენდერობის ნორმალიზაცია კი აუცილებლად ნიშნავს, რომ მათ უნდა ჰქონდეთ ქორწინების, შვილის აყვანის, საბავშვო ბაღებში და სკოლებში ბავშვებთან მუშაობის და ლგბტ გაკვეთილების ჩატარების უფლება. (*May 9, 2019 - ლგბტ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა არაადეკვატური იდეოლოგიური დოგმებისგან თავდაცვაა*)

ქალეზზე ძალადობა და მიზომიერება

ნამდვილი მამაკაცი ქალის წარსულში არ იქელება - ეს არის ბოზი ქალის სიბრძნე. (*Oct 9, 2019 - "ნამდვილი მამაკაცი ქალის წარსულში არ იქელება"*)

ალტ-ინფო ასეთივე პირდაპირი სიძულვილის ენით მოიხსენიებს ფემინისტებს და არ ერიდება ქალთმოდულე რიტორიკას. ისინი 2014 წლის 2 მაისს საქართველოს პარლამენტის მიერ “დისკრიმინაციის ყველა ფორმის აღმოფხვრის შესახებ” და 2019 წლის 23 მაისს “სექსუალური შევიწროების შესახებ” გენდერული საბჭოს კანონის მიღებას კრიტიკულად უყურებენ და მათი გაუქმებისთვის იბრძვიან.

ამასთან ერთად, ისინი ქალთა უფლებადამცველებს ორმაგი სტანდარტების ქონაში სდებენ ბრალს, რადგან მაგალითად, მათ საკმარისი უკურეაქცია არ ჰქონიათ ნიკა გვარამიას¹ მიერ ქალზე ძალადობის ფაქტზე.

წარმოიდგინეთ, რამდენ ფერად ბანჯგვლს ამოიპუტავდნენ პროგრესულად გაუპარსავი იდეებიდან ფემინისტები, ელგებეთე გვარამიას ნაცვლად, სხვას რომ ეძალადა ამ ქალზე. [...] ასევე სრული სიჩუმეა იმ პრინციპულ ფემინისტებშიც, რომლებიც ლამის დაჟინებული მზერის გამო კაცების დაჭერას ითხოვენ. (*May 3, 2019 17 მაისი და ლიბერალების ორმაგი სტანდარტები*)

მათი თვალთახედვით, ქალთა მიმართ ძალადობისა და სექსუალური შევიწროების პრობლემა ქალების ინდივიდუალურ პასუხისმგებლობაზე დაიყვანება. ძალადობის მიზეზად კი ქალების გაუფრთხილებლობას, თავისუფალი ცქევას და გამომწვევად ჩაცმას ასახელებენ.

¹ ტელეკომპანია რუსთავი 2 ყოფილი ხელმძღვანელი, მთავარი არხის დამფუძნებელი

ბევრი გოგო მოძრაობს იმ სიგრძის შორტებით, რომლებიც უფრო მოკლეა ვიდრე 15 წლის წინ ტრუსიკები იყო. და ამ სიტუაციაში უცებ რომ მიადგება ვიღაც მუჟუკი და რა ღირსო რომ ჰკითხავს, ეს ისტერიკას მოაწყობს ეგრევე "ეს რა გამიბედე, მე ვიღაც ბოზი ხომ არ გგონივარ?!" (Feb 19, 2020 - მეძავების უნიფორმა)

გარდა ამისა, ისინი ირიბად ამართლებენ ცოლზე ძალადობასა და ცოლის მკვლელობის ფაქტებს. კვენტინ ტარანტინოს ფილმის "ერთხელ ჰოლივუდში" (2019) განხილვისას წამყვანი ამართლებს ცოლის მკვლელ პროტაგონისტს და ფემინისტურ იდეოლოგიას მის შევიწროებაში ადანაშაულებს.

კლიფ ბუთი წლებია კასკადიორად ველარ მუშაობს, რადგან ცოლი მოკლა ფემინისტური ისტერიკობისთვის. კინოინდუსტრიაში კი, უკვე ყველაფერს ფემინისტი სირქალები და მათ მიერ დამონებული, კასტრირებული მამაკაცები განაგებენ. ყველა ამ ფემინურ მასას კაპასი, სირქალა ცოლების მკვლელი კაცები არ ევასება. (Jan 23, 2020 - ერთხელ ჰოლივუდში - ყველაზე ანტილიბერალური ფილმი)

მათი აზრით, რეჟისორი ამ "პატრიარქალური და ანტიფემინისტური კულტურული ნამუშევრების" შექმნით ნაციონალურ-კონსერვატიული გზაზე დაბრუნებას ცდილობს, რადგან დასავლეთის "ლიბერალიზმის კრიზისმა" მას თვალები აუხილა.

ჯგუფი შეშფოთებას გამოთქვამს თამთა თოდაძის მიერ დეპუტატ ილია ჭიშკარიანის მიმართ ძალადობის ბრალდების ფაქტზე. მათი თქმით, მტკიცებულებების არქონის პირობებში მსგავსი ბრალდებები კაცების რეპრესიასა და ცილისწამების საფრთხეს ქმნის.

მართლა ჭიშკარიანს უნდოდა თოდაძის გაუპატიურება, თუ თოდაძემ მოიგონა ეს ყველაფერი იმისთვის, რომ ფული აახიოს ჭიშკარიანს, არა აქვს მნიშვნელობა, ეს არის პრობლემა. (Oct 9, 2019 - დეპუტატს ქალზე სექსუალურ ძალადობას აბრალდებენ)

ჯგუფის თქმით, ძალადობის რისკები ყველა გარემოებაში არსებობს და ამ შემთხვევაშიც პასუხისგებლობა ეკისრება ქალებს, რომლებიც სარისკო სიტუაციაში იგდებენ თავს, მაგალითად, შუალამეს ბნელ ქუჩაში სეირნობენ ან მუშაობენ ისეთ ადგილას, სადაც მათზე ძალადობის მეტი რისკი არსებობს.

მხოლოდ შენს სიტყვებზე დაყრდნობით ან შენს დასისხლიანებულ მუ-

ხლებზე დაყრდნობით კაცს ციხეში ვერ ჩავსვამ! რა ვიცი აბა, რა ვითარებაში დაისისხლიანე ეგ მუხლები?! ანუ გამოსავალი არის ის, რომ უნდა იმუშაო ისეთ ადგილას, სადაც არის ნაკლები იმის რისკი, რომ ვინმემ შენზე იძალადოს. (Oct 9, 2019 - დეპუტატს ქალზე სექსუალურ ძალადობას აბრალებენ)

ისინი საფრთხეს ხედავენ ფემინისტების მოთხოვნაში, დაისაჯოს მამაკაცი მხოლოდ მსხვერპლის ჩვენების საფუძველზე. მათი თქმით, ამ შემთხვევაში ქალებს მამაკაცებზე სექსუალური ძალადობის დაბრალების, მათი სამართლებრივი დევნის, მათთვის კარიერისა და ცხოვრების განადგურების საშუალება ეძლევათ.

ანუ ჩვეულებრივ, სქესობრივი ნიშნით სეგრეგაციას ითხოვენ ფემინისტები და ქალებისთვის პოლიტიკური და კარიერული იარაღის მინიჭებას, სექსუალური ძალადობის ინტრიგნული დაბრალებების სახით. (Oct 9, 2019 - დეპუტატს ქალზე სექსუალურ ძალადობას აბრალებენ)

მათი თქმით, ზოგადად, ოჯახში ძალადობის ფაქტები ქართულ საზოგადოებაში კი ხდება, თუმცა ამ ფაქტების და ქალთა მკვლელობების პროცენტული მაჩვენებელი ჩვენი ქვეყნისთვის ნორმალურია. ჩვენს პირობებში კი, ოჯახში ძალადობასთან და ფემიციდთან ბრძოლა, მთლიანად ოჯახის ინსტიტუტის გაქრობისკენ არის მიმართული.

რადგან თქვენ მაინც რისკის ნოლამდე დაყვანას ცდილობთ, გამოდის შემდეგი რამ, რომ თქვენ პროცესის შეჩერებას ცდილობთ. ანუ, თქვენი ძალისხმევის საბოლოო შედეგი ოჯახის ინსტიტუტის დანგრევა და გაქრობა გამოდის, რადგან მხოლოდ ამ გზით არის რისკის განულება შესაძლებელი. (Jun 19, 2020 - ცრუ-პროპაგანდა ოჯახში ქალზე ძალადობასა და ფემიციდის შესახებ)

ქალთა მკვლელობების სტატისტიკას ისინი უპირისპირებენ აბორტების რაოდენობას და ამტკიცებენ, რომ ამ მხრივ არსებული პრობლემები უფრო საყურადღებო უნდა იყოს საზოგადოებისთვის.

საერთოდ რომ არ მოხდეს არავის მკვლელობა, მაგაზე კარგი არაფერი იქნება, თუმცა მილიონ ცხრაასი ათასი ქალიდან წელიწადში 11 ქალს თუ კლავენ, ეს ობიექტურად არ არის კატასტროფული მაჩვენებელი. [...] თუ თქვენ მართლა გადარდებთ მასიური მკვლელობების პრობლემას, მაშინ

გირჩევთ ყურადღება გაამახვილოთ ქალთა მიერ მუცლად მყოფი ბავშვების მკვლელობების კატასტროფულ მასშტაბებზე. (Jun 19, 2020 - ცრუ-პროპაგანდა ოჯახში ქალზე ძალადობასა და ფემინიციდის შესახებ)

აბორტი და ბავშვთა უფლებები

ჯგუფი ასევე აქტიურად ეხმარება აბორტის უფლების საკითხს და მოჰყავს ფსევდომეცნიერული არგუმენტები, რითაც ჩასახვისთანავე, ნებისმიერ ეტაპსა და გარემოებაში აბორტს მკვლელობას უტოლებს. ჯგუფი აცხადებს, რომ “დემოგრაფიული კრიზისის” პირობებში, აბორტის სტატისტიკური მაჩვენებელი საქართველოში საგანგაშოა და ეს არის ერის გადაშენებისკენ მიმავალი გზა. აბორტის ასეთი მაჩვენებლის მიზეზად კი ლიბერალურ-ფემინისტური იდეოლოგიას ასახელებს, რომელიც მათი აზრით, ერთი მხრივ, ქალების თავისუფალი ქცევას, ხოლო მეორე მხრივ, უპასუხისმგებლო ფემინური მამაკაცების მომრავლებას უწყობს ხელს.

სინამდვილეში ეს ყველაფერი არის ლიბერალურ-ფემინისტური იდეოლოგიის შედეგი, რომელიც ხალხს უპასუხისმგებლო, ეგოისტური ცხოვრებისკენ უბიძგებს. “შენი სხეული შენი არჩევანია”, “შენი ფუჩუ შენი არჩევანია” ლოზუნგებით. [...] შენი ის ლაჩარი და არაკაცი სექს პარტნიორიც შენი არჩევანია, რომლის შედეგადაც დაორსულდი და შემდეგ აბორტის მეშვეობით მოკალი საკუთარი შვილი. (Jun 29, 2020 - აბორტის შესახებ)

ამ სიტუაციიდან ერთადერთ გამოსავლად ჯგუფი ასახელებს აბორტის მორალურ და საკანონმდებლო დონეზე აკრძალვას. წარმატებულ მაგალითად კი პოლონეთის საკანონმდებლო ცვლილებები მოჰყავს.

ბოლო პერიოდში მედიაში და სოციალურ ქსელებში ცხარე კამათია სკოლებში სექსობრივი აღზრდის გაკვეთილების დამატება-არდამატების საკითხთან დაკავშირებით. კონსერვატორები მიიჩნევენ, რომ ამ შინაარსის გაკვეთილები სკოლებში არ უნდა იყოს. ხოლო ლიბერალებს მიაჩნიათ, რომ ასეთი გაკვეთილები არა თუ უნდა იყოს სკოლებში, არამედ ისინი სავალდებულო უნდა იყოს ყველა ბავშვისთვის და კონსერვატორ მშობლებს იმის უფლებაც კი არ უნდა ჰქონდეთ, რომ საკუთარი შვილები ამ გაკვეთილებს არ დაასწრონ. [...] მაინც ავხსნი, რატომ ეწინააღმდეგება ხალხი ბავშვისთვის სექსუალური აღზრდის გაკვეთილებს და რა ლოგიკაა ამ წინააღმდეგობაში. საქმე იმაშია, რომ სექსუალობა არის თემა, რომლის არასწორმა განვი-

თარებამ და ბავშვზე არასწორმა ფსიქო-სოციალურმა ზემოქმედებამ ადამიანში ძალიან ბევრი სახის ფსიქო-სექსუალური დარღვევები შეიძლება გამოიწვიოს. მთელი ეს ძალიან მძიმე ფსიქო-სექსუალური პერვერსიები, იქნება ეს პედოფილია, კაპროფილია, გერონტოფილია, ზოოფილია, ჰომო-სექსუალობა, გენდერული იდენტობის დარღვევები და ა.შ. ყველა ეს პათოლოგიური მდგომარეობა დიდწილად არის ადამიანის სექსუალურ ბუნებაზე ბავშვობაში არასწორი ფსიქო-სოციალური ზემოქმედების შედეგი. [...] მთელი მათი სასწავლო მეთოდიკა დგას სრულიად ანტილოგიკურ დასკვნებზე, რომლებიც ცალსახად სახიფათოა ბავშვებისთვის. ბავშვებში სექსუალური განათლება არის უკიდურესად საფრთხილო თემა, რომლის შეცდომის შემთხვევაში ძალიან მძიმე შედეგები შეიძლება მივიღოთ ბავშვების ფსიქიკისთვის და ამიტომ სანამ უტყუარი ცოდნა არ იქნება ამ საკითხზე, რაც ჯერ ბუნებაში არ არსებობს, ანუ საკითხის არცოდნის მოცემულობაში რაღაც სასწავლო კურსების დანერგვა კატეგორიულად მიუღებელია. (Apr 6, 2019 - რა საფრთხეებია სექსუალური აღზრდის გაკვეთილებში (შოთა მარტინენკოს ბლოგი))

მოგეხსენებათ, საქართველოს პარლამენტში აქტიურად მიდის ბავშვის უფლებათა ახალი კოდექსის განხილვა, რაც საზოგადოებაში დიდ ინტერესს იწვევს. კონსერვატორების, კერძოდ კობა დავითაშვილის და პოლიტიკური მოძრაობა “ალტერნატივა საქართველოსთვის” ინიციატივით, ამ კოდექსში გაჩნდა, პირდაპირ ვიტყვი, არ მომერიდება ამ სიტყვების “ძალიან ბნელი, პატრიარქალურ-აგრესიული, ფაქტიურად ანტისოროსული ჩანაწერი”, რომლის მიხედვითაც გეი-ენჯელომნიკებს ბავშვებისთვის მშობლის ნებართვის გარეშე სექს გაკვეთილების უფლება აეკრძალებათ. (Apr 3, 2019 - სექსუალური აღზრდის შეზღუდვა და სულში ჩაფურთხებული ლიბერალები (გიორგი ქარდავას ბლოგი))

უნდა გააუქმოთ ანტიდისკრიმინაციული კანონი, რომელიც, სხვათა შორის, თქვენვე მიიღეთ. [...] ასევე უნდა დახიოთ და სანაგვეზე გაუშვათ თქვენივე გუნდის მიერ შედგენილი ბავშვთა ლიბერასტული კოდექსი, რომელიც ოჯახის ავტონომიურობას კატასტროფულად კვეცავს და სახელმწიფოს უფლებას აძლევს, შვილისთვის უბრალო დაყვირებისთვისაც კი დასაჯოს მშობელი. (Sep 7, 2019 - ეროვნული ოცნება თუ წინასასარჩევნო პიარი?)

კვოტები

ჯგუფი გამოეხმაურა საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ შემუშავებულ კოდექსს კომერციულ ბანკებისთვის გენდერულ კვოტებს დანესების შესახებ და მას „დასავლელი ლიბერალების მიერ ნაკარნახევი გენდერული ბოძვები“ უწოდა.

გენდერული იდეოლოგიის მიხედვით, რეალურად არ არსებობს სქესთა შორის ფიზიოლოგიურად განსაზღვრული სხვაობები ინტელექტუალურ და ფსიქოლოგიურ უნარებში [...]. ის სხვაობები, რომლებიც დღევანდელ საზოგადოებაში სახეზეა, მათი წარმოდგენით, პატრიარქალური სოციუმისთვის დამახასიათებელი გავლენებით არის განპირობებული და უნდა შეიცვალოს. (Dec 11, 2019 - სახელმწიფომ გენდერული კვოტები დააწესა)

ჯგუფი აპელირებს ქალებსა და მამაკაცებს შორის ბუნებრივ განსხვავებაზე, რომელსაც ლიბერალური იდეოლოგია უარყოფს.

მერე რა, თუ კვლევების შედეგები ან ბიზნეს და ტექნიკურ სფეროებში არსებული კონკურენციის შედეგები უნარებში სქესთა შორის არსებულ სერიოზულ სხვაობებზე მიუთითებს. [...] უკვე ბალებიდანვე უნდა დაიწყოს სქესთა შორის თვისებებში ბუნებრივი საზღვრების რღვევა. გენდერულად ნეიტრალურად აღზრდის ფორმების დანერგვა. (Dec 11, 2019 - სახელმწიფომ გენდერული კვოტები დააწესა)

3.3 გირჩი

„ახალი პოლიტიკური ცენტრი გირჩი“ შეიქმნა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობიდან“ ოთხი დეპუტატის — ზურაბ ჭაფარიძის, პავლე კუბლაშვილის, გიორგი ხაჩიძისა და გიორგი მელაძის წამოსვლის შემდეგ. პარტია საქართველოს საჯარო რეესტრის ეროვნულ სააგენტოში დარეგისტრირდა 2016 წლის 18 მაისს, დაფუძნებული ყრილობა ჩაატარა იმავე წლის 16 აპრილს.

იდეოლოგიურად გირჩი წარმოადგენს მემარჯვენე-ლიბერტარიანიზმის ვარიაციას, რაც გულისხმობს ფსევდოპროგრესულ რიტორიკას, სისტემური ჩავრის უარყოფას, აქცენტს ინდივიდუალურ პასუხისმგებლობასა და თავისუფლებაზე, ბაზრის მაქსიმალური დერეგულაციასა და სახელმწიფო სტრუქტურების შესუსტებაზე.

მემარჯვენე-ლიბერტარიანიზმის „პროგრესული“ იერსახე დაფუძნებულია

ლიბერტარიანული სოციალიზმის ტრადიციაზე. ლიბერტარიანული სოციალიზმის ტიპური მოდელი ანტიკაპიტალისტურია და პრობლემებს სისტემურ ქრილში განიხილავს, მისი მემარჯვენე ვერსია კი მისგან მხოლოდ ზერელე რიტორიკულ ელემენტებს და სახელს სესხულობს. სიმარტივისთვის, აღნიშნულ ნაშრომში მემარჯვენე ლიბერტარიანიზმს „ლიბერტარიანიზმად“ მოვიხსენიებთ.

არ არსებობს მუშების, ღარიბების, ქალების, კაცების, ჰომოსექსუალების, ტრანსგენდერების, და ა.შ. უფლებები. არსებობს მხოლოდ ინდივიდის უფლებები. არ არსებობენ მონყვლადი და ჩაგრული ჯგუფები, არსებობენ მხოლოდ მონყვლადი და ჩაგრული ინდივიდები, რომლებიც სხვადასხვა ჯგუფებში მეტად ან ნაკლებად შეიძლება იყვნენ წარმოდგენილები. (Feb 24, 2020 - გიორგი ლომინაძე²; იდენტობის პოლიტიკა და ფსევდოფემინიზმი)

მსგავს განცხადებაში პირდაპირ და აშკარადაა გადმოცემული ერთგვარი ლიბერტარიანული ეთოსი - სისტემურ ჩაგვრის ფორმისა და რაობის სრულიად უარყოფა. ყოველი ძალადობისა და ჩაგვრის აქტი ინდივიდუალიზებულია. პასუხისმგებელი ყოველთვის ინდივიდია, იქნება ეს მოძალადე თუ მსხვერპლი. სისტემური ჩაგვრის მსხვერპლის დელეგიტიმაცია გირჩის პოლიტიკური რიტორიკის უშუალო ნაწილია.

საინტერესოა, როგორია ალტ-ინფოსა და გირჩის განსხვავებული სტრატეგიები. ალტ-ინფოს ფაშისტური მსოფლმხედველობიდან გამოდინარე, მონყვლადი ჯგუფები მათთვის იმთავითვე მიუღებელი და „სუსტია“. ამისგან განსხვავებით, გირჩის ლიბერტარიანული პოზიცია პირდაპირ და საჯაროდ არ აცხადებს მსგავს დაშვებებს. ნაცვლად თავიანთი პოზიციის გაცხადებისა, ისინი ცრუ ხატს ქმნიან ქვიარ უფლებისთვის მებრძოლებისაგან, ფემინისტებისა და სხვა მსგავსი სოციალური სამართლიანობისთვის ბრძოლაში ჩართული ადამიანებისა თუ ჯგუფებისაგან.. ფემინიზმზე თავდასხმა უფრო მარტივი ხდება, თუ თვითონვე მიანერენ თვისებებს და შეხედულებებს. მსგავს ქმედებას ორი დამატებითი ფუნქცია აქვს. ერთი მხრივ, პუბლიკას თვითონვე აწვდიან ფემინიზმის საკუთარ განმარტებას, მეორე მხრივ კი, საჯარო სივრცეში ძნელია მსგავსი ბრალდებების წინააღმდეგ ბრძოლა - ერთდროულად უარყოფა და შესწორება რთული პროცესია.

იდენტობის პოლიტიკით შენიღბულმა და სქესთა შორის შუღლის მქადაგებელმა ნეომარქსიზმმა ქალების განმათავისუფლებლის ყალბი როლი მოირგო და შრომის კოდექსით, ხმის მიცემით, გენდერული კვოტირებით, ხელოვნური აბორტის ლეგალურობით, და ძალადობაზე მდგარი და კონკურენციის შემზღუდველი სხვა ცრუ უფლებებით სცადა - და, არცთუ იშვია-

2 გირჩის წევრი, პოლიტიკური კომენტატორი

თად, შეძლო კიდეც - ქალების მოხიბლვა და მოტყუება, რამაც, მთელი მოსახლეობის გამდიდრებისთვის ხელის შეშლასთან ერთად, უპირველეს ყოვლისა, თავად ქალებს მოუტანა უზარმაზარი ზარალი და მათი გათავისუფლების პროცესი შეაფერხა. (*Feb 24, 2020 - გიორგი ლომინაძე ; იდენტობის პოლიტიკა და ფსევდოფემინიზმი*)

გირჩის ოფიციალურ ვებგვერდზე გამოქვეყნებული ლომინაძის სტატია „იდენტობის პოლიტიკა და ფსევდოფემინიზმი“ ლიბერტარიანული მიდგომის საინტერესო მაგალითია. უპირველეს ყოვლისა, მარქსიზმი სოციო-ეკონომიკურ თეორიად ან პოლიტიკური იდეოლოგიის ნაირსახეობად კი არ განიხილება, არამედ „კულტურული მარქსიზმად“, როგორც ამას მემარჯვენე შეთქმულების თეორიის წარმომადგენლები განსაზღვრავდნენ. ამ თეორიაში მარქსიზმი განიხილება გარე ძალად, ძლიერად და უხილავად, რომლის მთავრი ფუნქცია დასავლური სამყაროს განადგურებაა. თანამედროვე მემარჯვენე პოლიტიკურ დისკურსში „ნეომარქსიზმი“ თუ „კულტურული მარქსიზმი“ განიხილება, როგორც უხილავი ძალა ნებისმიერი პროგრესული პოლიტიკური პლატფორმის, მოძრაობის თუ აქტივიზმის უკან. ამ შეთქმულების თეორიის მოდელს საფუძვლად ანტი-სემიტობა უდევს (ვარაიაცია შეთქმულებისა „ებრალები მართავენ მსოფლიოს“) და შეიძლება ითქვას, ეს არის ერთგვარი გადამღერება ნაცისტური გერმანიის „კულტურული-ბოლშევიზმისა“, რაც ანტისემიტური და ანტიკომუნისტური პროპაგანდა იყო. რადიკალურ მემარჯვენე წრეებში ანტისემიტობი დაუფარავად ვლინდება, თუმცა უფრო „მსუბუქად“ მემარჯვენე იდეოლოგიებში არცთუ იმდენად გაცხადებულად. საკუთარი ფრაზეოლოგიის ნორმალიზება ხშირადაა ფაშისტური ტაქტიკის ნაწილი. თუმცა, მართივად შეგვივლია ვთქვათ, რომ „უცხო სადმი“ და „გარე ზეგავლენისადმი“ შიშს ერთგვარი ქსენოფობიური ელფერით იყენებს. (SPLC, “Cultural Marxism” Catching On 2003)

ფემინიზმი „უცხოა“, რადგან „ნეომარქსისტების“ მიერ ხელოვნურად შექმნილი მოძრაობაა, რომელიც ინდივიდუალიზმის დასამხობად „ბოროტ კოლექტივიზმს“ ავრცელებს.

ლომინაძე და გირჩი ქმნიან ფემინიზმის აბსურდულ, არაისტორიულ ხატს, რომელიც უცხო ძალის მიერ არის კონტროლირებული და რომლის ფუნქციაც მუდღის დათესვაა.

ის, რასაც ადამიანების უმრავლესობა დღეს “ფემინიზმს” ეძახის, უკვე დიდი ხანია აღარ არის კაცების და ქალების უფლებრივი თანასწორობისთვის მებრძოლი მოძრაობა. ამის ნაცვლად, ეს მოძრაობა ფსევდოფემინიზმად დეგრადირდა, რომელიც სინამდვილეში, ინდივიდის - როგორც ქალის, ისე

კაცის - წინააღმდეგ იბრძვის და თან ამას ქალების უფლებებისთვის ბრძოლად ასალებს. ფსევდოფემინიზმი, როგორც კოლექტივიზმის ერთ-ერთი სახეობა, ინდივიდების გარკვეული ჯგუფისთვის პრივილეგიების მინიჭებას ესწრაფვის, სხვა ინდივიდებისთვის თავისუფლების წართმევის ხარჯზე. (Feb 24, 2020 - გიორგი ლომინაძე; იდენტობის პოლიტიკა და ფსევდოფემინიზმი)

ამ სპეციფიკური ფორმითა და შინაარსით წარმოდგენის გარდა, უშუალოდ ტექსტი მიზოგინიური და ანტიფემინისტურია. ავტორი უარყოფს სხეულის ავტონომიურობას, მისი სიტყვებით „ხელოვნური აბორტის გამომწვევი მიზეზების წინააღმდეგ ბრძოლის ნაცვლად, ფსევდოფემინიზმი ამ მიზეზების სამსახურში ჩადგა იმით, რომ მუცლადმყოფი ბავშვების დეჰუმანიზაციისთვის და მათი მკვლელობის ლეგალურობისთვის დაიწყო ბრძოლა.“ აბორტის მკვლელობად განხილვა საკამოდ ძველი რიტორიკული მეთოდია, რომელსაც მემარჯვენეები და ანტიფემინისტები ხშირად მიმართავენ. დედის სხეულსა და მის სიცოცხლეს მეორეხარისხოვნად წარმოადგენენ და პრიორიტეტი ენიჭება პოტენციურ ბავშვს. გირჩი ალტერნატივად გვთავაზობს ბავშვის გაჩენას და ფულის სანაცვლოდ გაშვილებას.

სტატიაში „ტრანსგენდერობა“ ავტორი ტრანსგენდერობას განიხილავს, როგორც ჰომოსექსუალიზმის აღმოფხვრის მიზანმიმართულ აქტს.

არსებობს მოსაზრება, რომ ტრანსგენდერობა, დიდწილად, საკუთარი ჰომოსექსუალობის მიუღებლობის შედეგია: თუკი შენი ჰომოსექსუალური სექსუალური ორიენტაცია ძლიერ დისტრესს იწვევს, შესაძლოა, ამ ორიენტაციის მიღების და გათავისების ნაცვლად ჩათვალო, რომ საპირისპირო სქესის სხეულში არასწორად ხარ გაჩენილი და სწორედ ამიტომ მოსწონს შენს რეალურ იდენტობას იმავე სქესის ადამიანები, მით უმეტეს, თუკი მუდმივად ხდება შენი უმნიშვარი ცნობიერების დაბომბვა იმ ინფორმაციით, რომ ეს სრულიად ჩვეულებრივი და მოსალოდნელი მოვლენაა. (March 8, 2020 - გიორგი ლომინაძე ; ტრანსგენდერობა)

გარდა ამისა, სტატია ეჭვქვეშ აყენებს ფსიქიკური ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის კომპეტენციას.

2013 წელს ამერიკის ფსიქიატრიულმა ასოციაციამ ფსიქიატრიულ დაავადებათა კლასიფიკაციის მეხუთე გამოცემიდან დიაგნოსტიკური სახელწოდება “გენდერის იდენტობის დაავადება” ამოიღო და იგი “გენდერული დისფორ-

რიით” ჩაანაცვლა, რაც ეწოდება “დისტრესს, რომელსაც პიროვნება მის გენდერულ იდენტობასა და მისი დაბადებისას მინიჭებულ სქესს შორის თანხვედრის არარსებობისას განიცდის. გენდერული დისფორიის მქონე ადამიანები ტრანსგენდერებად ითვლებიან. (March 8, 2020 - გიორგი ლომინაძე; ტრანსგენდერობა)

როგორც ჩანს, ლომინაძისათვის და, ზოგადად, გირჩისთვის მისაღები იყო ტრანსგენდერობის “ფსიქიკურ აშლილობად” კლასიფიცირება, რაც ცხადყოფს მათ პოზიციას აღნიშნულ საკითხზე. ლიბერტარიანელები ავტორიტეტს მხოლოდ მაშინ აყენებენ ეჭვებში, როდესაც ის მათ ნარატივებს ეწინააღმდეგება.

ამ სტატიაში ტრანსფობიური აბსურდის გარდა, რასაც ქვემოთ გავაანალიზებთ, ასევე მნიშვნელოვანია ის კონტექსტი, რომელსაც ლომინაძე არ განიხილავს.

რეი ბლანშარდი და მისი „ავტოგენოფილიის თეორია“. ფსიქოლოგ რეი ბლანშარდმა შეიმუშავა მოდელი, რომელშიც ტრანს ქალებს „დაბნეულ ჰომოსექსუალ კაცებად“ და „საკუთარი თავის მოყვარულ ბისექსუალ და ჰეტეროსექსუალ კაცებად“ მოიხსენებს. ტრანს კაცები იგნორირებულები არიან, სხვა გენდერულ იდენტობებზე ლაპარაკიც ხომ ზედმეტია. ბლანშარდის მოდელის მიხედვით, ტრანსგენდერობა არის დარღვევა, რომელიც სამკურნალოა. ის იმ მხრივაც მნიშვნელოვანი ფიგურა, რომ DSM-ში სექცია „გენდერული იდენტობის დაავადების“ შესახებ სწორედ მისი შემუშავებულია. (DSM ფსიქიკური აშლილობის სტატისტიკური და დიაგნოსტიკური სახელმძღვანელო წესებია, დადგენილი ამერიკის ფსიქიატრთა ასოციაციის მიერ) ბლანშარდი გაცხადებულად ტრანსფობი ფსიქოლოგია, რომლის კვლევაც საკმაოდ საჭვო დაშვებებსა და გაყალბებულ მაჩვენებლებზე იყო აგებული. ის წლების განმავლობაში მიიჩნევდა ექსპერტად გენდერული იდენტობის საკითხებში; მისი ავტოგენოფილიის მოდელზე დაფუძნებული ფსიქო-პათოლოგიური მეთოდოლოგია კი - სტანდარტად. ტრანსგენდერობის კლასიფიცირების ცვლილება და იმის გადააზრება, რომ ფსიქიკური ჯანმრთელობის ინსტიტუციის უწინდელი კლასიფიცირება ტრანს ადამიანების მიმართ მჩაგვრელობითი იყო, საკმაოდ დაგვიანებულად მოხდა.

მე არ ვძალადობ, მაგრამ ვინც ძალადობს, იმის დასჯას არ ვუჭერ მხარს. ანუ, ნეგატიური ის არის, რომ შავ ბაზარზე გადადის ეს ყველაფერი და გაცილებით უარესი შედეგი გვიდგება მერე არა მხოლოდ მუცლად მყოფი ბავშვების სიკვდილიანობის მხრივ, არამედ დედების სიკვდილიანობის მხრივაც. [...] კონსერვატორების არგუმენტი მაქვს მანდ, რომ ოჯახის ამბავია და ოჯახები წყვეტდნენ ამას ტრადიციულად ყოველთვის და სახელმწიფოს

საქმე არ არის. აბორტის თემა არის ძაან კონტროვერსიული თემა და, ზოგადად, არ მიყვარს ხოლმე მაგ თემაზე კამათი, იმიტომ რომ სინამდვილეში ვიცი, ყველა არგუმენტები ერთ მხარესაც და მეორე მხარესაც. [...] ქუჩაში მიდიხარ და ადამიანი არის, რომელიც არის მშვიერი. შენ უნდა გქონდეს თუ არა პოზიტიური ვალდებულება, რომ იმ ადამიანს აჭამო?! თუ არ აჭმევ, უნდა დაგსაჯოს თუ არა სახელმწიფომ?! ქუჩაში ადამიანი კვდება შიმშილით, ადამიანს უნდა ჰქონდეს თუ არა ვალდებულება, რომ შენ იმას აჭამო და თუ არ აჭმევ, უნდა დაგსაჯოს თუ არა სახელმწიფომ?! რომ გადაარჩინო ის. [...] აბორტის თემასაც შეგიძლია შეხედო ესე, რომ მუცლადმყოფი ბავშვი არის დამოკიდებული დედის სხეულზე და დედის გადასაწყვეტი შეიძლება იყოს, იმას აჭმევს თუ არ აჭმევს. შეგიძლიათ აბორტი განიხილოთ ისე, რომ დედამ უბრალოდ გადაწყვიტა, რომ არ აჭამოს სხვა ადამიანს და გააგრძელა თავისთვის ცხოვრება. ხო შეგიძლიათ, ფილოსოფიურად ესე შეხედოთ. მე ეხლა რასაც გიყვებით არ მომწონს, მარა ფილოსოფიურად შეგიძლია ესეც შეხედო ამას. ეს არ არის არგუმენტები, რომლებსაც ფემინისტები იყენებენ, ფემინისტებს იდიოტური არგუმენტები აქვთ, რომლითაც აპრავებენ ხოლმე აბორტს და მე არ ვიყენებ მაგ არგუმენტებს. ეხლა თქვენ ხართ, პირველი ეთერია, სადაც ეს არგუმენტი უბრალოდ ვახსენე. [...] ჩემი აზრით, აბორტი არის საშინელება. მე მყავს სამი შვილი და ვერ წამომიდგენია, როგორ შეიძლება აბორტის გადაწყვეტილება მიიღო. (Jul 13, 2019 - ალტ-ინფოს სტუმარია ზურაბ ჭაფარიძე; საუბრის თემაა ლიბერტარიანიზმი (1:10- აბორტის თემა - მკვლევლობის უფლება)

- გირჩი მგონია, რომ ძალიან სარისკო ორგანიზაციაა, იმიტომ რომ ამ რაღაც პოპულარული მეთოდების გამოყენებით... თანამედროვე კრეატიული მეთოდების გამოყენებით, ძალიან ბევრი ახალგაზრდის გულს იგებენ. ეს ნონკომფორმულობა, რადიკალურობა უფრო ენაში და ესთეტიკაში [ვლინდება], ვიდრე - შინაარსში. ბევრი ახალგაზრდის გულს იგებს, მაგრამ ნუ სინამდვილეში სრულიად ექსტრემისტული პოლიტიკური ორგანიზაციაა, რომელიც ინდივიდუალური თავისუფლების მიღმა ვერცერთ სხვა მოსაზრებას ვერ ხედავს და ძალიან ბევრი პრობლემური შინაარსიც კი გაუმართლებიათ [...] ყოველგვარი რეგულაციების გარშე სახელმწიფო, სოციალური პასუხისმგებლობის გარეშე, სოლიდარობის იდეაზე უარის თქმა, რაღაც ეს ატომიზებული ინდივიდების რაღაცა მექანიკური ერთობა, სადაც უბრალოდ რაღაცა პოლიციის ძალით ჩვენ ერთმანეთს თავს არ ვესხმით. არანაირი პასუხისმგებლობები არ გვაქვს ერთმანეთის მიმართ.” (რესპ. 1)

გირჩი ხასიათდება ხშირი ანტიფემინისტური რიტორიკით. ორგანიზაცია იკავებს ერთგვარ ცენტრისტულ პოზიციას, თითქოს “ყველა არგუმენტს განიხილავს”, თუმცა რეალურად, პლატფორმის რიტორიკა აგრესიულად ანტიფემინისტური, ანტიქვიარული და მიზოგინიურია.

ამის კარგი ილუსტრაციაა გირჩის მიერ გამართული ონლაინ დებატები, სადაც აბორტის უფლებას განიხილავდა 4 მემარჯვენე ლიბერტარიანელი სისგენდერი კაცი. მსჯელობაში არ მონაწილეობდნენ ადამიანები, რომელთაც სხეულის ავტონომია და რეპროდუქციული უფლებების ეს კონკრეტული საკითხი უშუალოდ ეხებათ. (*Aug 7, 2019 - გირჩი; უნდა იყოს თუ არა აბორტი ლეგალური?*)

ზოგადად, გირჩი პატრიარქატსა და სექსიზმს, როგორც კონცეფციებს, არ აღიარებს. ძალადობად მხოლოდ ფიზიკურ ხელშეხებას განიხილავს, იმასაც “ინდივიდუალური ქმედებისა და პასუხისმგებლობის” ქრილში.

— გირჩის შემთხვევაში, ალბათ მთავარი პრობლემა სწორედ ის არის, რომ ისინი ჩაგვრას საერთოდ გამორიცხავენ, როგორც კონცეფციას, იმიტომ რომ მათთვის არსებობს ინდივიდუალური თავისუფლება. ისედაც არსებული თავისუფალი ბაზარი, სადაც შენ შეგიძლია მიაღწიო, განთავისუფლდე და ა.შ. და სადაც შეიძლება კანონმდებლობა ან პოლიცია გიშლიდეს ხელს, მაგრამ სოციალურ სტრუქტურებს, როგორც ჩაგვრის წყაროს, და ჩაგვრას, როგორც სისტემურ მოცემულობას, საერთოდ არ აღიარებენ, ამ კონცეფციასაც კი. ამიტომ ბუნებრივია, რომ მათი სენსიტიურობა და გაგება ამ საკითხების საკმაოდ პრობლემურია. მაგალითად, მე მახსოვს გირჩი, რომელიც ეწინააღმდეგებოდა ანტიდისკრიმინაციული კანონის მიღებას და ამბობდა, რომ სანამ დანაშაული არ მოხდება, ძალადობა სიძულვილის მოტივით, მანამდე არ არსებობს არაფერი სხვა და არანაირი დისკრიმინაცია და, ნუ მითუმეტეს, აქ ლაპარაკი იყო, რომ კერძო პირებს არ შეიძლება რამე პასუხისმგებლობა დააკისრო და მე თუ მაღაზიაში ან კაფეში არ მინდა, რომ გვი შემოვუშვა ან შავკანიანი, ეს ჩემი საკუთრების უფლების და მასთან დაკავშირებული ინდივიდუალური თავისუფლების გაგრძელებაა, ამიტომ ეს ჩარჩო ძაან ხშირად საეროდ სოციალურ სტრუქტურებს არ აღიარებს, იმიტომ რომ არსებობს რაღაც აბსტრაქტული ინდივიდი და მისი თავისუფლება და რაღაც საპოლიციო სახელმწიფო, სხვა არაფერი. ეკონომიკა დეპოლიტიზებულია, თავისუფალია და ავტონომიურია. თვითგანსაზღვრა ასევე ავტონომიური სფეროა. მედია, განათლება... სრულიად ინდივიდუალიზებული და

დეპოლიტიზებულია. ამიტომ, მათთვის ძაან ცოტა მასშტაბით, თუ როგორ ვთქვა, ძაან ცოტა შემთხვევებში ხდება რაღაცა პოლიტიკური პრობლემა. ეს ჩარჩო მგონია, რომ მათ სენსიტიურობას მკვეთრად ამცირებს. [...] გირჩი მგონია, რომ ეს არის აი ამ რადიკალური ნეოლიბერალური იდეების რაღაცა კულმინაცია, რომელიც რა ვიცი, ბევრ დასავლურ პოლიტიკურ ჯგუფებშიც კი გადააზრებულია და პრინციპში გავლენიანი ესეთი პარტიები არც კი არიან დასავლეთში, გარკვეულწილად. ამიტომ, ეს პერიფერიული ამბები დაგვემართა მგონია. რაღაცა, რაც მოინიშნება პროგრესულად გირჩის მიერ, საერთოდ აღარ არის პროგრესული - ყველაფერს ბრჭყალებში ვსვამ - მათ შორის „დასავლეთში.“ (რესპ. 1)

— მაგალითად, აი, სექსუალური შევიწროების კანონის მიღება რო იყო, თუ გახსოვთ, გირჩი რო გამოვიდა და სასწაული კომენტარები დადეს. [...] ანუ პირდაპირ წერდა გირჩი, რო, რავი, ანუ ადამიანს თუ ნძრევა მოუნდება, უნდა დაანძრიოს და ვერავინ ამაში ვერ შეუშლის ხელს...ანუ...დავიღალეთ უკვე გირჩის თავისუფლებით ხო, მარა ამაზე, რა თქმა უნდა, რეაქციაც მექნება და დავწერ სტატუსს კიდევ და, რა თქმა უნდა, გავაკეთებ ყველაფერს, მარა უფრო ოფიციალური კუთხით რო შევხედოთ, კონკრეტულ რაღაცა ქმედებებზე ჩვენ ყოველთვის ვრეაგირებთ განცხადების გავრცელებით. (რესპ. 2, 33)

— გირჩი ერთ-ერთი მაგალითია, ერთის მხრივ, თავისუფლების მაღალი ხარისხით, რომელიც მომხიბვლელია, მაგრამ მეორეს მხრივ, როგორ ხედავს თავისუფლებას სხვადასხვა ჯგუფებთან მიმართებაში. მაგალითად ისინი საუბრობენ, რომ ბავშვების გაყიდვა რატომ არ შეიძლება, ანუ ესეთი რთულია შენთვის არჩევანი, მოქალაქისთვის, იმიტომ რომ ადამიანებს არ აქვთ თანმიმდევრული და რაღაც ძაან მწყობრი ხედვა, იმიტომ რო თუ ერთ ნაწილში ვეთანხმები, რაღაც ტიპის მართლაც სწორი, მაგალითად პირობითად ვთქვათ ძალიან მარტივი ამბავია რო ქორწინების საკითხი, ადამიანებს გვაქვს ძალიან ღია ჩვეულებრივი პოზიცია, რომელსაც მე პატივს ვცემ, მაგრამ ამის გვერდით მეუბნება, რო რატომაც არ უნდა გავყიდოთ ბავშვები, ანუ ბავშვების ყიდვა-გაყიდვის ხელშეშლა რატომ აქ. ხო, იქ იყო ეს ეკონომიკურ მოგებებზე ლაპარაკი, ანუ ჩემთვის ძალიან ძნელია ამომრჩევლისთვის, იმიტომ რო მე მიჭირს მასთან თანამშრომლობა, იმიტომ რო ზუსტად ვიცი, რო მისი პოლიტიკა არის ძალიან აჭრილი. (რესპ. 3, 33)

— გირჩი ჩემთვის არი ესეთი ძაან მავნებლური ჯგუფი, რომელიც მათ შორის

ავრცელებს დაან ბევრ ნეგატიურ... იმას რა ქვია, იმიტო რო აეს ბოლო გამო-
სვლა, რო მაგალითად ქორწინება კი, მაგრამ ტრანს იდენტობებზე რაღაცა
საშინელი და აბსოლუტურად მცდარ კონცეფციებზე დაფუძნებული, ბრწყა-
ლებში, სტატია უდევს, ეს არი დაან ცუდი რაღაცა მოკლედ რა და ჩემთვის
იმ სპექტრში არიან, რა სპექტრზეც ალტ-ინფო და გურიზმები არიან. (რესპ.
4, 34)

— ტიპები ლაპარაკობენ იმაზე, რო მაგათთვის გეი ქორწინებია მისაღები და
ნორმალურია და, მეორეს მხრივ, გეუბნებიან, რო მე თუ ჰომოფობი ვარ
და რესტორანი ან სასტუმრო მაქვს, სრული უფლება მაქვს და შემიძლია,
რომ არ შემოგიშვა, ჩემი თავისუფალი ნებაა რა. თუ მინდა დედას გაგინებ,
რასაც მინდა იმას ვიზამ. ვიღაცა სასქესო ორგანოს რო გიჩვენებს ქუჩაში,
თურმე ეგ უბრალოდ უზრდელობაა და მეტი არაფერი. რა ვიცი, სიმართლე
რომ გითხრა, ეგ ჩემთვის პროგრესულობას ამოფარებული ფაშიზმია დაან
პირდაპირ რა. სამწუხაროდ, ისე ხდება, რო საკმაოდ ბევრი თემის წევრი
უჭერს მხარს, რაოდენ სამწუხაროც არ უნდა იყოს, მარა ფაქტია. როგორც
ჩანს ძალიან კარგად მუშაობს ეს პროგრესულობის იარღილი. (რესპ. 5, 30)

— ნაკლებად მძიმედ ვხედავ გირჩის და გურიზმის ამბავს, იმიტომ რომ გუ-
რის შემთხვევაში ხდება ქართული ოცნების გაპრავება და რაღაცნაირად
ნიშნის მოგება მემარცხენეებთან, რის გამოც ძალიან გაჭირდა სხვა მე-
მარცხენე ჯგუფების მხრიდან, ვთქვათ, ქართულ ოცნებასთან დაპირისპი-
რების, ესეთი რაღაცა მკვეთრი იმის შექმნა, რაღაცა მოძრაობის ან პოზი-
ციების. ამიტომ, რაღაც ეტაპზე სპეციალურად ვაკვირდებოდი, რომ გური,
როცა, ვთქვათ, ქართული ოცნების... მემარცხენეებს გაუჭირდათ გურისგან
გამიჯვნა, გურის კრიტიკა, იმიტომ რომ თითქოს ეს იდეოლოგიური მოკავ-
შირეობა ჰქონდათ. და რაღაცა ამან საერთოდ მგონია, რომ დიდ სურათში
მემარცხენეობის მიმართ, მემარცხენეებში ქართული ოცნების მიმართ რა-
ღაც ტიპის ლოიალობაც კი შექმნა. ანუ იცით რას ვგულისხმობ?! იმიტომ,
რომ გური რადიკალიზებას უკეთებდა, რომ აი “ნაცმოძრაობა ცუდია” წარ-
სულია და რაღაც ამას.. სულ ამინუსებდა მემარცხენეებს რა. “აი გაიხსენეთ
ვინ არის ნაციონალური მოძრაობა და ცხრანლიანი რეჟიმი.” რომელიც, რა
თქმა უნდა, ძალიან დიდი პრობლემაა, ნაციონალებს მუდმივად ვაკრიტი-
კებთ, ეხლაც მათი პოლიტიკის შედეგსაც ვხედავთ, მათ შორის კონსერვა-
ტიული პოლიტიკის აღზევების ერთ-ერთ მიზეზად. მაგრამ ეს რაღაცნაი-
რად გურის ამბავმაც გამოიწვია და გადამდები იყო.

ნუ გირჩმა პროგრესული პოლიტიკის მთელი ეს სივრცე დაიკავა თითქოს, ისეთ ახალგაზრდებში ვინც ეხლა იდეოლოგიურ განსხვავებებს ვერ ხედავენ.. მაგრამ რაღაც ეს cool, აქტიური, კრეატიული, თავისუფალი, ნონ-კონ-ფორმისტი ჯგუფის სივრცე დაან ისე დაიკავა. და დაან ხშირად, მათ შორის მემარცხენე ჯგუფებზე ეფექტურები არიან. (რესპ. 1)

3.4 POSTV

გადაცემა „გურიზმები“ (PosTV). წამყვანი: გური სულთანისვილი³.

„გურიზმების“ ანალიზისას მნიშვნელოვანია წამყვანის რიტორიკის გაანალიზება. ის პოზიციონირებს, როგორც მემარცხენე-პროგრესული შეხედულებების მქონე ფილოსოფოსი და კულტურის მკვლევარი. საუბარი ხშირად დაჰყავს კლასობრივ ბრძოლაზე და კაპიტალისტური სისტემის ყოვლისმომცველობაზე. თუმცა, გადაცემის ანალიზისას ვლინდება, რომ ეს ერთგვარი ფასადია. კლასობრივი ანალიზი კონტექსტურად ფარსული ხდება PosTV-ის გადაცემის ფარგლებში, მედია ორგანიზაციისა, რომელიც ქართული ოცნების მხარდაჭერისთვის ფუნქციონირებს.

ზემოაღნიშნულ ფსევდოანტიკაპიტალიზმს იყენებენ, როგორც იარაღს ემანსიპატორული მოძრაობების წინააღმდეგ (ჩვენს შემთხვევაში, ფოკუსი გვაქვს ფემინიზმზე).- წამყვანი ცდილობს შექმნას დისკურსი, რომელშიც ფემინიზმი განიხილება, როგორც კლასობრივი ელიტის თამაში, რაც წინააღმდეგობაშია ნადვილ კლასობრივ ბრძოლასთან.

მნიშვნელოვანია იმის აღნიშვნა, რომ ზემოთ გაანალიზებული ორი ჯგუფის გაცხადებული, პირდაპირი რიტორიკისაგან განსხვავებით, „გურიზმების“ რიტორიკა შეფარულია, ხასიათდება ირიბი მინიშნებებითა და ბუნდოვანებით. ასევე საინტერესოა, როდესაც ქალთა უფლებებთან და ფემინიზმთან დაკავშირებულ თემებზე იწყება საუბარი, როგორ ჩნდება ვერბალური დაკნინების მცდელობები, უფრო უხეში ენა, შეურაცხმყოფელი ეპითეტები და სხვ.

გადაცემის წამყვანი ლაპარაკობს ინტელექტუალიზმის ესთეტიკით, გამართლებული და ადვილად გასაგები, მაგრამ მაინც აკადემიური ენით, სხვადასხვა ავტორის ციტირებითა და სხვადასხვა ფილოსოფიური, კულტურული თუ პოლიტიკური კონცეფციების განხილვით. ამგვარი ესთეტიკის მთავარ ფუნქციად შეიძლება მივიჩნიოთ გადაცემაში განხილულ საკითხებზე ავტორიტეტის ილუზიის შექმნა.

ანალიზი ცხადყოფს, რომ ეს ინტელექტუალიზმი მხოლოდ ფასადია. წამ-

3 თვითწოდებული ფილოსოფოსი და კულტურის მკვლევარი

ყვანი ხშირად ამახინჯებს ისტორიულ ფაქტებს და იდეებს, რომელიც არ მოსწონს, აყალბებს მოვლენებს ან უკონტექსტოდ განხილვას მათ.

“გურიზმების” ფუნქცია არის ანტიფემინისტური ნარატივის შეფარულად გავრცელება ისეთ ადამიანებში, რომელთაც აღნიშნულ საკითხებზე შეიძლება არ ჰქონდეთ ხელმისაწვდომობა, ცოდნა ან მყარი პოლიტიკური პოზიციები. ამგვარი ფსევდოპროგრესული და ფსევდოინტელექტუალური პოზიციონირება სულთანის შვილს და PostTV-ს ხელს უწყობს თავიანთი ტოქსიკური მესიჯების გავრცელებაში.

პოლიტკორექტულობის მანკიერი მხარეები

გადაცემის მთავარი თემა: ბრიტანეთმა გაეროს შესთავაზა ინიციატივა, ტერმინი „ორსული ქალი“ ჩაანაცვლოს „ორსული ადამიანით“. მიუხედავად იმისა, რომ ეს მარტივი რიტორიკული ცვლილება ტრანსინკლუზიური ენის შექმნას შეუწყობს ხელს, წამყვანი ამ იდეას ეწინააღმდეგება და პოლიტკორექტულობის პრობლემად სახავს. თვალსაჩინოა, რომ სულთანის შვილი ერთ წინადადებაში ორ თითქოს შეუთავსებელ იდეას გამოთქვამს: 1) მსგავსი სიტყვები ტრანს უფლებებთან არაფერ კავშირშია; 2) მსგავსი სიტყვები ქალთა უფლებებს ავიწროებს. თუმცა, მსგავს ლოგიკურ წყობას თავის ფუნქცია აქვს: ტრანს უფლებებს და ქალთა უფლებებს შეუთავსებლად სახავს, რაც მაყურებელს უქმნის მცდარ წარმოდგენას ამ ორი ჯგუფის ანტაგონისტური ურთიერთდამოკიდებულების შესახებ. წარმოიქმნება ნარატივი, თითქოს „ტრანს ადამიანები იჭრებიან ქალთა სივრცეში“, რაც ბოლო წლებში გავრცელებული, მემარჯვენე ტრანსფობიური ნარატივია.

დეტალურად რომ განვიხილოთ, ფრაზა „არაფერ შუაშია ტრანს უფლებებთან“ არის საინტერესო რიტორიკული თქმა. ერთი მხრივ, შეგვიძლია ამოვიკითხოთ ქვეტექსტი, რომელსაც ავტორი ხმამაღლა არ ამჟღავნებს - ტრანს ადამიანებში ის მხოლოდ ტრანს ქალებს გულისხმობს. არგუმენტი, თითქოს „ორსულობა არაფერ შუაშია ტრანს ადამიანებთან“ აგებულია ტრანსფობიაზე, რაც ვლინდება შემდეგში: „ყურადღების განსაკუთრებული გამახვილება ტრანს ქალების სხეულსა და პოზიციებზე საზოგადოებაში, ტრანს კაცების, არაბინარული და ინტერსქესი ადამიანების არსებობის იგნორირება. აქ ავტორი რიტორიკულად თამაშობს: ერთი მხრივ, გულისხმობს, რომ ორსულობა ტრანს ქალებს არ ეხება, რადგან ეს მათთვის ბიოლოგიურად შეუძლებელია, და მეორე მხრივ, აიგნორებს სხვა სისპეტერონორმატიულ სტანდარტებს მიღმა დარჩენილ ადამიანებს, რომელთაც ორსულობა და გინეკოლოგიური მომსახურება მაინც ეხებათ. ერთი სპეციფიკური ჯგუფის ადამიანები არაადეკვატურად გამოჰყავთ, ესხმიან თავს და გარკვეული დისკურსიდან უგულებელყოფენ. ამის შედეგად გაჩენილი

ნეგატიური დამოკიდებულება (არაადეკვატურობა) მაინც ამ უგულებელყოფილ ჯგუფებს აზიანებს.

პოლიტკორექტულობა ამერიკის წიაღში აღმოცენდა და ფილოსოფიურად ის რაღაც შიზოფრენიის ნიშნებს ატარებს, მას იმის მაგივრად, რომ მოაგვარა პრობლემები, მან მოაგვარა ამ პრობლემის აღწერები. ის არა მიზეზებს, არამედ შედეგებს ებრძოდა. პოლიტკორექტულობის მომხრეები, მაგალითად, აღარ ხმარობენ სიტყვა 'woman'-ს, რადგან მასში ფუძე არის კაცი (man) და ნაწარმოებია 'woe man'-იდან ან 'wife man'-იდან და სანაცვლოდ 'womyn' შექმნეს. ასევე დაუპირისპირდნენ სიტყვა ისტორიას ანუ History, აქ პრობლემა იყო პრეფიქსი His-story და შექმნეს ალტერნატივა Herstory. ანდა რეალურად, სიტყვის ბერძნული თუ ლათინური ეტიმოლოგია საერთოდ არ შეიცავს გენდერულ იმპლიკაციას. (Oct 26, 2017 – *PosTv* ანალიტიკა. გურიზმები - პოლიტკორექტულობის მანკიერი მხარეები*)

აქ საინტერესოა სიტყვათა და კონცეფციათა თამაში, ასევე - ინტელექტუალური უსინდისობა.

1. „ფილოსოფიურად შიზოფრენიის ნიშნებს ატარებს“ არაფრის მთქმელია, „შიზოფრენიის“ ფილოსოფიური კონცეფცია არ არსებობს, ეს კი მხოლოდ მენტალური დარღვევის შეურაცხყოფად გამოყენებაა, შეფუთული ფსევდო-ინტელექტუალურ ფორმატში.

2. Womyn/woman-ის შეფუთვა, როგორც თანამედროვე პოლიტკორექტულობის ნაწილის. Womyn გაჩნდა რადიკალურ 60-70 წლებში, ფემინისტურ და ლესბოსურ მოძრაობებში და სპეციფიკური პოლიტიკური კონტექსტი აქვს, რომელიც ამერიკის ლიბერალური პოლიტკორექტულობის ტალღამდე (90-იანი წლები) არსებობდა. საქმე გვაქვს სიტყვის დეკონტექსტუალიზაციასთან, ისტორიის ერთგვარ მარტივ გაყალბებასთან და ფემინიზმზე ირით თავდასხმასთან, რადგან თემატიკა სიტყვა ქალს (woman/women) ეხება.

3. Herstory. არავინ ცდილობს სიტყვის ჩანაცვლებას, „herstory“ სიტყვათა მარტივი თამაშია, რომელიც პოპულარიზაციის კამპანიებში იყო გამოყენებული. არავინ მიიჩნევს, რომ სიტყვას „history“ მასკულიზური კონოტაცია აქვს, უბრალოდ, წინსართის მსგავსებაზე აგებული სიტყვებით თამაშია. ასევე აღსანიშნია, რომ „სიტყვის ბერძნული თუ ლათინური ეტიმოლოგია“ ინტელექტუალური ავტორიტეტის დამყარების საინტერესო მეთოდია და,

ამავდროულად, აბსურდული ფრაზაა, რადგან ბერძნული და ლათინური სხვადასხვა ენებია.

სექსუალური შვიწროება

სექსუალური შვიწროების კონცეფციის გაუფასურება. ამ საკითხის განხილვისას ყურადღებას ამახვილებენ „ძველ ცოდვების გამო ცხოვრების დანგრევაზე“, „მტკიცებულების გარეშე ბრალდებებზე“ და სხვ. ეს არის პრობლემის ტიპური გაუფასურება და აქცენტის გადატანა ლეგალურ ასპექტზე.

...საიდანაც დაიწყო ეს კამპანია, ჰოლივუდიდან, სადაც ჩვენ ვხედავთ ელიტის თამაშებს, რაღაც გლამურულ სიგიჟეს, სადაც ძველი ცოდვების გამო ადამიანებს აღარ აძლევენ საშუალებას განაგრძონ თავიანთი ცხოვრება სრულფასოვნად. თანაც ისე რომ ბრალი ჯერ არავის დამტკიცებია. (Nov 11, 2017 – PosTv* ანალიტიკა. გურიზმები - სექსუალური შვიწროება)

აქ ვხვდებით სექსუალური შვიწროებაზე ბრალდებების სრული დელეგირაციის მცდელობას, აქცენტს სპეციფიკურ კამპანიაზე და არა - მიზეზებსა და კონტექსტზე. იქმნება ასოციაცია, რომ “ჰოლივუდური ელიტის” ხელოვნური წინააღმდეგობა რეაქციაა გამოგონილ თუ გაზვიადებულ პრობლემაზე და არა - რეალურად არსებულ პრობლემასთან წინააღმდეგობა.

ყურადსაღებია „ძველ ცოდვებსა“ და „ბრალეულობის დამტკიცებაზე“ აქცენტი, რაც სექსუალური ნიშნით შვიწროების სისტემურ მხარეს სრულიად უგულვებლყოფს. წამყვანი ამ მოვლენას უმნიშვნელოდ, არაარსებითად წარმოგვიჩენს და, ამასთან ერთად, უგულვებლყოფს სექსუალურ შვიწროებასთან დაკავშირებულ, ხელმისაწვდომ ფაქტებს. იგნორირებულია, თუ რამდენად ხშირად არ უჯერებენ, აჩუმებენ მსხვერპლს, და სათანადოდ არ იკვლევენ შემთხვევებს. განსაკუთრებით მაშინ, როდესაც თავდამსხმელსა და მსხვერპლს შორის ძალაუფლებრივი ურთიერთკავშირია.

გარდა ამისა, წამყვანი დასავლურ ლიბერალურ მიდგომას საკმაოდ უცნაური კუთხიდან განიხილავს. გური სულთანისშვილის მოსაზრებით, დასავლურ ლიბერალურ სამყაროს ახასიათებს კომპენსატორული პოლიტიკა - „დასავლეთის კომპენსატორული ბუნება“ მანამდე ჩაგრულ ჯგუფებს პრივილეგიებს ანიჭებს. ამგვარი პოლიტიკური და ისტორიული ანალიზი რეალობას მცდარად წარმოგვიდგენს. ლიბერალიზმი, როგორც პოლიტიკური მიმდინარეობა, გამოირჩევა ზერელე ეგალიტარიანიზმით და სისტემური ჩაგვრის სრული უგულვებლყოფით, ამიტომ „ზედმეტი კომპენსაცია“ ფიქტიური მოვლენაა, ჩაგრული ჯგუფების პრი-

ვილევირებულობაზე საუბარი კი აბსურდულია სისტემური სექსიზმის, რასიზმის, ქვიარფობიის, კლასობრივი უთანასწორობის არსებულ პირობებში.

ავტორი „პარანოიდულს“ უწოდებს პატრიარქალური ძალადობრივი სისტემისადმი დაპირისპირებას, რის საბოლოო მიზანიც კაცების მიერ შექმნილი კულტურული პროდუქტის განადგურებაა.

ასევე აღსანიშნია „კაცის მზერის“ (male gaze) განხილვა არა ფემინისტური პერსპექტივიდან, არამედ კაცი ავტორების პერსპექტივიდან, რომლებიც ქალის სხეულის სექსუალიზებას ახდენენ.

განსაკუთრებული ფოკუსირება პოლივეუდზე, როდესაც ქალთა უფლებებზეა საუბარი, კვლავ გვიჩვენებს, რომ ავტორის მიზანია, სხვაობა ფემინიზმსა და ელიტიზმს შორის უფრო ბუნდოვანი გახადოს და მაყურებელმა კრიტიკული გააზრებისას ისინი ურთიერთჩამნაცვლებელ ცნებებად მიიჩნიოს.

ქალთა კვოტირება პარლაშენტში

არგუმენტირება მემარცხენე რიტორიკაზეა აგებული. ავტორი მსჯელობს კვოტირების, როგორც პოლიტიკური მექანიზმის, შეზღუდულობაზე. თუმცა ამასთან ერთად, უშვებს, რომ ფემინისტები, რომლებიც ითხოვენ კვოტირებას, არ არიან ინფორმირებულნი ამ მექანიზმის ფუნქციური შეზღუდულობის შესახებ. შეიძლება, პრობლემა უშუალოდ ტექსტში არ იყოს თვალსაჩინო, მაგრამ „გურიზმების“ ზოგადი მოდელი და ხერხები რეაქციონერულ ტენდენციებზე მიგვითითებს.

თვალსაჩინოა, ფემინიზმის და ლიბერალური ფემინიზმის ურთიერთჩამნაცვლებად ტერმინებად გამოყენება. შედეგად, ფემინიზმის გარკვეული ფორმის კრიტიკა ვრცელდება მთლიან მოძრაობაზე.

ავტორის გვთავაზობს წინადადებას, რომ “გვჭირდება ისეთი ფემინიზმი, რომელიც ყველა ჩაგვრის ფორმას გულთან მიიტანს და არ ისაუბრებს, მაგალითად, მხოლოდ ტრენინგებზე დასწავლილ დისკრიმინაციის ფორმებზე”. ამ შემთხვევაში, გური სულთანის შვილი გვთავაზობს, შეიქმნას ინტერსექციური ფემინიზმი, რომელიც 70-იანი წლებიდან უკვე არსებობს.

ყურადსაღებია ისტორიის ამგვარი ცალსახა წარმოდგენა და ფემინისტური მოძრაობის, როგორც არაკომპეტენტურის, წარმოჩენა.

ამ გადაცემის ფარგლებში კვოტირების კრიტიკა, ზემოაღწერილი კონტექსტის გათვალისწინებით, შეიძლება განვიხილოთ, როგორც ფემინიზმზე ირიბი თავდასხმა.

— PostTV-გურიზმის ამბავი, ეს არის გაყიდვა მემარცხენეობის ქართული ოცნების სასარგებლოდ და ეს არის რაღაცა ტიპის, აი, სრულიად ხელოვნური და

არაადეკვატური მემარცხენე მოსაზრებების გამოყენება, იმისთვის, რომ გააპრავოს ქართული ოცნება. და ამავედროულად, ძალიან ხშირად ეს არის საკმაოდ პრობლემური ინტერპრეტაციებიც ამ მემარცხენეობის, თეორიული თვალსაზრისით. (რესპ. 1)

- გურიზმებს ამ თითქოსდა ლიბერალურ პოლიტკორექტულობასთან დაპირისპირებაში, ის გადააყოლებს ხოლმე კონკრეტული ჯგუფების ყოფნას და ამაზე ნამდვილად დაგეთანხმებით. პრობლემა ის არის, რომ ამ ლიბერალიზმის და იდენტობის პოლიტიკის კრიტიკაში, საერთოდ გამორიცხავს და კარგავს, ვთქვათ, ქალებზე და ლგბტ ადამიანებზე და მათ ჩაგვრაზე ლაპარაკის შესაძლებლობას. ამას შეიძლება ვულგარულად გამოხატავს გურიზმი, მაგრამ ეს ზოგიერთი მემარცხენე ჯგუფის პრობლემაც არის მთლიანობაში, რომელიც მარტო განაწილების ღერძზე ლაპარაკობენ და აღიარების ან მონაწილეობის ღერძებს ივიწყებენ. მოკლედ, ეს ორთოდოქსიზმი გარკვეულ გამონწვევებს ქმნის. (რესპ. 1)
- მარტო აღებული PostTV არავინაა, არც მედიაა. ის არის სხვა მიზნით შექმნილი, მედიის ფორმატით შექმნილი ადამიანთა ერთობა, რომლის მიზანი ამ ნუთას არის, ჩემი აზრით, სახელმწიფოს მხარდაჭერა, ოღონდ არაჯანსაღი გაგებით. მხარდაჭერა იქ, სადაც სახელმწიფოს სურს და რეალურად მედია ძალაუფლებას იყენებს ამ ყველაფრისთვის და, სამწუხაროდ, როგორც წინაზე ვთქვი, არ სურს ხოლმე მხარდაჭერა ადამიანის უფლებების გასაძლიერებლად, არამედ პირიქით. (რესპ. 3, 33)
- კონკრეტულად გური სულთანისიზმთან მქონია მანამდეც შეხება, იმიტომ რომ იყო ეგ პერიოდი, როდესაც ეს ადამიანი აქტიურად ეტენებოდა [...] ქვიარ აქტივისტებს, იმიტომ რომ იდენტობაში ჰენგაუთობდა ძაან აქტიურად და, ეს თუ არ ვცდები, 2013 წლის პერიოდი იყო, 13-14 წლის პერიოდი და რაღაცა რა, და მერე უბრალოდ რაღაცა ძალიან გაუგებარ დაუკრეფავში გადავიდა. ანუ ვერ ვხვდები მოკლედ, მაგათგან მცემს ძაან კარგად დაფინანსებული, ასე ვთქვათ ძმების სუნი, რა ქვია, მესიჯ ბოქსის სუნი მარა აი თვითონ ამ კონკრეტულ ორ თუ სამ ადამიანს რა ამოძრავებს, ცოტა ვერ ვხვდები. ნუ გარდა იმისა რომ ესეთი საკმაოდ გამოკვეთილი ისინი აქ, რა ქვია, ანუ ადამიანს, რომელსაც მოსწონს ეხლა დუგინის ნაშრომები და ეს მთელი ევრაზიანიზმი [...] საღ აზრზე საუბარი ცოტა ზედმეტია. მარა ნუ მესიჯები არის ძალიან, ასე ვთქვათ, აუ მოკლედ, ანუ ჩემთვისაც და ბევრისთვისაც ცოტა დამაბნეველი ის აქ რა ქვია, დამაბნეველი რიტორიკა არი, მაგრამ

თან ანტი ემანსიპატორული არი ძალიან რა, და საინტერესო არის ის, რო პრინციპში ალტ ინფოსაც და აი ამათაც რაღაცა ესეთი ის აქვთ, მიდგომა აქვთ, რო აი დასავლეთი თავს გვახვევს რაღაცებს. ანუ ეს თითქოს ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა, იმიტო რო ეს ძაან საინტერესო მოვლენა არის, იმიტო რო ანტიგენდერული ჯგუფები, ზუსტად ეს ფართო სპექტრი ამ ჯგუფებს, ძაან იყენებს ამ სუვერენიტეტის თემას, ანუ ქვეყნის სუვერენიტეტის დაცვა აღარ არი მართო, სიტყვაზე, იქ შეიარაღებულ კონფლიქტებამდე არ დაიყვანება და ტერიტორიების წართმევამდე, ეს არი იდეოლოგიური სუვერენიტეტის დაცვის მომენტი და აქ ვხედავთ უბრალოდ ეს ორი ჯგუფი როგორ თავის იდეოლოგიური იმის ფარგლებში, როგორ იცავს ქვეყნის სუვერენიტეტს... (რესპ. 4, 34)

- PostTV თავიდანვე იყო, ერთი-ორჯერ ანუ რაღაცა კარგი წასცდა, ანუ იმ ფორმით რაღაცა მესიჯები გააჟღერეს, რითაც ჩვეულებრივ, ნეიტრალურ მაყურებელს რო ენახა, მაგალითად ის, დამპალი იდეოლოგია, რასაც ავრცელებენ ამ კონკრეტულში არ იკითხებოდა, მაგრამ ძირითადად, რაც მინახავს და რაც კი გაუზიარებიათ, ანუ ადამიანები არიან მავნეები სოციალურად, პოლიტიკურად, იდეოლოგიურად, რომლებიც არანაირი პოლიტიკური კონიუნქტურის ქვეშ არიან სრულად და ანუ სამართლიანობის იდეის პრეტენზიას აცხადებენ ამ თავიანთ ახალ [...] თითქოს კარგ ილუზიას ქმნიან, რო სწორს და მართალს ამბობენ... (რესპ. 8, 27)

4. რესპონდენტების ლაქვირებები

4.1 შვინროებისა და სივრცის შეზღუდვის შემთხვევები

● ერთხელ მახსოვს, 2012 წელს, 17 მაისს აქციაზე იყო ასევე და ვიყავი ქუთაისში და... იქ იყო სხვათა შორის, რა თქმა უნდა, არ შევადარებ 2013 და 2014 წლების აქციების სიმძაფრეს, მაგრამ პარლამენტთან გავედით რამდენიმე ადამიანი, დაახლოებით 10 თუ 12 ადამიანი ვიყავით, პლაკატებით ვიდექით... და ძალიან სწრაფად რაღაცა ჯგუფი მოვიდა, რომელიც იყო, რა თქმა უნდა, მონინალმდევე და ეს მამაოების და დარაზმული მრევლი და უცებ რო ტაქსით არ წამოვსულიყავით იქედან... ძაან რეალური საფრთხე დავინახე, რო ეს ადამიანები ჩვენზე გადმოვიდოდნენ იმ აგრესიით. აი, მართლა ძაან წკიპზე გამოვასწარიტ იქედან და, რა თქმა უნდა, ეხლა ამას არ ვადარებ ყვითელი მარშუტკის... თბილისში რაც მოხდა. (რესპ. 2, 33)

● არაერთი ქეისი შეგვისწავლია, როდესაც ქალი უფლებადამცველის მიმართ ხორციელდება ძალადობა, ზენოლა, მუქარა და ასე შემდეგ, რა. ბოლო დროს წამოვიდა ძალიან კიბერმუქარები. ანუ, რადგან ინტერნეტის ეპოქაში ვართ, ესე ვილაც კი არ ხვდება ვილაცას სახლთან და აშინებს, არა, ინტერნეტით არის ხოლმე მათზე მუქარა, შანტაჟი და რეალური გამოწვევაა ეს, იმიტო რო სამართალდამცავები ამას, ჯერ ერთი, ცოდნა არ აქვთ, რო ესე ამისი იდენტიფიცირება გააკეთონ და მერე შესაბამისი ღონისძიებები გაატარონ. არც უყურებენ დიდად სერიოზულად, ანუ ხო ხვდებით, არ აქვთ გამოცდილება ამ კუთხით და ჩვეულებრივი ერთ-ერთი რიგითი საქმეა, ანუ სისტემურ პრობლემად ამას ვერ აღიქვამენ პოლიციელები და თან იმ პერიოდში, როცა ეს ანტიგენდერული ჯგუფები ძაან გააქტიურდა საქართველოში - კორკოტები და ეს ფალავანდიშვილები და ვასაძეები და ასე შემდეგ. [...] ეს საქმეები არის, ძირითადად, წლიდან წლამდე რო გადადის და თაროზე რო არის შემოდებული და არანაირი შედეგი რო არ მოყვება, დაახლოებით ეგეთი ქეისებია, რა. (რესპ. 2, 33)

● ქალი უფლებადამცველებია კიდე განსაკუთრებით მოწყვლადი ამ ამბავში, აი, უბრალოდ რომ შევადაროთ, როგორი დისკუსიებია, ნუ დისკუსიები ყველაზე ზრდილობიანად რომ ვთქვა, როგორი უკუკავშირებია ქალ აქტივისტებსა და კაც აქტივისტებთან მიმართებაში, დაინახავთ უდიდეს განსხვავებას და რეალურად

ეს არის პროფესიული ჰარასმენტი, მე თუ მკითხავთ, რომელიც, რა თქმა უნდა, მუშაობის ხარისხზე აისახება და ეს მომდინარეობს იდეოლოგიური სხვაობიდან. ქალი უფლებადამცველი არის, მარტივად რომ ვთქვათ, ცუდი ტიპი და კაცი უფლებადამცველი - თავგანწირული მებრძოლია, დაახლოებით ესეთი აღქმებია, მათ შორის, იმ ხალხში, ვინც იდეაში, მხარს უჭერს ადამიანის უფლებებს. ანუ პოლიტიკოსებს თანაბრად ვეზიზღებით ყველანი, მაგრამ, აი, იმ ხალხზეა ლაპარაკი, რომელიც შენი სამუშაო ველია რეალურად რა. (რესპ. 3, 33)

● არიან კიდე ქუთაისში ფაშისტების ჯგუფები, მაგალითად, ეროვნული მოძრაობა. აქვთ რაღაც ფეიჯები გაკეთებული “თეთრი რასა”, სადაც აგდებენ პატარა ბავშვებს, ბიჭებს და ბრენინგოშინგს უკეთებენ. თან უღიარებიათ ჩემთან, რო ფული აულიათ იმაში, რო ვილაცეები გალახონ, ვილაცეებს რუსეთუმე ეძახონ, ვილაცეებს სოროსის ჩამოთრეულები, მაგათ შორის მეც შევდივარ, რადგან სადაც არ უნდა მივიდე, თუნდაც ამ „სიყვარულის ბაღში“, ჩემთვის, ჩემი სასმელ-სიგარეტით, ჩემს მეგობრებთან ერთად, ეგრევე მოდიან და (თან შენს სიგარეტს ეწევიან, შენს სასმელს სვამენ - შენც უზიარებ, ფიქრობ გაუზიარო, ვისაც არ აქვს) მერე ბოლო დონის სიტყვებით გლანძღავენ - ენჯოშნიკი, ფემინისტკა, ლგბტ ფულის მჭამელი, რომელიც ცხოვრებაში არაფერს აკეთებს და სხვების ჩაგვრაზე იღებს ფულს - რაღაც საშინელებებს მოკლედ, მერე სექსუალურადაც გავინრობენ - “მოდით ლოყაზე გაკოცებ მაშინ”, “კაი დამშვიდდი” და ეს ყველაფერი ხდება ინტენსიურ რეჟიმში და სულ უნდა მოიგერიო და ძაან დამღლელია და მართლა სივრცეების დაკავებაზე დადის რა, სანამ მიხვალ რამე ცვლილებამდე და მოძრაობას, პატარა ჯგუფს ჩამოაყალიბებ. (რესპ. 6, 25)

● თავიდან ძალიან გულწრფელი რო ვიყავი და ყველაფერს ვუხსნიდი და თავიდან არ მქონდა არანაირი მორიდება და არ მიფიქრია, რო შეიძლება ესენი ქალად აღმიქვამდნენ და რაღაცა. მერე მივხვდი ნელ-ნელა, რო ეს შევიწროებები, ხელების ფათური ამ ლაპარაკში და რო არ გისმენენ. რო მთლად ეგეთი არასაშიში ტიპებიც არ არიან და რამდენ რესურსს და დროს წამართმევენ, იმიტომ რო ყველგან, სადაც გავივლი, უნდა მოვიგერიო, რამე სივრცეში რო დავჯდე წყნარად, უნდა ვიბრძოლო, რო ესენი წავიდნენ და ვიყვირო და ვაგინო - და ამის ფასად მიწევს, რო უბრალოდ გადავადგილდებოდე. (რესპ. 6, 25)

● შიშის შეგრძნება არ მაქვს, მარა იმის შეგრძნება მაქვს, რო სულ მიწევს რაღაცის მტკიცება, დაუცველობა პრინციპში ევეც, იმიტომ რო ადრე რო მყოფნიდა რესურსი, რო ამათ ბოლომდე მივყოლოდი, ახლა ვეღარ ვუმკლავდები უბრალოდ და მერე უკვე ისტერიკა მემართება და მართო ტირილი მინდება. აი, ის

შეგრძნება მაქვს, რო როდემდე შეიძლება ასე ვიცხოვრო, რო აღარ მინდოდეს არც ბრძოლა არც არაფერი, ვაფშე მკიდია, მარა არ გაძლევენ ამის საშუალებას. აი, რო ჩავილი და „შენ ფემინისტი ხარ ხო? შენ ისა ხარ ხო? შენ ეს ხარ?“ ან თუნდაც მემარცხენე იდეებზე რო გინდოდეს საუბარი, მაგასაც არ გაცდიან, ტიპები, გიპრობლემებენ იმას, რომ ქალი ხარ და ქალების უფლებებისთვის იბრძვი, ვსიო. დაუცველობის არა, რამდენადაც შენუხებულობის შეგრძნება მაქვს, რო მართლა ყველა კაცს უნდა ვებრძოლო.. და რო არ მინდა ძაან, მარა სხვა გზას არ გიტოვებენ. (რესპ. 6, 25)

4.2 სტრატეგიები

- მეც ვიყავი დასაწყისში ამ იდენტობის პოლიტიკებში გაჩხერილი, რო შეიძლება გვჭირდებოდეს არა გარეთ გასვლა მაინცდამაინც, მარა რაღაც ხმამალა ლაპარაკი, რო ვარსებობთ. დღეს ყველაფერი ეს ხილვადობის პოლიტიკა მგონია, რო ძაან უმნიშვნელოა.

მარა ეგრე ანარქისტულადაც არ დგას საკითხი, ვერ გააქრობ ამ ყველაფერს, როცა ამ მოცემულობაში ცხოვრობ და კი, ამის ლაპარაკი გინევს. მარა პარალელურად ამას უნდა ვაყოლებდეთ იმას რო, რა არის ის, რატომაც გვინევს ამაზე ლაპარაკი, ვინ არის ის საერთო მტერი, ან ვიღაც კონკრეტული ან განზოგადებული სისტემა თუ კაპიტალიზმი, ვისაც აწყობს, რო ჩვენ ასეთ დღეში ვიყოთ, ასე დაქსაქსული. და ვიღაცეებს უპირისპირდებოდე და პოლიტიკური ჰომოფობიის მსხვერპლად გაქციონ, სადაც უბრალოდ რეაქციული ხარ და ვიღაცას ებრძვი, ქარის წისქვილებივით და ამ დროს რეალური პრობლემები გვერდით გრჩება. (რესპ. 6, 25)

- დღეს ვცდილობ, რო ყოველთვის, როდესაც ველაპარაკები ვინმეს, იქნება ეგ ჩვენი ბენეფიციარები თუ ამხანაგები, ყოველთვის ამოვიდეთ იქიდან, რო საერთო ბრძოლები და თანაკვეთის წერტილები არსებობს და მხოლოდ იდენტობა არაა საკმარისი იმისათვის, რო იჩაგრებოდე თუნდაც და როგორი ნაწარმოებიცა ეგ ყველაფერი და, ზოგადად, დასავლეთის კრიტიკაა ხოლმე ძირითადად, კოლონიალიზმის და იმპერიალიზმის კრიტიკა რაზეცაა მთლიანად დაშენებული ეს ყველაფერი და რაშიც ვითომ გვაცხოვრებენ... (რესპ. 6, 25)

- ქუთაისშიც ყველანაირი ადამიანი ცხოვრობს, მათ შორის არიან ნაცისტები, ფაშისტები, სოციალისტები, ანარქისტები, პანკები, ქვიარები, გეები, მსმ-ები, ძველი ბიჭები, ქურდის შვილიშვილები. ანუ ძაან დიდი პალიტრაა მოკლედ. არა-

ვის არ აქვს სამსახური, არავის აქვს სწავლის შესაძლებლობა და არავის აქვს სოციალიზაციის სივრცე, რაც არც არსებობს უბრალოდ. ერთადერთი სივრცეა სიყვარულის ბაღი, სადაც ყველა ამ სუბკულტურის წარმომადგენელი იკრიბება და ერთად დღივინობენ და სვამენ 4 ლარიან ჭაჭას ყოველ დღე. სინამდვილეში ერთმანეთს საერთოდ არ ებრძვიან და აერთიანებთ ის, რომ არიან ღარიბები.

მარა ამ თავიანთი იდეოლოგიებით ტვინს უბინძურებენ ერთმანეთს და სულ ეს ომები მიდის. მეც ვცდილობდი აქამდე ენერჯია მეხარჯა ესეთ ადამიანებზე და არა თბილისში მჭდომ ენჯეოშნიკებზე და აქტივისტებზე და ვილაცებთან - ტრენინგებზე და თიმბილდინგზე სალაპარაკოდ, აბა როგორი მომავალი და აქცენტები ვგეგმოთ. [...] (რესპ. 6, 25)

- ბოლო 4 წელია პოლიცია არ გამომიძახებია და გადავწყვიტე, რო ამ კაცებს, რომლებიც მეტრძვიან, პირდაპირ გავუსწორდე და ძაან ხშირად ხელჩართული ჩხუბებიც გვაქვს მათთან მე და ჩემს მეგობარ გოგოებს. მართლა სხვა გზა არ არის პროსტა და ყველაზე საშინელი ისაა, რო ამ ფიზიკურ დაპირისპირებას თვითონ იწყებენ და ყლებზე იკიდებენ, რო ქალი ხარ. და მერე შენ რო მაგაზე ეჩხუბები, რო შენ თუ კაცი ხარ და ასეთი მენტალიტეტი გაქ, მაშინ მე ხელს რატო მირტყამ? პოლიციაში ხშირად ვერ დავრეკავ, რადგან ვიაზრებ, რაშიც ვაყოფინებ მერე ამათ თავს, და ხანდახან გამოსავლად მართლა რჩება ფიზიკური მოგერიება, რო თავი დაგანებოს უბრალოდ რა. (რესპ. 6, 25)

- ჩვენ მემარცხენე ორგანიზაცია ვართ და ჩვენი ძირითადი მიზანია, რომ ვილაპარაკოთ არა მხოლოდ ეკონომიკურ ჩაგვრებზე, არამედ კულტურულ, პოლიტიკურ და სოციალურ ჩაგვრებზეც, ამიტომ ინტერსექციულად ვხედავთ ჩაგვრის საკითხს და გვინდა, რომ მრავალმხრივად ვაჩვენო. ერთის მხრივ, აღვწეროთ ეს ჩაგვრის სისტემები და მეორეს მხრივ, მათ შორის კავშირი ვაჩვენოთ ასევე. [...] ჩვენ ერთის მხრივ, ცხადია, რომ კრიტიკულები ვართ ამ კონსერვატიული პოლიტიკის, რიტორიკის და დისკურსის მიმართ. თუმცა, ამავედროულად ჩვენ ვაკრიტიკებთ ლიბერალურ პოლიტიკას და დისკურსს, მათ შორის, ვთქვათ, ხილვადობის პოლიტიკას ლგბტ და ქალთა საკითხებთან დაკავშირებით, იდენტობის პოლიტიკას, რომელიც სოციალური სტრუქტურებისგან მოწყვეტილად ხედავს ამ ჯგუფებს, სტერილურად. და თითქოსდა, მათი ხილვადობის გაზრდა ცნობიერების შეცვლაზე უფრო მეტ ლოიალობას გამოიწვევს. ისინი არ ხედავენ იმ მიზეზებს, რაც ზოგჯერ ამგვარი კონსერვატიული კულტურული წინააღმდეგობების მიზეზი შეიძლება გახდეს; ასევე, იმ სოციო-ეკონომიკურ გამოწვევებს, რომელიც თავად კონკრეტულ სოციალურ ჯგუფებს აქვთ, იგივე ლგბტ ადამიანებს შეიძლება ჰქონ-

ნდეთ და შესაბამისად, ეს ძალიან ხელოვნურია და ზედაპირული და სოციალურ რეალობას გამოტოვებს ხოლმე. (რესპ. 1)

- არიან ორთოდოქსი მარქსისტები და მემარცხენეები, რომლებიც ფიქრობენ, რომ ეკონომიკური ჩაგვრა არის ძირითადი ღერძი და ყველა სხვა დანარჩენი წარმოებული, დაშენებული და მეორადია და ეკონომიკურ ჩაგვრასთან გამკლავება თავისთავად გამოიწვევს რასიზმთან, პატრიარქატთან დასრულებას - ჩვენ ესე არ ვფიქრობთ და გვგონია, რომ სწორედ აი ამის გამო, შეიძლება რასიზმის და პატრიარქატის გამო ცალკეული ჯგუფები, რომლებიც ეკონომიკურად მოწყვლადები არიან, ასე ვთქვათ, კაპიტალიზმი მათ აზიანებს, ესენი კიდევ ორჯერ და სამჯერ შეიძლება უფრო მძიმე მდგომარეობაში იყვნენ. ამიტომაც, ჩვენ ვფიქრობთ რო ეს მიდგომა, ერთის მხრივ, არის რეალობის აღწერა და მეტი სოლიდარობის სტრატეგიულ პოტენციალსაც ქმნის. (რესპ.1)

- ძაან მნიშვნელოვანია რაღაცა ეტაპზე წინააღმდეგობის გზებზე საუბარი უფრო აქტიურად, იმიტო რო ჩვენც ცოტა ხნის წინ გავაკეთეთ მიმოხილვა აღმოსავლეთ პარტნიორობის ქვეყნებში, ანუ ბიგენდერული მოძრაობების და იქაც რეალურად რესპოდენტებს რო ვეკითხებოდი რაღაცეებს, აი, რეზისტენტ კიარა, ხო წინააღმდეგობის გზებზე და სტრატეგიებზე არ არის ისე კარგად ნაფიქრი, იმიტო რო ერთის მხრივ, ძაან ბევრ ადამიანს სწამს და საკმაოდ სამართლიანადაც, რო ის საქმე, რასაც ყოველდღიურად აკეთებენ, არის ამ წინააღმდეგობის გზა და ნამდვილად არის, მაგრამ არის კიდე მეორე სეგმენტი ადამიანების, რომლებიც თვლის, რომ ცოტა ტარგეტირებული მიდგომებიც არის საჭირო ამ ნარატივების წინააღმდეგ, იმიტომ რომ ასე თუ ისე ჩვენ.. ამ ჯგუფების მესიჯები ჩნდება ფართო კონსერვატიულ რიტორიკაში და უფრო მისაღები არის, მათ შორის, იმ კონსერვატიულად განწყობილი ადამიანებისთვის, ვინც აგრესიული არ არის მაინცდამაინც ხო.. მაგრამ იმათთვის ის უფრო მისაღებია, ვიდრე ის, რასაც ჩვენ ვამბობთ. ანუ ჩვენ ყველა ვარიანტში ნაგებულ მდგომარეობაში ვართ და თავდაცვის მდგომარეობაში ვართ სულ და როგორ შეილება, რო ეს გადავიყვანოთ უფრო პროაქტიულ და პრევენციულ რაღაცა ქრილში, ამაზე ფიქრია ძაან მნიშვნელოვანი. მეორე მხრივ, გასაგებია, რომ ის ფაქტი, რომ რესურსები ცოტა არის, ადამიანები გადანვის ზღვარზე არიან და სულ რაღაცა.. ანუ, ძაან.. ანუ რეალურად ხანძრებს აქრობენ აქეთ - იქით ძაან უშლის ამას ხელს, მაგრამ მემგონი რო საჭიროა ამაზე ლაპარაკის დაწყება მათ შორის. (რესპ. 4, 34)

- იქიდან გამომდინარე, რომ დღეს არსებული ქვიარ, ფემინისტური ნარატივი წამოსულია აკადემიიდან, ძალიან აკადემიური ენა აქვს, რომელიც ძალიან

ხშირად ფართო საზოგადოებისთვის ცოტა გაუგებარია. აქედან გამომდინარე კი, გვინევს რაღაცეების შეცვლა, რაღაც უფრო ისე მიწოდება და ა.შ. ნუ ყველაზე მეტად რაც მგონია, რო დაან სწორია, ყოველ შემთხვევაში მე რასაც ვაწვები და პირისპირ როცა მაქვს დიალოგი ვინმესთან, დაან ვცდილობ ავუხსნა, რომ გარკვეული პრობლემები არაა მხოლოდ ქვიარ ადამიანების პრობლემები, არამედ გვეხება ყველას, ქვეყნის ყველა მოქალაქეს. და ნუ შემდგომ სიღარიბიდან დაწყებული, განათლების, ჯანდაცვის თუ ღირსეული საცხოვრისის უფლებით დამთავრებული - რაც მგონია, რო ყველაზე მეტად მნიშვნელოვანია ამ შემთხვევაში და ორმაგად გვირტყამს ქვიარ თემის წევრებს, პოლიტიკების გაუმართაობაა. უფრო მეტად კი, რაღაცეების შეცვლა გვინევს, თუმცა მგონია, რო დაანაც სწორია, რომ უნდა შევცვალოთ და მხოლოდ რაღაცა ლგბტ თემის პერსპექტივიდან არ უნდა ვილაპარაკოთ. არა, კი უნდა ვილაპარაკოთ ეს, მარა ამ სისტემაში, რომელიც არის ფუნდამენტურად მჩაგვრელი და ფუნდამენტურად არ მუშაობს არცერთ მოქალაქეზე, გარდა პრივილეგირებულებისა, მგონია, რო ძალიან მნიშვნელოვანია იმის წამოწევა, რომ ეს პრობლემები ყველას გვეხება და არა მხოლოდ - ქვიარ თემს... (რესპ. 5, 30)

● ასევე მგონია, რო საკმაოდ პრობლემურია ჩემთვის პირადად, როგორც ქვიარ, მწვანე აქტივისტისთვის, [თბილისი] პრაიდი, იმიტომ კი არა, რო არ მინდა პრაიდი და ა.შ. არამედ დღეს არსებული სიტუაციიდან გამომდინარე, მგონია, რო პრაიდი საკმაოდ უწყობს ხელს, რო ეს ქვიარ თემები, ქალთა საკითხებთან დაკავშირებული თემები, პოლიტიკური ინსტრუმენტალიზაციის საგანი ხდება ძალიან ხშირად. და პოლარიზებულ საზოგადოებად წარმოაჩენენ, სადაც პროგრესულები, რომლებშიც შეიძლება მოხვდნენ რამდენიმე პოლიტიკოსი და რომელიღაცა პარტიის წევრები, და ასევე გირჩი, რომელიც ასევე იტყვის რო გეი ქორწინება ოკ არის და მეორე მხარეს მყოფები, ვინც მონათლულები არიან განუვითარებელ და ჩამორჩენილ ბრბოდ, და მედიაც ამას უწყობს ხელს. მგონია, რომ ეს საკმაოდ პრობლემურია, რადგან ყოველ ჯერზე, როცა რაღაცა ხდება ხოლმე, პირადად განვიცდი ამას, მაგ. ქუჩაში ვერ გამოვდივარ, დაწყებული პირადი შეურაცხყოფებით, დამთავრებული იმით, რო შეიძლება ტაქსმა არ გამიჩეროს, რო სახლში მოვიდე მშვიდად. (რესპ. 5, 30)

4.3 მედია

● მედია არის ყველაზე, ისა რა ქვია, ყველაზე დიდი მოკავშირე და ასევე, ყველაზე დიდი დამღუპველი რა, იმიტომ რო მედია როგორც გააშუქებს კონკრეტულ

საკითხს, იქნება ეს ფემიციდი, ქალთა მიმართ ძალადობა, ტრანსგენდერთა პრობლემები თუ ასე შემდეგ, იმდენად დიდი პრობლემა არი მედიისგან, ზოგადად, სექსიზმის და სხვადასხვა ტიპის ბულინგის თუ ასე შემდეგ არასწორად გაშუქების ამბავი, რო დაან ბევრს ვფიქრობდი ამას წინათ, რო რამე რეგულაციები ხო არ უნდა შეიქმნას მედიისთვის, რომელიც დაარეგულირებს ამ ამბავს-თქო, მარა მედიისთვის რეგულაციის შექმნა, რეალურად, ნიშნავს დემოკრატიის და თავისუფალი სიტყვის ამბავი, ანუ უფრო გაუარესდება რეალურად და შეილება მიხვიდე იმამდე, რა ქვია, ჩრდილოეთ კორეამდე რა. ხოდა, მერე იმ დასკვნამდეც მივდი, რო, რეალურად, ის კი არ უნდა დაუნესო, რა ქვია, რეგულაციები, თვითრეგულაციები უნდა ჰქონდეს მედიას თვითონ. (რესპ. 2, 33)

- როგორც აქტივისტი, ყველაზე დიდ საფრთხედ აღვიქვამ მედიას, პირველ რიგში, რომელიც ისე ატრიალებს ხოლმე დაან სენსიტიურ თემებს, მაშინ როდესაც ხელმისაწვდომობა და გასავალი აქვს მოსახლეობის იმ ფენებზე, რომელზეც ჩვენ ვერ გავდივართ, და ძირითადად, ეს თემები - იქნება ეს ქალთა უფლებები, ქვიარ ადამიანების უფლებები, აქტივიზმი - არის ტირაჟირებული და გაყიდვადე და შოუზე მორგებული. სხვათა შორის, ეს მედია ინვესს ხოლმე სწორედაც საზოგადოებაში მომატებულ აგრესიასაც კი. (რესპ. 5, 30)

- დღეს მედია გარემოს თუ დავაკვირდებით, რეალურად, ხალხის მხარეს მდგომი რო ვთქვა, არ მინდა, იმიტომ რომ მედიაზე როცა ვლაპარაკობ, ის ხალხიდან წამოსული მინდა იყოს და არა სხვა, რომელიც ხალხის გვერდი დგას კი არა, ხალხის მედია, სახალხო მედია - ასეთი არ გვაქ და დაან ცოტა გვაქ, რალაც ანუ online გამოცემებს თუ არ ჩავთვლით, რომელთა პოლიტიკაშიც არი სამწუხაროდ ისეთი იდეოლოგიური, ჩემს იდეოლოგიასთან მიუღებელი გადაწყვეტილებები, თუ ა.შ. რასაც გავაკრიტიკებდი და არ მომწონს, მაგრამ მეტ-ნაკლებად რო აჟღერებდეს და ხედვა ჰქონდეს თანასწორი მომავლის, ასეთი რამდენიმე გვაქვს, ოღონდ გაცილებით შეზღუდული მასშტაბებით მუშაობენ ისინი, მოცვა გაცილებით ნაკლები აქვთ, ვიდრე მაგალითად ნაციონალურ მაუწყებლებს, სადაც კრიტიკული აზრი ჭირს და რომლებიც ბიზნესების, პარტიების, მთავრობების ინტერესების გამტარებლები არიან და არა ხალხის ინტერესების. (რესპ. 8, 27)

გამოყენებული ლიტერატურა

1. Clatterbaugh, Kenneth (2007). "Anti-feminism". In Flood, Michael; Kegan Gardiner, Judith; Pease, Bob; Pringle, Keith (eds.). International encyclopedia of men and masculinities.

2. Blais, Melissa; Francis Dupuis-Déri, Francis (2012). "Masculinism and the antifeminist countermovement".

3. Himmelstein, Jerome (March 1986). "The social basis of antifeminism: Religious networks and culture"

4. Faludi, Susan (1992), "Backlashes then and now"

5. Umberto, Eco (1995). Ur-Fascism

6. Griffin, Roger (1991). The Nature of Fascism

7. Herman, E. S. Chomsky, N. (1988). Manufacturing Consent: The Political Economy of the Mass Media

8. Berkowitz B. (2003). 'Cultural Marxism' Catching On. SPLC

9. Fairclough, N. (2001). Critical Discourse Analysis as a Method in Social Scientific Research. In Wodak, Ruth & Meyer, Michael (Eds.), Methods of Critical Discourse Analysis

10. Alt-Info - ალტ ინფო. რეალურად რა უნდა ალტ-ინფო ჯგუფს. ნაწილი - 1 (27.10.2019)

11. Alt-Info - ალტ ინფო. რეალურად რა უნდა ალტ-ინფო ჯგუფს. ნაწილი - 2 (04.12.2019)

12. Alt-Info - ალტ ინფო. ანას ბალის მედია აპოკალიფსი (16.01.2020)

13. Alt-Info - ალტ ინფო. 17 მაისი და ლიბერალების ორმაგი სტანდარტები (03.05.2019)

14. Alt-Info - ალტ ინფო. ლიბერალური გამოხატვის თავისუფლება და 17 მაისი (03.05.2019)

15. Alt-Info - ალტ ინფო. 17 მაისს ვმართავთ აქციას ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ! (02.05.2019)

16. Alt-Info - ალტ ინფო. რატომ არის აგრესია ლგბტ პროპაგანდისტების მიმართ სრულიად გამართლებული რეაქცია (07.05.2019)

17. Alt-Info - ალტ ინფო. ლგბტ პროპაგანდის საწინააღმდეგო გუშინდელი აქცია და ლიბერალების დაუოკებელი ისტერიკა (15.06.2019)

18. Alt-Info - ალტ ინფო. რატომ არის სრულიად გამართლებული ვასაძის მიერ რაზმების შექმნა (17.06.2019)

19. Alt-Info - ალტ ინფო. 17 მაისს, 18 საათზე, კანცელარიასთან გავმართავთ აქციას ლგბტ პროპაგანდის წინააღმდეგ (15.05.2019)
20. Alt-Info - ალტ ინფო. ლგბტ მოძრაობის წინააღმდეგ ბრძოლა არაადეკვატური იდეოლოგიური დოგმებისგან თავდაცვა (09.05.2019)
21. Alt-Info - ალტ ინფო. ნამდვილი მამაკაცი ქალის წარსულში არ იქეცება (09.10.2019)
22. Alt-Info - ალტ ინფო. მეძავეების უნიფორმა (19.02.2020)
23. Alt-Info - ალტ ინფო. ერთხელ ჰოლივუდში - ყველაზე ანტილიბერალური ფილმი (23.01.2020)
24. Alt -Info - ალტ ინფო. დეპუტატს ქალზე სექსუალურ ძალადობას აბრალებენ (09.10.2019)
25. Alt-Info - ალტ ინფო. ცრუ-პროპაგანდა ოჯახში ქალზე ძალადობასა და ფემიციდის შესახებ (19.06.2019)
26. Alt-Info - ალტ ინფო. აბორტის შესახებ (29.01.2020)
27. Alt-Info - ალტ ინფო. რა საფრთხეებია სექსუალური აღზრდის გაკვეთილებში (შოთა მარტინენკოს ბლოგი) (06.05.2019)
28. Alt-Info - ალტ ინფო. სექსუალური აღზრდის შეზღუდვა და სულში ჩაფურთხებული ლიბერალები (გიორგი ქარდავას ბლოგი) (03.04.2019)
29. Alt-Info - ალტ ინფო. ეროვნული ოცნება თუ წინასაარჩევნო პიარი? (07.09.2019)
30. Alt-Info - ალტ ინფო. სახელმწიფომ გენდერული კვოტები დააწესა (11.12.2019)
31. გირჩი. ლომინაძე, გ. ; იდენტობის პოლიტიკა და ფსევდოფემინიზმი (24.02.2020)
32. გირჩი. ლომინაძე, გ. ; ტრანსგენდერობა. (08.03.2020)
33. Alt-Info - ალტ ინფო. ალტ-ინფოს სტუმარია ზურაბ ჯაფარიძე; საუბრის თემაა ლიბერტარიანიზმი. (13.07.2019)
34. PostV - ანალიტიკა. გურიზმები - პოლიტკორექტულობის მანკიერი მხარეები (26.10.2017)
35. PostV - ანალიტიკა. გურიზმები - სექსუალური შევიწროება (16.11.2017)
36. PostV - ანალიტიკა. გურიზმები - ქალთა კვოტირება პარლამენტში (07.03.2018)

